საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

# სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

## არსებობიდან დღემდე

(2016–2018 წლები)

თბილისი
2018

ჟურნალი შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ძალისხმევით და ასახავს ფაკულტეტის ყოველგვარ აქტივობას ორი წლის მანძილზე მათ შორის, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სტუდენტურ ცხოვრებას.

შემდგენელი: **ჯემალ გაბელია**
**თამარ ზარამია**

https://www.facebook.com/Law.gtu.ge
http://law.gtu.ge/
http://www.eng.law.gtu.ge/
ტელ: 598 33 22 05

# სარჩევი


1. ფაკულტეტის სტრუქტურა....6
2. საგანმანათლებლო პროგრამები....8
3. სამეცნიერო–კვლევითი ერთეულები....16
4. სამეცნიერო–კვლევითი პროექტები....22
5. აკადემიური დეპარტამენტები....28
6. ბიბლიოთეკა....30
7. სტუდენტური თვითმმართველობა....32
8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური....34
9. სამართლის კლინიკა....36
10. სამართლის კლინიკის დებულება....38
11. სტუ–ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბი....40
12. სტუდენტური კლუბები....42
13. აუდიტორიები....44
14. ლაბორატორიები....46
15. პროექტი „ქმედებიდან დანაშაულამდე" და „დანაშაულიდან სასჯელამდე"....48
1. ფაკულტეტის აქტივობები....50
2. პროექტი "შეხვდი დამსაქმებელს"....52
3. უცხოური დელეგაციის ვიზიტი....59
4. უცხოელი პროფესორების საჯარო ლექციები....64
5. საერთაშორისო–სამეცნიერო კონფერენციები....70
6. მემორანდუმები/საერთაშორისო თანამშრომლობა....78
7. ნაშრომების გამოცემა/პრეზენტაცია–განხილვა....85
8. სტუდენტები საერთაშორისო ღონისძიებებში....91
9. პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო–მივლინებები....97
10. სტუდენტთა სოციალური პროექტი/სტიპენდიები/შეღავათები....102
11. ჯილდო პროფესორებისთვის....104
12. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა....105
13. სამართლის კლინიკის აქტივობები....106
14. საგაზაფხულო/ზამთრის სკოლები სტუდენტებისთვის....112
15. ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრის "სახელმწიფო–სამართალი–პოლიტიკა–კულტურა" აქტივობები....118
16. ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის აქტივობები....124
17 შეხვედრები სტუდენტებთან....126
18. გაცვლითი პროგრამები....137
19. საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები....142
20. საჯარო ლექციები....147
21. სტუ–ს კურსდამთავრებულთა კლუბის აქტივობები....155
22. სტუდენტური აქტივობები....159
23. გამოფენა "ილია ევროპელი"....166
24. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები....167
25. საგამოცდო პროცესი....169
26. სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები....171
27. ფაკულტეტის დებულება....177
28. დეკანის საათი....184
29. აქცია 'ჯანსაღი მომავლისთვის"....192
30. სტუ–ს სტუდენტური დღეები....194
31. ფაკულტეტის ბიუჯეტი....198

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც 2016 წლის 16 მაისს სტუ-ს აკადემიური საბჭოს №1987 დადგენილებით ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი,მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების მიმართულებით.



სტუ-ს რექტორი,
აკადემიკოსი
არჩილ ფრანგიშვილი



სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი

ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.



სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

2017 წლის 23 იანვრიდან სამართლის დოქტორი, აკადემიური საბჭოს ყოფილი წევრი, პროფესორი ირაკლი გაბისონია აირჩიეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პირველ დეკანად.



ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება.



# ფაკულტეტის სტრუქტურა




ფაკულტეტის საბჭო
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტური თვითმმართველობა
სათათბირო
მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები
ეთიკის კომისია
სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია
მენეჯერი
დამხმარე სტრუქტურული ერთეული - დეკანატი
კომისიები
კოლეგიები
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფილიალი

# საგანმანათლებლო პროგრამები



მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 240 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება სამართლის მიმართულებით. შეასწავლოს სტუდენტს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ზოგადსამართლებრივი პრინციპები, ფასეულობები და ღირებულებები, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტები, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრი და კანონმდებლობა. მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სამართლის მიმართულების სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - კურსდამთავრებულს აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: სახელმწიფოს წარმოშობა, მისი განვითარების ეტაპები და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და თავისებურებები; სამართლის არსი, მისი ძირითადი პრინციპები და დანიშნულება; სამართლის ნორმის ცნება, მისი განმარტებისა და გამოყენების ძირითადი მეთოდები; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. რომის კერძო სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება, მისი ძირითადი ინსტიტუტები და წყაროები; სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმები, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი ფარგლები; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურები; საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და მისი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები; სამოქალაქო სამართლის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და ინსტიტუტები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სასჯელის ცნება და სახეები; ქმედების შემადგენლობის ძირითადი ნიშნები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები და თავისებურებები; წინასწარი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამართალწარმოების თავისებურებები; არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითადი თავისებურებები; ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი ასპექტები და თავისებურებები, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ძირითადი წყაროები; სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებები; საოჯახო და მემკვიდრეობითი ურთიერთობები; შრომისა სამართლის თავისებურებები; აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა, კვალიფიციური იურიდიული დასკვნებისა და კონსულტაციის გაცემა; განვითარებული აქვს სამართლებრივი ნორმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელების უნარი,

დასაქმების სფერო - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის მაგისტრი (Master of Law)
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 120 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კერძო, საჯარო, სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფილი დაუფლება შედარებითი სამართლებრივ კონტექსტში შეძენილი ცოდნის, ასევე აქტუალური და პრობლემური საკითხების ირგვლივ არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადოების მეშვეობით. განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციების გაცნობით ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, მათი პრაქტიკაში რეალიზაციის, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ თვალსაწიერის გაფართოება. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაჭრას, ასევე სამართლის შესაბამის სფეროებში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - აქვს კერძო, სისხლის, საჯარო სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; გაცნობიერებული აქვს ერთი და იმავე პრობლემის გადაწყვეტის გზები რამოდენიმე მართლწესრიგის მიხედვით; იცნობს ამ მართლწესრიგების მეთოდოლოგიას და ასევე შეუძლია პირველ რიგში, ქართულ და შემდგომ უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში დამოუკიდებლად ორიენტირება. განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კერძო-სამართლებრივი, სისხლისამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებელი გადაწყვეტის მონახვა და ნაციონალურ მართლწესრიგში გადმოტანა. შეუძლია ნაციონალური მართლწესრიგის მიხედვით პრობლემის გადაწყვეტისას სხვა სამართლებრივ სისტემებში, ასევე სუპრანაციონალურ აქტებში არსებული მიდგომების მოშველიება და მათი გამოყენება როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში. შეუძლია კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების დამოუკიდებელი კვლევა და აკადემიური სტანდარტების დაცვით ნაშრომის შექმნა.

დასაქმების სფერო - სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - სამაგისტო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში/ Bachelor of Social Science in International Relations
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 240 ECTS
სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის, სტრუქტურის, თეორიების, სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე, მოქალაქეობრივი და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესების შეფასებას და ახალ მოდელში საქართველოს როლის განსაზღვრას, ასევე გააცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს და მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; იცის საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის ცნებები, ელემენტები და ტერმინოლოგია და აცნობიერებს მათ პარადიგმებს; იცის საქმიანი ურთიერთობების, პროტოკოლის და ეტიკეტის როლი, ადგილი და განხორციელების წესი; იცის ევროინტეგრაციის ისტორია, მისი ძირითადი ფაქტორები და ევროკავშირის ინსტიტუტები; აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა; აცნობიერებს მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებას, თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ურთიერთდამოკიდებულებების წარმომქმნელი პროცესების და დამოუკიდებელ ელემენტთა სტიქიურობისა და მისი მართვის პრობლემებს; აცნობიერებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს; აცნობიერებს პატარა ქვეყნის გეოპოლიტიკურ ფუნქციას; აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს, კანონზომიერ პროცესს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს; აცნობიერებს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს; შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობის მოდელის წარმომქმნელი ფაქტორების გაცნობიერება; აცნობიერებს გლობალიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემებს; შეუძლია საქართველოს როგორც პატარა სახელმწიფოს მნიშვნელობის და ადგილის სრულყოფილი გააზრება -თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების გაანალიზება და განზოგადება, ამ სფეროში მოქმედი კანონზომიერებების გამოვლენა; აცნობიერებს პოლიტიკური მონაწილეობის თავისებურებებს და პოლიტიკური პროცესების სპეციფიკას. აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები; აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; აქვს ინფორმაციის შეგროვებისა და განმარტების უნარი; ფლობს საერთაშორისო პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირების უნარს, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში; შეუძლია სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და ეფექტური პრეზენტაციის ჩატარება; ფლობს საერთაშორისო მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარს. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;

დასაქმების სფერო - საჯარო დაწესებულებებში; არასამთავრობო სექტორში; საერთაშორისო მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში; დიპლომატიურ სამსახურში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იმ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 120 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებენ თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და ინტერდისციპლინარული მიდგომების საშუალებით საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში თანამედროვე ეტაპზე არსებული პრობლემების შესწავლას, მათ კვლევას და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე კვალიფიციური დასკვნების გამოტანას, მეცნიერული ნაშრომების წარმოდგენას და რეკომენდაციების შემუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - აქვს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და პრაქტიკული დღისწესრიგის სიღრმისეული ცოდნა; საერთაშორისო და ევროპულ პოლიტიკაში საქართველოს და ზოგადად კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის ღრმა და სისტემური ცოდნა; აქვს საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევების ხასიათს. გაანალიზებული აქვს გლობალიზაციის არსი, მისი დასავლური ხასიათი, ქართულ სინამდვილესთან ამ მოვლენის მიმართების და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობა; აქვს საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის ზოგადი კანონზომიერებების ცოდნა, სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე განვითარების განსხვავებულ შესაძლებლობათა ღრმა და სისტემური ანალიზის უნარი; სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური პროცესების პოლიტიკურ სისტემებზე გავლენის ანალიზის უნარი. აქვს საერთაშორისო ურთიერთობების არსებული ძირითადი საკითხების/თემების იდენტიფიცირების და მათი კვლევის და ანალიზის უნარი; საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის კრიზისულ ვითარებაში. პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის, ალტერნატივების შემუშავებისა და მათ შორის საუკეთესოს შერჩევის უნარი; გაანალიზებული აქვს გლობალიზაციის პროცესების თავისებურებები და შეუძლია ადგილობრივი სოციო-კულტურული რეალობის გათვალისწინებით, კვლევებში მათი გამოყენება.

დასაქმების სფერო - საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ საელჩოებსა და საკონსულოებში, საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
(Doctor of International Relations)
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 180 ECTS
სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

ჰქონდეს უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა - 2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში. ჩარიცხვის დროს მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თეორიულ-სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე, მოამზადოს სამეცნიერი კადრები, მაღალი პროფესიული და აკადემიური პასუხისმგებლობის მქონე კვალიფიციური მკვლევარები და პრაქტიკოსები, რომლებსაც ექნებათ: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს, ასევე, უახლეს მეცნიერულ მჯელობებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული განვითარების პროცესების შესახებ ფუნდამენტური ცოდნა; სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებელი უნარები; ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, აღნიშნულ სფეროში, წარმატებით მოღვაწეობის შესაძლებლობა და უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის: - სწავლებისა და კვლევის უახლესი/ინოვაციური მეთოდები და მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგია; სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი და აქტუალური საკითხების ფუნდამენტური ცოდნა. საქართველოს როლი, ამავდროულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობებში; ფუნდამენტური ცოდნის მასშტაბურობა ინტერდისციპლინური ხასიათის კვლევებში. კვლევების ინოვაციური მეთოდების სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისათვის. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: კვლევებისა და კრიტიკული აზროვნების მეშვეობით ცოდნის ინტერპრეტაცია და ახალი ცოდნის შექმნა; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი და აქტუალური საკითხების გენერირება და კონცეპტუალიზაცია. აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; ანალიტიკური-კვლევითი სამუშაოების/პროექტების შეიმუშავება და განხორციელება; დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურად გამოყენება, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციების, ასევე აკადემიური სწავლების პრაქტიკის მეშვეობით; პროფესიული სამუშაოს შესრულება სახელმწიფო, პოლიტიკურ-დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

დასაქმების სფერო - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური თანამდებობები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმუშაონ საჯარო დაწესებულებების საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებში/სამსახურებში, საელჩოებსა და საკონსულოებში, იყვნენ მრჩევლები საერთაშორისო ურთიერთობებში საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, გასწიონ საერთაშორისო ურთიერთობებში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (Doctor of International Relations)
## საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა - 180 ECTS

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

ჰქონდეს უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა - 2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს,რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში. ჩარიცხვის დროს მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თეორიულ-სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე, მოამზადოს სამეცნიერი კადრები, მაღალი პროფესიული და აკადემიური პასუხისმგებლობის მქონე კვალიფიციური მკვლევარები და პრაქტიკოსები, რომლებსაც ექნებათ: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს, ასევე, უახლეს მეცნიერულ მჯელობებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული განვითარების პროცესების შესახებ ფუნდამენტური ცოდნა; სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებელი უნარები; ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, აღნიშნულ სფეროში, წარმატებით მოღვაწეობის შესაძლებლობა და უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის: - სწავლებისა და კვლევის უახლესი/ინოვაციური მეთოდები და მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგია; სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი და აქტუალური საკითხების ფუნდამენტური ცოდნა. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მდგარი პრობლემების ახლებური, თანამედროვე და ორიგინალური გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა; საქართველოს როლი, ამავდროულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობებში; ფუნდამენტური ცოდნის მასშტაბურობა ინტერდისციპლინური ხასიათის კვლევებში. კვლევების ინოვაციური მეთოდების სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისათვის. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: კვლევებისა და კრიტიკული აზროვნების მეშვეობით ცოდნის ინტერპრეტაცია და ახალი ცოდნის შექმნა; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი და აქტუალური საკითხების გენერირება და კონცეპტუალიზაცია. აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; ანალიტიკური-კვლევითი სამუშაოების/პროექტების შეიმუშავება და განხორციელება; დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურად გამოყენება, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციების, ასევე აკადემიური სწავლების პრაქტიკის მეშვეობით; პროფესიული სამუშაოს შესრულება სახელმწიფო, პოლიტიკურ-დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

დასაქმების სფერო - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური თანამდებობები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმუშაონ საჯარო დაწესებულებების საერთაშორისო ურთიერთბების მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებში/სამსახურებში, საელჩოებსა და საკონსულოებში, იყვნენ მრჩევლები საერთაშორისო ურთიერთობებში საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, გასწიონ საერთაშორისო ურთიერთობებში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

Присваиваемая квалификация - Бакалавр социальных наук по международным отношениям (Bachelor of Social science in International Relations)
объем программы в кредитах - 240 ECTS
Язык обучения - Русский

Предпосылки допуска к программе - Право учиться по программе бакалавриата имеет лицо, которое зачислено в соответствии с законодательством Грузии.

Цель программы - В соответствии с миссией Грузинского технического университета, целью программы является подготовка конкурентоспособных на рынке труда бакалавров сферы международных отношений, ориентированных на высококвалифицированные и демократично-гуманные ценности по конкретным направлениям – мировая политика, национальная и международная безопасность, внешняя и внутренняя политика Грузии, ее роль в новой мировой модели, обучить тенденциям развития международных отношений и мировым интеграционным и демократичным процессам.

Итоги обучения/компетентность (общая и отраслевая) - знание основных вопросов социальных и политических наук; знание вопросов политической философии и социологии; знание мировых политических идеологий; знание истории Грузии и основных аспектов становления и развития грузинской дипломатии; знание политической истории зарубежных стран и протекающих в них общественных процессов; знание теорий международных отношений и методов их осуществления на практике; знание истории международной дипломатии; знание основных форм вертикальной и горизонтальной организации государства, основных принципов местного самоуправления; знание основных прав и свобод человека, их пределов и объёма; знание основных принципов международного права и её важные институты; знание истории евроинтеграции и её основных факторов; знание геополитических теорий и внешнеполитической ориентации стран; знание дипломатического этикета; знание основных статей заключения международного договора и важных аспектов его осуществления; знание и осознание факторов международного порядка, проблем глобализации и безопасности; изучение политической системы современной Грузии;

Сфера трудоустройства - У выпускника по бакалаврской программе международных отношений будет дана возможность работать на любой работе и должности, где не требуется академической степени магистра. Публичные организации; Международные, межгосударственные и неправительственные организации; в государственных структурах; в ведущих грузинских компаниях, имеющихтесныесвязисзарубежнымипартнерами;вгрузинскихпредставительствах международных корпораций и зарубежных организаций; в зарубежных торговых представительствах Грузии; в грузинских и зарубежных вузах; в крупных научных и аналитических центрах; в средствах массовой информации.

Возможность продолжения учебы - Образавательная программа бакалаврията «междунородние отношения» абеспеченно обезательным матеряльным ресурсом и академическим и Вспомогательным персоналом. Соответствующую информацию смотрите в прилагаемых документах.

# სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები



პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი



საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტი



კომერციული და კერძო სამართლის კვლევითი ინსტიტუტი



კულტუროლოგიის კვლევითი ინსტიტუტი



ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი

ბიზნესისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი



ინტერდისციპლინარული სასწავლო-კვლევითი ცენტრი

• "სახელმწიფო-სამართალი-პოლიტიკა-კულტურა"



არჩევნების კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი



სამშვიდობო განათლების ცენტრი



ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრი

## პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საქართველოს ტერიტორიული მოწყობის და მართვის პრობლემების საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე მუშაობა;

ბ) საქართველოში განვითარებული ეთნოკონფლიქტების წარმოშობის მიზეზების კვლევა და განდგომილი რეგიონების მშვიდობიანად შემორიგებისთვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პროექტების დამუშავება:

გ) სამართლებრივი სისტემის საქმიანობის ორგანიზაციული, საკანონმდებლო უზრუნველყოფის და სისხლის სამართლის პოლიტიკის სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების და კონცეფციების მომზადება;

დ) საქართველოს და განდგომილი რეგიონების აკადემიური წრეების შესაძლებელი თანამშრომლობის და ქართველ, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს შორის ნდობის აღდგენისათვის ხელშემწყობი სამშვიდობო განათლების პროექტის (კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივები და ტერიტორიული მოწყობის განსხვავებული მოდელები) მომზადება და დისტანციურად მიწოდება

ე) მონაწილეობა ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

ვ) ორგანიზება ან/და მონაწილეობა სხვადასხვა დონის (ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში საკუთარი ან მოძიებული ფინანსური უზრუნველყოფით;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობა ხელშეკრულებების ან/და მემორანდუმების გაფორმება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედგენისა და განხორციელების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

თ)საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა;

## საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამების განხორციელება და მობილობის სტიმულირება (სტაჟირება, სწავლება, გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით და სხვა);

ორგანიზება ან/და მონაწილეობა სხვადასხვა დონის ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში საკუთარი ან მოძიებული ფინანსური რესურსით;

საერთაშორისო, ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო კულტურული და საინფორმაციო კოორდინაცია;

რეგიონის შიგნით და მის სამეზობლოსთან არსებული კავშირების სისტემური შესწავლა და ანალიზი;

პროგრესული ანალიზი რეგიონალური უსაფრთხოებისა და დემოკრატიული პროცესების შესახებ;

ცივილიზაციათა კონფლიქტების პროგნოზი, მისი რელიგიური ასპექტების კვლევა და ანალიზი;

სახალხო დიპლომატიის (მოლაპარაკების) მნიშვნელობის გაზრდა სამშვიდობო პროცესების არქიტექტურაში და შესაბამისი ტრენინგ-კურსების მომზადება და ჩატარება;

საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

## კომერციული და კერძო სამართლის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა)საქართველოს კომერციული, ბიზნეს და კერძო სამართლის საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე მუშაობა;

ბ) საქართველოში ენერგეტიკის, გაზის, ნავთობის, ბუნებრივი რესურსების, სამშენებლო, კომუნიკაციების, ელექტრონული კომერციის და სხვა მის მსგავს სფეროში პროექტებისდამუშავება:

გ) კომერციული და კერძო სამართლებრივისი სტემის საქმიანობის ორგანიზაციული, საკანონმდებლო უზრუნველყოფის და ბიზნეს სამართლის პოლიტიკის სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების და კონცეფციების მომზადება;

დ) საქართველოს და უცხოეთის აკადემიური წრეების თანამშრომლობის გაღრმავებისათვის განათლების პროექტების მომზადება და დისტანციურად მიწოდება;

ე) მონაწილეობა ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

ვ) ორგანიზება ან/და მონაწილეობა სხვადასხვა დონის (ადგილობრივი, ეროვნულიდასაერთაშორისო)სამეცნიეროკონფერენციებსადასხვასამეცნიერო ღონისძიებებში საკუთარი ან მოძიებული ფინანსური უზრუნველყოფით;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობა – ხელშეკრულებების ან/და მემორანდუმების გაფორმება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედგენისა და განხორციელების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

თ) საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

## კულტუროლოგიის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) მსოფლიო კულტურაში ქართული კულტურის ადგილის გარკვევა;

ბ) კულტურის შეფასების კრიტერიუმების დადგენა;

გ) ქართული კულტურის შექმნისა და განვითარების გზის მეცნიერული შესწავლა;

დ) ქართული კულტურის საერთაშორისო რეზონანსი;

ე) კულტურის დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის პრინციპებთან;

ვ) კულტურის თანამედროვე პრობლემების შესწავლა და ანალიზი;

ზ)ქართული კულტურის ძეგლების შესწავლა და სამომავლო მასშტაბით მათი პროპაგანდისთვის ხელშეწყობა;

თ) კულტურული მემკვიდრეობის არსის მეცნიერული განსაზღვრა და ამ მემკვიდრეობის დაცვისათვის ზრუნვა;

ი) მონაწილეობა ფაკულტეტის კომპეტენაციაში შემავალი უმაღლესი საგანმნათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

კ) საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა.

## ჩინეთის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და პროექტების განხორციელების მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, ჩინეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან;

ბ) კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;

გ) რეგულარული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება, ანალიტიკური ცნობების და მოხსენებების მომზადება თემების მიხედვით.

დ) მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების მომზადება და ჩინური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა.

ე) საერთაშორისო და ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო სფეროებში ურთიერთობის კოორდინაცია;

ვ) სამეცნიერო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, დებატების, სტუდენტური ტელეხიდების მომზადება და ჩატარება;

ზ) საზაფხულო სკოლების ორგანიზების ხელშეწყობა.

# ინტერდისციპლინური სასწავლო-კვლევითი ცენტრის "სახელმწიფო-სამართალი-პოლიტიკა-კულტურა" საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) სოციალური და კულტურის მეცნიერებების როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევითი პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის დანერგვასა და განვითარებას საქართველოში;
ბ) ინტერდისციპლინურ ბაზისზე ემპირიული და სამეცნიერო კვლევების მეთოდების დანერგვა-განვითარებას სოციალური და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით;
გ) სოციალური და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით ემპირიული და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ, შემეცნების თეორიულ და კვლევით ეთიკასთან დაკავშირებულ პრობლემათაშესწავლასა და გაანალიზებასინტერდისციპლინურ დონეზე;
დ) საქართველოს სახელმწიფოუნივერსიტეტებსა და ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობას, აკადემიური გამოცდილების გაზიარებას,გაცვლითი სასაწავლო და კვლევითი ურთიერთობების გამყარებას.
ე)ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გამოქვეყნებას სხვადასხვა საპუბლიკაციო ფორმაში, აგრეთვე სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების მომზადებას (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის) და დანერგვას (მაგ. კონფერენციის, სემინარების, ბლოკ-სემინარის, საზაფხულო სკოლის, ვორკშოპის, მოხსენების, სალექციო კურსის, სიმპოზიუმის და ა.შ. სახით);
ვ) მომავალი მეცნიერებისა და მკვლევარების მომზადებას და მხარდაჭერას, რომლებიც შემდგომში უშუალოდ ითანამშრომლებენ ცენტრთან და ამ ტიპის სხვა ინსტიტუციებთან, ჩაერთვებიან ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

# სამეცნიერო – კვლევითი პროექტები



## 2017 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

1. „საინჟინრო სამართალი“ ხარჯთაღრიცხვა 199, 200 ხანგრძლივობა- 1 წელი

2. საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები- ხარჯთაღრიცხვა 55,200 ლარი, ხანგრძლივობა-2 წელი

3. სამართლის ფილოსოფია- ხარჯთაღრიცხვა 30,492 ხანგრძლივობა-1 წელი,

4. მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია სოციალურ-თეორიულ მიმართებაში“ ხარჯთაღრიცხვა 42, 231, ხანგრძლივობა 1 წელი,

5. კონსტიტუციური სახელმწიფო და ძირითადი უფლებები-ხარჯთაღრიცხვა 27,300, ხანგრძლივობა 1 წელი

6. „საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები. „ (ისტორიული პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი); ხარჯთაღრიცხვა 43,200 ლარი, ხანგრძლივობა 12 თვე

7. „აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში“ 124,200 ხანგრძლივობა- ხარჯთაღრიცხვა 3 წელი

8. „საგამოძიებო სამართალი“; ხარჯთაღრიცხვა 50,400 ხანგრძლივობა 1 წელი

9. „საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში“;ხარჯთაღრიცხვა 98, 400 ლარი, ხანგრძლივობა- 2 წელი,

10. ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში-ხარჯთაღრიცხვა 35.400 ხანგრძლივობა 1 წელი,

11. „ლინგვოკრიმინალისტიკა“ ხარჯთაღრიცხვა 76 800 ხანგრძლივობა- 1 წელი

## 2018 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

1. „საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად““ - ხარჯთაღრიცხვა - 52000 ლარი; ხანგრძლივობა 1 წელი,
2. „საერთაშორისო თანამედროვე ურთიერთობები“ - ხარჯთაღრიცხვა - 87600 ლარი;ხანგრძლივობა 1 წელი,
3. „ნარკოტიკული დანაშაულის ფენომენი, მისი გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის ტაქტიკა და მეთოდოლოგია“ - ხარჯთაღრიცხვა - 65200; ხანგრძლივობა 16 თვე
4. „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობა“ –ხარჯთაღრიცხვა 72000 ლარი;ხანგრძლივობა 16 თვე
5. „სახელმწიფო და სამართლის თეორია“ –ხარჯთაღრიცხვა 44000 ლარი; ხანგრძლივობა 16 თვე
6. „ბოსნია და ჰერცოგოვინას პოსტკომფლიქტური სახელმწიფო მოწყობა და მართვა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“. ხარჯთაღრიცხვა - 52800 ხანგრძლივობა 24თვე
7. „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ - ხარჯთაღრიცხვა 36000 ლარი;ხანგრძლივობა- 1წელი
8. „განათლების სამართალი“ – ხარჯთაღრიცხვა 133200 ლარი ხანგრძლივობა 2 წელი,
9. “კანტის პოლიტიკური წერილების თარგმნა“ - ხარჯთაღრიცხვა 21330ლარი, ხანგრძლივობა- 18 თვე
10. “კრიმინოლოგის მონოგრაფიის შექმნის შესახებ“- ხარჯთაღრიცხვა-7200 ლარი ხანგრძლივობა 1 წელი,
11. მთარგმნელობითი პროექტი- "International Law and International Relations" – ხარჯთაღრიცხვა 52, 133 ლარი ხანგრძლივობა 12 თვე
12. „დანაშაულიდან სასჯელამდე“ – ხარჯთაღრიცხვა- 12 900 ლარი 7 თვე,
13. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების სამართალი“ – ხარჯთაღრიცხვა 93 600 ლარი ხანგრძლივობა- 18 თვე
14. „ჯანდაცვის სამართალი“ – ხარჯთაღრიცხვა 177 600 ლარი, ხანგრძლივობა – 2 წელი
15. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა- ხარჯთაღრიცხვა 48,000 ლარი ხანგრძლივობა – 1 წელი
16. სამართლის მეთოდები- ხარჯთაღრიცხვა 28,8000 ლარი, ხანგრძლივობა – 1 წელი
17. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართალი- ხარჯთაღრიცხვა- 93,600, ხანგრძლივობა 18
18. „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“ ხარჯთაღრიცხვა 104,400 ხანგრძლივობა, – 2 წელი,
19. „მტკიცების (მტკიცებულებათა შეგროვების, საპროცესო დამაგრების შემოწმებისა და შეფასების) აქტუალური პრობლემები“ – ხარჯთააღრიცხვა- 51,000 ლარი, ხანგრძლივობა - 1 წელი.

# 2017 წლის 18 ოქტომბერს სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას მიერ წარდგენილი პროექტი „საინჟინრო სამართალი“

პროექტი დამტკიცდა, ვინაიდან სტუ, როგორც ქვეყნის ნომერ პირველი ტექნიკური უნივერსიტეტი, მუდმივად ისწრაფვის განახლებისა და სიახლეების დანერგვისაკენ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო პროგრამების შემოღება, რომლებიც ორიენტირებული იქნება ბაზრის მოთხოვნებზე.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს კომბინირებულ საბაკალავრო პროგრამას, კერძოდ სამართლისა და ინჟინერიის ერთობლივი პროგრამა, რომელიც დაინერგება ცალკე სასწავლო პროგრამის საინჟინრო სამართლის სახით.




საინჟინრო მეცნიერებისა და სამართლის ერთობლივი პროგრამა არ დანერგილა არცერთ პოსტსაბჭოთა სივრცის უნივერსიტეტში. მაშასადამე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კერძოდ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი იქნება პირველი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის, დანერგავს და წარმატებით განახორციელებს აღნიშნულ კომბინირებულ საგანმანათლებლო კურსს.

საინტერესოა, ის ფაქტი, რომ მოცემული კურსი წარმატებით არის დანერგილი სიდნეის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვებგვერდის მიხედვით, ეს არის სამართლისა და ინჟინერიის ფაკულტეტის ერთობლივი კურსი, რომელიც მოიცავს სწავლებას და ტექნიკური საგნების სიღრმისეულ ცოდნას.

პროექტის ხელმძღვანელს წარმოადგენს სტუ-ს რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი, პროექტის მენეჯერები იქნებიან: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია, სტუ-ს სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე და ასოცირებული პროფესორი გიორგი გორაძე. დაკომპ-

ლექტებულია ასევე სამუშაო ჯგუფი, ხარისხის ექსპერტი და ტექნიკური პერსონალი. მათი ერთობლივი საქმიანობის შედეგად შეიქმნება ისეთი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა, რომლის დასრულების შემდგომ სტუდენტს ექნება ორმაგი დიპლომი, როგორც ინჟინერის ასევე, სამართლის მიმართულებით. ასევე, შედგენილია პროექტის ბიუჯეტი რომელიც სამი ხარჯვითი ნაწილისაგან შედგება.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ინტელექტუალური ბაზა, რათა სათანადო მომზადების შემდეგ მოხდეს "საინჟინრო სამართლის", როგორც ცალკე სასწავლო პროგრამის დანერგვა. კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს როგორც: იურისტი ეკოლოგიური სამართლის, ტექნოლოგიური კანონმდებლობისა და სპეციალური სისხლის სამართლის სფეროებში, საინჟინრო კორპორაციების კონსულტანტი, იურისტკონსულტი ან მენეჯერი და ა.შ. მათ განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები ინდუსტრიაზე ძლიერი აქცენტებით, რაც აუცილებელია ინჟინერიასა და სამართალს შორის რთული კავშირების გასაგებად. კურსი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ მიიღონ უმაღლესი პროფესიული იურიდიული განათლების სრული კურსი საინჟინრო მეცნიერებების კვალიფიკაციასთან ერთად.

კურსი მოიცავს 264 კრედიტს, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ უმაღლესი განათლება ცალკე ტექნიკური მეცნიერებების ბაკალავრის და ცალკე სამართლის ბაკალავრის ხარისხით.

აღნიშნული პროექტი ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას და აკადემიური დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ შემუშავდა იურიდიულ მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის გამო ისეთ სფეროებში, რომლებშიც საჭიროა რთული ტექნიკური საკითხების ცოდნა. ასეთი სპეციალისტების დიდი მოთხოვნილებაა, როგორც კერძო იურიდიულ ფირმებში, ისე მანქანათმშენებლობაში.

პროექტის ფარგლებში შემუშავდება როგორც უშუალოდ საინჟინრო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა, ასევე შეიქმნება სპეციალური ლიტერატურა ქართველის მეცნიერების მიერ, ითარგმნება უცხოური ლიტერატურა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ჩამოყალიბდება სრულყოფილი სასწავლო პროგრამა.

# აკადემიური დეპარტამენტები

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტები წარმოადგენენ ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციულ ერთეულს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.



2017 წლის 19 სექტემბერს სტუ-ს რექტორმა აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილმა და სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას შუამდგომლობის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება ფაკულტეტზე შექმნილიყო სამართლის სამი აკადემიური დეპარტამენტი:
სისხლის, საჯარო და კერძო სამართლის.
სისხლის სამართლის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ჯემალ ჯანაშია, კერძო სამართლის დეპარტამენტს პროფესორი ციალა გლოველი, ხოლო საჯარო სამართლის დეპარტამენტს პროფესორი მარიამ ჯიქია.

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, 2006 წლიდან პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაზაზე ჩამოყალიბდა და 2013 წლიდან უკვე ფუნქციონირებდა როგორც სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, შემდგომში პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი იგორ კვესელავა.

სამართლის დეპარტამენტის ისტორია
1978 წელს პატენტმცოდნეობის კათედრის შექმნით დაიწყო, დროთა განმავლობაში კათედრა იცვლებოდა, ფართოვდებოდა, ყალიბდებოდა სამართლის კათედრად, რომელსაც უნდა ეპასუხა თანამედროვე გამოწვევებისათვის და კონკურენცია გაეწია სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ეპასუხა დროისა და თანამედროვეობის მოთხოვნებისათვის. კათედრასა და შემდგომში სამართლის დეპარტამენტს ჩამოყალიბების დღიდან ხელმძღვანელობდნენ სამართლის სფეროში გამოჩენილი მეცნიერები და პროფესორები: მინდია უგრეხელიძე, ქეთევან ქოქრაშვილი, ზაზა რუხაძე, ჯემალ გახოკიძე და ირაკლი გაბისონია.

# ბიბლიოთეკა



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი შედგება სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან. მათ შორისაა ისეთი უნიკალური (რარიტეტული) გამოცემები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ აქაა დაცული და უიშვიათეს ეგზემპლარებს წარმოადგენს, კერძოდ, დაცულია XVIII, XIX და XX საუკუნეების ტექნიკური, საინჟინრო და ჰუმანიტარული სპეციალობის ქართული, ევროპული და ამერიკული გამოცემები.



სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ირაკლი გაბისონიას შუამდგომლობით ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე სასწავლო წელს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ეფექტურად წარმართვის მიზნით შეძენილ იქნა 100 000 ლარის უახლესი იურიდიული სახელმძღვანელოები

ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ სამკითხველოში სულ 4 000-ზე მეტი წიგნი ინახება.

სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 1992 წლიდან 2018 წლამდე არსებობს 1.768432 სახელმძღვანელო, ამას გარდა, ინახება სამეცნიერო ჟურნალები და ნაშრომები





საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს წვდომა lsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე – სამეცნიერო ბაზებზე: scienceDirect, Scopus.

# სტუდენტური თვითმმართველობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ფაკულტეტიდან არჩეული 31 დელეგატისგან.







სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობს ფაკულტეტის მართვა-გამგეობაში,ხელს უწყობს სტუდენტთა კულტურულ-სპორტული და სოციალური ცხოვრების განვითარებას და წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს ად მინისტრაციასთან ურთიერთობაში.




სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტთან შეთანხმებით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს შემდეგ სფეროებში: განათლება, კულტურა, სპორტი, სოციალური საკითხები.



# ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ასევე, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, ხარისხის სისტემატური შეფასების, განათლების ხარისხის მუდმივი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების შესაბამისად.






ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახ-ურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ხარისხის უზრუნ-ველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ

# სამართლის კლინიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული სამართლის კლინიკა ახორციელებს უფასო იურიდიულ კონსულტაციებს.



სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებით:

სისხლის სამართალი;

საჯარო სამართალი;

კერძო სამართალი.






საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის სტუდენტები გამოცდილი პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით:

- ✓ ახორციელებენ მოქალაქეთა მიღებას;
- ✓ გასცემენ ზეპირ და წერილობით იურიდიულ კონსულტაციებს;
- ✓ მონაწილეობას იღებენ საქმის განსახილველად მომზადებაში
- ✓ ესწრებიან სასამართლო პროცესებს.







კონსულტაცია ხორციელდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 12:00-დან 18:00-სთ-მდე.
მის.: მ.კოსტავას ქუჩა 77, სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული.
ტელ: 2-36-53-41
მობ: 557 99 88 41

# სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის დებულება

**მუხლი 1. სტატუსი**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის სტატუსსა და ფუნქციებს;

2. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა (შემდგომში ,,კლინიკა,,) წარმოადგენს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სასწავლო საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფაკულტეტზე რეალიზებული სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას უზრუნველყოფს;



3. კლინიკა, ამ დებულებით, სამართალმცოდნეობის აკადემიური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების საფუძველზე უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკული კურსის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია გამოუმუშავოს ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარჩვევები;

4. სამართლის კლინიკა წარმოადგენს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს;

**მუხლი 2. ფუნქციები**

1.კლინიკა უზრუნველყოფს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული (სასწავლო და საწარმოო) პრაქტიკის კურსის სასწავლო კომპონენტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო მერვე სემესტრისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ რეალიზაციას;

2.სამართლის კლინიკა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, სტუდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) რეალურ ან/და იმიტირებულ ცხოვრებაში გამოცდას. არჩეული სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას და მის გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; სტუდენტის მზაობის შემოწმებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში.

**მუხლი 3. მიზანი**

კლინიკური სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტში შემდეგი სილაბუსით გათვალისწინებული ზოგადი და პროფესიული კომპეტენციების, ასევე კონკრეტული უნარების განვითარებას:

ა)პროფესიული საქმიანობისას ოპერატიული ინფორმაციის მოძიება, პირველადი მონაცემების ინტერპრეტაცია, შეფასება, დამუშავება და შენახვა (ფიქსაცია);

ბ) თეორიული ცოდნის პროფესიულ (რეალურ ან იმიტირებულ) კონტექსტში გამოყენება;

გ) სამართლებრივი დებულებებისა და დოკუმენტების შემუშავება;

დ)სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ფაქტობრივი მოცემულობის სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია);

ე)საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენელთა იურიდიული კონსულტირებისა და იურიდიული მომსახურების გზით ამ პუნქტის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრული უნარების პრაქტიკული აპრობაცია, კომუნიკაციის უნარის განვითარება.

**მუხლი 4. საქმიანობის სფერო და წესი**

4.1.სასწავლო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა)მოსამზადებელი შეხვედრა; სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ და სილაბუსის შინაარსის გაცნობა, იმიტირებული პროცესების დაგეგმვა;

სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება;

ბ)სილაბუსის შესაბამისად დაგეგმილი აქტივოვების განხორციელება;

გ)სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

დ) პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ე) პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;

ვ) პრაქტიკის საბოლოო შეფასება

4.2. კლინიკური სწავლების აქტივობები შეიძლება იყოს:

ა)საქართველოს კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის სამუშაოები;

ბ)იმიტირებული პროცესების მოწყობა და მასში სტუდენტების ჩართვა მიმართულებების მიხედვით;

გ)იმიტირებული პროცესების შედეგებზე დისკუსიების მოწყობა, პროცესის შედეგების განხილვა; სტუდენტების მიერ პროცესის მონაწილეთა (მოსარჩელის, მოპასუხის,დაცვის მხარის,ბრალდების მხარის) დამათი წარმომადგენლების პოზიციების გაანალიზება და შეფასება (წერილობით და ზეპირად); განსახილველ დავაზე გადაწყვეტილების პროექტის შედგენა(წერილობით);

დ) სტუდენტები სამართლის კლინიკის ფარგლებში შეისწავიან სამართლის კლინიკის პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკულ კურსებს, რაც საშუალებას მისცემს მათ ჩამოიყალიბონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

ე) სასამართლო პროცესებზე სტუდენტების დასწრება;

ვ) სისხლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოების იმიტირებული პროცესები;

ზ) გამოვლენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე სახალხო დამცველის აპარატში შუამდგომლობის შეტანა ,,სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;

თ)პრაქტიკის ხელმძღვანელობის მიერ სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება;

ი)სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციების ორგანიზება და გაწევა პრაქტიკის ხელმძღვანელის ან/და სილაბუსით გათვალისწინებული მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით;

კ)სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებისათვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა პრაქტიკის ხელმძღვანელის ან/და სილაბუსით გათვალისწინებული მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით (ორმაგი მოქალაქეობის მიღებისათვის საბუთების მომზადება; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული წარმოების დოკუმენტების მომზადება; სამოქალაქო-სამართლებრივი კონტრაქტების პროექტების მომზადება; ადმინისტრაციული საჩივრების შედგენა; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საჩივრების შედგენა; სარჩელებისა და შესაგებლების შედგენა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ დავებზე და სხვ.); ამ მიზნით: თითოეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე იხსნება რეესტრი (კლინიკის მიერ დამტკიცებული ფორმის დაცვით);

4.4 სტუდენტები, ერთად ადგენენ განცხადებებს, სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებს, შესაგებლებს სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებზე და სხვა პროცესუალურ (სამართლებრივ) დოკუმენტებს; სწავლობენ საქმის მასალებს და მოიპოვებენ მტკიცებულებებს;მონაწილეობას ღებულობენ სასამართლო და ადმინისტრაციულ წარმოების როცესებზე და როგორც წარმომადგენლები იცავენ მარწმუნებლის ინტერესებს.

**მუხლი 5. სილაბუსი**

სამართლის კლინიკა ფუნქციონირებს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო აკადემიური პროგრამის შემდეგი სილაბუსებით:

ა)პროფესიული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკა საჯარო (კონსტიტუციურ და ადმინისტრაციულ) სამართალში.

ბ)პროფესიული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკა კერძო სამართალში; გ)პროფესიული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკა სისხლის სამართალში;

**მუხლი 6. სტრუქტურა**

1.კლინიკას ხელმძღვანელობს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის მიერ შერჩეული იურისტი.

2.კლინიკაში საქმიანობას ახორციელებენ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანისა და სამართლის კლინიკის ხელმძღვანელის მიერ შერჩეული პირები;

3.კლინიკაში სამუშაოდ შეიძლება მოწვეულ იქნან პრაქტიკოსი სპეციალისტები.

**მუხლი 7. შეფასება**

1.სტუდენტის მიერ სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის ათვისების შეფასება ხდება კლინიკური სწავლების შედეგად მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით ერთიანი შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემის საფუძველზე;

# სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებულ, წევრობაზე დაფუძნებულ სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა გაერთიანებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 22 აპრილს.












## კლუბის ფუნქციები

ა) კურსდამთავრებულთა მიერ საჯარო ლექციების ჩატარება (მათ შორის სალექციო კურსების შექმნა);
ბ) შეხვედრა/დისკუსიების ორგანიზება სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე;
გ) ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება;
დ) ელექტრონული და ბეჭვდითი ჟურნალის გამოშვება;
ე) ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების გამოშვება/პრეზენტაცია;
ვ) სოციალურ აქტივობების ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება.

## კლუბის მიზნებია:

- ✓ სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა;
- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;
- ✓ სამართლის ცალკეულ დარგებში ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სამეცნიერო სტუდენტური პროექტების ორგანიზება.





# სტუდენტური კლუბები



ახალგაზრდა იურისტთა კლუბის შექმნის მიზანია სამართლის სპეციალობის სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა პროექტებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში

ახალგაზრდა იურისტთა კლუბი
Young Lawyers' Club

სტუ-ს ეკომოლაშქრეთა კლუბის მიზანია საქართველოს კულტურული ძეგლების, ეკლესია-მონასტრების პოპულარიზაცია და მათი შენარჩუნებისათვის გარკვეული აქტივობის განხორციელება

ჩინური ენის კლუბის მიზანია ჩინური ენის პოპულარიზაცია და იმ სტუდენტების ხელშეწყობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩინური ენითა და კულტურით



ახალგაზრდა იურისტთა კლუბი

საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი

ჩინური ენის კლუბი

სტუ-ს ეკომოლაშქრეთა კლუბი



საერთაშორიიო ურთიერთო-ბების კლუბი ეხმარება სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში

# აუდიტორიები

2017 წლის 31 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე გაიხსნა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას სახელობის კაბინეტი.



კაბინეტი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორიის დაარსება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის ირაკლი გაბისონიას, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის იგორ კვესელავასა და ასოცირებული პროფესორის გიორგი კალანდაძის ინიციატივა იყო, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფაკულტეტის სტუდენტები.





2017 წლის 14 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძემ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანთან ირაკლი გაბისონიასთან ერთად გახსნა ნატოსა და ევროკავშირის აუდიტორია.



# ლაბორატორიები



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2016 წლიდან ფუნქციონირებს საჯარო სამართლის ლაბორატორია.

ლაბორატორიის მიზანია სამეცნიერო კვლევების და საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციალის მნიშვნელობის გაზრდა, აგრეთვე კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ჩართული და დაინტერესებული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის ხელშეწყობა.






საჯარო სამართლის ლაბორატორიაში ექსპოზიციის სახით წარმოდგენილია მსოფლიოს ოცდაათზე მეტი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკა, პირველი და უძველესი კონსტიტუციების რეპროდუქციები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, კონსტიტუციასა და კანონშემოქმედებაზე. რაც დიდ ინტერესს და მოწონებას იმსახურებს სტუდენტებში და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სიამაყეს წარმოადგენს.



სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული სასწავლო კრიმინალისტიკის ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და ემსახურება სტუდენტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და სწავლების პროცესს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორია არის პრეცედენტი სასწავლო ბაზაზე არსებული ლაბორატორიის სახით და გარანტი იმისა, რომ ფაკულტეტი მოამზადებს და საზოგადოებას წარუდგენს პროფესიონალ კადრებს.





# პროექტი „ქმედებიდან დანაშაულამდე" და „დანაშაულიდან სასჯელამდე"

2016-2017 სასწავლო წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის, კრიმინალისტიკის ლაბორატორიისა და სამართლის კლინიკის ორგანიზებით განხორციელდა პრაქტიკული პროექტი ,,ქმედებიდან დანაშაულამდე‘‘ და ,,დანაშაულიდან სასჯელამდე‘‘. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას და მათ მომზადებს პრაქტიკული საქმიანობისათვის.

პროექტი მნიშვნელოვანი იყო ვინაიდან, სტუდენტთა ჯგუფები ასრულებდნენ რეალურ მოქმედებებს, კერძოდ, ისინი გადიოდნენ შემთხვევის ადგილას, იღებდნენ შესაბამის ნიმუშებს კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში არსებული ნიმუშების მიხედვით, ასრულებდნენ საქმის გამოძიებისათვის დადგენილ ყველა ღონისძიებას, შემდეგ საქმე გადაეცემოდა სტუდენტების მიერ დაკომპლექტებულ პროკურორის გუნდს, რომლებიც გამომძიებლებთან ერთად ასრულებდნენ საგამოძიებო მოქმედებებს. საქმის სრულყოფილად გამოძიებისა და ბრალდებულის გამოვლენის შემდგომ საქმეში ერთვებოდნენ ადვოკატები და იმართებოდა სასამართლო პროცესები, საბოლოოდ კი პროექტი სრულდებოდა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებით.

პროექტი თავისი ხასიათით მასშტაბური იყო, რადგან მასში ჩართულები იყვნენ პრაქტიკოსი პროკურორები, ადვოკატები რომლებიც სტუდენტებს პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად თეორიულადაც ასწავლიდნენ საქმის გამოძიების სპეციფიკას. თითოეულ პროექტში 50-მდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას.



2018 წლის 1 თებერვლიდან 2018 წლის 1 აგვისტომდე სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინიციატივით ხორციელდება პრაქტიკული პროექტი "დანაშაულიდან სასჯელამდე",

პროექტის ფარგლებში შეიქმნება სტუდენტური ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდებათ ტრენინგები და პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით მოემზადებიან იმიტირებული დანაშაულისათვის, რის შემდგომაც სტუდენტები იწყებენ იმიტირებული საქმის გამოძიების შესწავლას, მტკიცებულებების მოპოვებას.

პროექტის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ იმიტირებულ საქმეზე მუშაობის სპეციფიკას, საგამოძიებო ოქმების შევსების მეთოდს და საგამოძიებო მოქმედებების თანმიმდევრულად წარმართვას.

სტუდენტები ასევე ეცნობიან საქმის ელექტრონულ წარმოებას, რის საფუძველზეც იყალიბებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები გამოკითხვის მეთოდიკას გამოიყენებენ პრაქტიკაში, ასევე, ბრალდებულის დაკავებისა და დაკითხვის მეთოდიკას და მოწმის დაკითხვის მეთოდიკას შეისწავლიან.

პროექტის დასასრულს ხდება მხარეების საბოლოო გადამზადება და გაიმართება იმიტირებული პროცესი.

პროექტს ხელმძღვანელობს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ჯემალ გაბელია.





# ფაკულტეტის აქტივობები



საჯარო ლექციათა ციკლი

გაცვლითი პროგრამები

პროექტი „შეხვდი დამსაქმებელს“

უცხოეული პროფესორების ვიზიტი/საჯარო ლექციები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა სახელმწიფო უწყებებში

სტუდენტთა სოციალური პროექტი

საერთაშორისო თანამშრომლობა

სტუდენტთა საერთაშორისო ღონისძიებები / პროექტები

სამეცნიერო მივლინებები

სამეცნიერო პროექტები

იმიტირებული პროცესები

საგაზაფხულო ზამთრის სკოლები

სტუდენტური პროექტების დაფინანსება

პროექტი „ქმედებიდან დანაშაულამდე“

სტუდენტური კონფერენციები, ვორქშოფები, აქტივობები

# პროექტი ,,შეხვდი დამსაქმებელს“

2018 წლის 13 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინიციატივით განხორციელდა პროექტი „შეხვდი დამსაქმებელს“, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება მომავალ დამსაქმებლებთან. პროექტის ფარგლებში უპირველესად, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები მოიწვიეს.





პროექტის ,,შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გაცვლა პრაქტიკოს იურისტებსა და ფაკულტეტზე მოღვაწე მეცნიერებს შორის, პროფესორებმა გააცნეს შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, პროკურატურის თანამშრომლებმა კი თავის მხრივ,მოისმინეს სამეცნიერო თვალ-საზრისით გამოვლენილი რეკომენდაციები და ერთობლივი მუშაობის ფორმატით მუშაობის სურვილი გამოთქვეს. ფაკულტეტის მიზანი აღნიშნული შეხვედრის ორგანიზების მდგომარეობდა გარდა სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის გაზ-რდისა და დასაქმებისა სისხლის სამართლის მოდულის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების შეფასებასა და განხილვაში, რადგან ფაკულტეტზე სამომავლოდ უფრო დახვეწილი და პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთული პროგრამები შეიქმნას.



2018 წლის 20 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტ „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მოიწვია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი და დეპარტამენტის უფროსები.



ღონისძიება გახსნა სტუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ინტერდისციპლინარული პროექტების მნიშვნელობაზე, გააცნო საზოგადოებას უნივერსიტეტის ფარგლებში ჩამოყალიბებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ისაუბრა პროექტის ,,საინჟინრო სამართლის‘‘ შესახებ



გაიმართა დისკუსია სამართლის სასწავლო-პროგრამების მოდიფიკაციასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- არჩევით ბლოკს დაემატოს ისეთი სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა სასამართლო ფსიქიატრია და სასამართლო მედიცინა,
- საინჟინრო სამართლის დანერგვისას გასათვალისწინებელი საკითხები,
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სილაბუსებში გათვალისწინებული საკითხები, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის დანიშვნასთან.





2018 წლის 3 თებერვალს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტის „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე თინათინ დევდარიანი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრები, ნოტარიუსები: მეგი მაღალდაძე და მანანა გოგაშვილი, ქ. თბილისის ნოტარიუსები დავით ოყროშიძე, ოთარ გოლოძე, ლალი ჯანუყაშვილი და თამილა გოგატიშვილი.






2018 წლის 10 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტ „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე.








2018 წლის 16 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტის „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე იოსებ ბალათურია და თავმჯდომარის მოადგილე მირიან ხარაბაძე შეხვდნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.





**2018 წლის 2 მარტს სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტის „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან დავით ასათიანთან და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრებთან.**

შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორ ირაკლი გაბისონია, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის. მისასალმებელ სიტყვაში დეკანმა ხაზი გაუსვა ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობას, ორიოდე სიტყვით მიმოიხილა სამეცნიერო პროექტები, მათ შორის, საინჟინრო სამართალი, მედია სამართალი, საგამოძიებო სამართალი და სხვა. ყურადღება გაამახვილა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში პრაქტიკოსი ადვოკატების რეკომენდაციებისა და შენიშვნების ასახვაზე სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში.









სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მიესალმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, რომელმაც ხაზი გაუსვა ასოციაციის მიერ დაგეგმილ რეფორმებს, ე.წ. ფრანგულ მოდელზე გადასვლის და მენტორ-ადვოკატის დამკვიდრების შესაძლებლობებს. ყურადღება გაამახვილა იმ კომპონენტზე, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს პრაქტიკოს ადვოკატს, მათ შორის, კლიენტთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე, ადვოკატის მიერ ჰონორარის მოთხოვნის საფუძველზე, საადვოკატო ბიუროს მმართვაზე, საქმიანობის პრინციპებზე, ორატორული ხელოვნების ასპექტებზე და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვაზე.

ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეკითხვებს უპასუხეს მოწვეულმა სტუმრებმა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჭეხანმა, აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გიორგი ტურაზაშვილმა, ეთიკის კომისიის წევრებმა: თორნიკე ბაქრაძემ, ინგა სეხნიაშვილმა და გია ტაბლიაშვილმა, ასევე, სარევიზიო კომისიის წევრმა რაჟდენ კუპრაშვილმა.

შეხვედრა აქტიურად წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

**2018 წლის 17 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით პროექტის „შეხვდი დამსაქმებელს“ ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, მთავრობის წევრები, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავა, დეპუტატები და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის პასუხისმგებელი პირები შეხვდნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.**



ღონისძიება გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და ხაზი გაუსვა მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობას. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სტუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია.




აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა მთავრობის 2015-2017 წლების ანგარიშით, სადაც დეტალურად მიმოიხილა განხორციელებული პროექტები.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა მწვავე დისკუსია მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა(გია) გვაზავა, თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველი მოადგილე — ბელა კოპალიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი-ქეთევან ბაკარაძე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი- მურმან ფარფალია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე-იგორ კოპალიანი, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე- როლანდ ნიჟარაძე, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველი მოადგილე- ბელა კოპალიანი, მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი-მაყვალა ბერიანიძე, მთავრობის აპარატის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე- მარინა შენგელია და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



# უცხოური დელეგაციის ვიზიტი





2017 წლის 7 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი მოსამართლეები და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები ესტუმრნენ: აშშ-ს ჯორჯიის შტატის კობის ოლქის მოსამართლე ანა ჰარისი, აშშ-ს ჯორჯიის შტატის ჰენრის ოლქის მოსამართლე ბენ სტადარტი, მაიკლ კუკარო სასამართლო ადმინისტრატორი, ჯორჯიის შტატის სასამართლო საბჭოს დირექტორის მოადგილე და ნინო მარდალეიშვილი აშშ-ს საელჩოს ანტი-ნარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სამსახურის პროგრამის კოორდინატორი.










***2017*** წლის ***25-26*** მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვია გერმანიის ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დელეგაცია:

პროფესორი ჰანს იორგ ალბრეხტი-გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი,

პროფესორი პეტერ იურგენ გრაფი-გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე.

დოქტორ ვოლფრამ შედლერი- გერმანიის გენერალური პროკურატურის ყოფილი პროკურორი, ადვოკატი.

დოქტორ მიხაელ კილხლინგი- მაქს პლანკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი და რესტოვრაციული სამართლის ევროპული ფორუმის ხელმძღვანელი- ***Chairperson of the European Forum For Restorative Justice.***

ელიკო წიკლაური-ლამიხი, ყოფილი სსრკ-ს ტრანზიციული ქვეყნების გარდამავალი სამართლებრივი რეფორმების განყოფილების ხელმძღვანელი, მაქს პლანკის ინსტიტუტის დოქტორი, პროფესორი.

თეოდორ ლამიხი- მაქს პლანკის ინსტიტუტის დოქტორანტი.









2018 წლის 15 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით სტუმრად ეწვია რომის ლა საპიენსას და რომის ლინქ ქამფუს უნივერსიტეტებიდან დელეგაცია.

- ანდრეა კარტნეი-რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის რექტორის დელეგატი - საერთაშორისო სტუდენტურ მობილობაში, CEMAS-ის კვლევითი ცენტრის დირექტორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ისტორიის პროფესორი, ევრაზიის ისტორიის დოცენტი.
- გაბრიელ ნატალიცია - რომის ლინქ-ქამფუს უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, პოლიტიკურ მეცნიერებებში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის და პოლიტიკური მეცნიერებების ლექტორი, პროფესორი
- ნენო გაბელია-რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი, მკვლევარი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში.







2018 წლის 16 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით და გერმანიის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ფაკულტეტს ეწვია შემდეგი დელეგაცია:

- სტუ-ს საპატიო დოქტორი, პროფესორი ჰანს იორგ ალბრეხტი,
- ფრაიბურგის მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ელიკო წიკლაური-ლამიხი,
- ბურიატსკის (ულან უდე) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ელვირა რადნაევა,
- ისტამბულის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სელმან დურსუნი,
- ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კარიმ სალიმოვი







2017 წლის მაისში უკრაინაში ქალაქ ზაპოროჟიეს სახელმწიფო ნაციონალურ ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 16-17 ნოემბერს ფაკულტეტზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ზაპოროჟიეს სახელმწიფო ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის, სამართლის კათედრის ხელმძღვანელი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, უკრაინის დამსახურებული იურისტი ქალბატონი ტატიანა ლეონენკო და უკრაინის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტი, უკრაინის კრიმინოლოგთა ასოციაციის წევრი მაქსიმ ლეონენკო.



# უცხოელი პროფესორების საჯარო ლექციები



2017 წლის 26 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით მაქს პლანკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა და რესტოვრაციული სამართლის ევროპული ფორუმის ხელმძღვანელმა, დოქტორმა მიხაელ კილხლინგმა,წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „მიგრანტები, როგორც მსხვერპლნი: ვიქტიმოლოგიური პერსპექტივები ადამიანთა ვაჭრობისა და კონტრაბანდის კუთხით“.



2017 წლის 29 მაისს მაქს პლანკის ინსტიტუტის პროფესორმა, ყოფილი სსრკ-ს ტრანზიციული ქვეყნების გარდამავალი სამართლებრივი რეფორმების განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ელიკო წიკლაური-ლამიხმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „ტრანზიციული სამართალი გერმანიის გამოცდილების მიხედვით“.






**2017 წლის 31 ოქტომბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით ბონის ფრიდრიხ ვილჰემის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა თეო კობუშმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: სამართლებრივი სახელწიფო, როგორც სოციალური სახელმწიფო“**

დოქტორი თეო კობუში გახლავთ ანალიტიკური ფილოსოფიისა და რომაულ-კათოლიკური თეოლოგიის სპეციალისტი. ასევე, არის 2003 წლიდან ფილოსოფიის კათედრის გამგე. აგრეთვე, დირექტორი ბონის უნივერსიტეტში. დოქტორი კობუში „ფილოსოფიის ისტორიის ლექსიკონის“ თანარედაქტორია. იგი ასევე არის ფილოსოფიის გერმანულენოვან დოცენტთა კონსორციუმის თავმჯდომარე და ანტიკური ფილოსოფიის საზოგადოების საქმეთა დირექტორი.





**2017 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით გერმანელმა პროფესორმა ვალტერ იეშკემ ჩაატარა საჯარო ლექცია.**

ვალტერ იეშკე, გახლავთ კლასიკური გერმანული ფილოსოფიის უბადლო სპეციალისტი, ის ხელმძღვანელობს ჰეგელის აკადემიის გამოცემას, ასევე ჰეგელის არქივს გერმანიაში ბოხუმის რურის უნივერსიტეტში. პროფესორ ვალტერ იეშკემ დაამთავრა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი ფილოსოფიისა და რელიგიური ისტორიის დარგში. დასაფასებელია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა გამოცემული აქვს არაერთი ღირებული ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც ცნობილია მთელ მსოფლიოში, მათ შორისაა, სახელმძღვანელო „კლასიკური გერმანული ფილოსოფია ჰეგელისგან“. 2014 წელს იგი არჩეულ იქნა ჩრდილოეთ ღჰინე-ჭესტპჰალიან მეცნიერებათა აკადემიის წევრად.



**2018 წლის 26 აპრილს სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით იტალიის ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი შეხვდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს და ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო-იტალიის ურთიერთობები“**









**2018** წლის **16** მაისს სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის რექტორის დელეგატმა - საერთაშორისო სტუდენტურ მობილობაში, **CEMAS**-ის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ისტორიის პროფესორმა, ევრაზიის ისტორიის დოცენტმა ანდრეი კარტნეიმ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „ევრაზიის პროექტი: მითი თუ რეალობა“.








**2018 წლის 17 მაისს სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რომის ლინქ ქამფუს უნივერსიტეტის პროფესორმა გაბრიელ ნატალიციამ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „უნიპოლარული მომენტის შენარჩუნება; შეერთებული შტატების მართველობის სტრატეგიული მიღწევები ცივი ომის დასრულების შემდეგ“**








2018 წლის 17 მაისს სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მაგდებურგის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა გეორგ ლომანმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიები“. შეხვედრას ესწრებოდა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია და სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ივანე ჯაგოდნიშვილი, ასვეე, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ემერიტუს-პროფესორმა გეორგ ლომანმა თავდაპირველად ისაუბრა ჯონ როულსის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ, შემდგომ განმარტა მისი შეხედულებები ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით და ძირითადი ყურადღება გაამახვილა ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიებზე და მათ განმარტებაზე. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, რომელიც შეაჯამა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთირთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ.




# საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სიხლის სამართლის ინსტიტუტის მიერ 2017 წლის 25 მაისს გაიმართა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: ,,თანამედროვე ტექნოლოგიები, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალური პრობლემები, ზღვარი თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის". პროფესორ ჰანს იორგ ალბრეხტმა გააკეთა მოხსენება თემაზე: ,,თანამედროვე ტექნოლოგიები და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები სისხლის სამართალში. განუსაზღვრელი შესაძლებლობები და მორალი რისკების პირობებში". პროფესორი შეეხო იმ ასპექტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაზე, მიმოიხილა ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მოიყვანა თემატიკასთან დაკავშირებული მაგალითები და დასკვნის სახით საზოგადოებას გაუზიარა საკუთარი შეხედულება.

მეორე მომხსენებლად კონფერენციაზე გამოვიდა სტუ-ს სპიკერი პროფესორი ჯემალ გახოკიძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება თემაზე:



,,ფარული გამოძიება სპეცსამსახურების საქმიანობაში და ადამიანის უფლებები" მან განიხილა სპეცსამსახურების უფლებამოსილების მინიჭებისა და ამ კუთხით ადამიანის უფლებების დაცვის თემატიკა, აღნიშნა,რომ ,,სპეცსამსახურებისათვის უფლებამოსილების გაზრდა აპრიორში არ უნდა ნიშნავდეს ადამიანის უფლებების დარღვევას" კონფერენციის მონაწილეებს გააცნო

რამდენიმე ქვეყნის მაგალითი და იქ განხორციელებული ცვლილებები. ყურადღება გაამახვილა სპეცსამსახურების დამსახურებებზე, მიღწევებსა და შესაძლებლობებზე, ამ კუთხით წარმოადგინა გარკვეული რეკომენდაციები და სთხოვა გერმანულ დელეგაციას ქართველ მეცნიერებთან ერთად ემუშავათ აღნიშნულ პრობლემატიკაზე.



პროფესორმა პეტერ იურგენ გრაფმა გააკეთა მოხსენება თემაზე: ,,ტელეკომუნიკაციების ოპერატიულ ვიდეო-აუდიო ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობები და საზღვრები,გლობალური ტერორისტული საფრთხეების და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში‘‘, რომლის დროსაც მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, ყურადღება გაამახვილა აუდიო- ვიდეო საშუალებებზე, როგორც ინფორმაციის მოპოვების საშუალებებსა და ტერორისტული საფრთხეების მაპროვოცირებელ ფაქტორებზე.

თეოდორ ლამიხმა და ელიკო წიკლაურმა-ლამიხმა ერთობლივად მიმოიხილეს ,,დარკნეტი/ ვაჭრობა ვირტუალურ სივრცეში და რეალური დანაშაულობა‘‘-სთან დაკავშირებული პრობლემატიკა.



თეოდორ ლამიხმა განმარტა ქსელში მუშაობის თემატიკა, თაღლითური პროგრამები, კრიპტოგრაფიული გაყალბებისაგან დაცვის ტექნოლოგია. სრულად მიმოიხილა დარქნეტის საფრთხეები და არსებული პრაქტიკა, დანაშაულის გამოვლენის და აღკვეთის საშუალებები.



**2017 წლის 16 ნოემბერს სტუ-ს საკონფერენციო დარბაზში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მსოფლიო და გენდერი 4“.** კონფერენციას ორგანიზება გაუწია სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის დამფუძნებელმა პროფესორმა მაია ყიფიანმა, რომელიც ცენტრის ფარგლებში მეოთხედ ატარებს საერთაშორისო დონის კონფერენციას.

კონფერენციის სამუშაო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო. მომხსენებლებმა ძალზედ მნიშვნელოვანი თემები წამოჭრეს, სულ 59 მომხსენებელი წარდგა საზოგადოების წინაშე.

**2017 წლის 23 მაისს საქართველოს პარლამენტში ჩატარდა კონფერენცია: „დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და ექსპერტებთან ერთად აფხაზურ და ოსურ მხარესთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებზე“**, სადაც სიტყვით გამოვიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი, მან აღნიშნა, რომ მეცნიერთა ჯგუფმა ფაქტიურად შექმნა ახლებულად გააზრებული და ფუნდამენტურად გამოკვლეული ნაშრომი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისა და ერთად ცხოვრებისათვის.



მოხსენებით თემაზე: „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“ წარსდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ჯემალ გახოკიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ნაშრომი „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონებისათვის“ შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მიერ, იგი მთლიანად ეთმობა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების პრობლემატიკას. ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული, თუ რამ განაპირობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან სეპარატიზმის იმ დონემდე გაღვივება, რომ იგი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

სტუ-ს სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, სტუ-ს საჯარო სამართლის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, პროფესორმა ავთანდილ დემეტრაშვილმა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა სოფო მიდელაშვილმა მიიღეს დებატებში მონაწილეობა.

2018 წლის 15 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტთან და რომის ლინქ ქამფუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ჩატარდა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე, რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალახვის გზები“.



კონფერენცია გახსნა სტუ-ს ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა, სტუმრებს მიესალმა სტუ-ს სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე და სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია.

კონფერენციას ესწრებოდა, სტუმრებს მიესალმა და მოხსენება გააკეთა იტალიის ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნია მსგავსი კონფერენციების ჩატარება და ისეთი თემების განხილვა, რომელიც კიდევ უფრო მეტად დააახლოებს იტალია-საქართველოს ურთიერთობებს. საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ასევე, ხაზი გაუსვა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და რომი ლა საპიენსას უნივერსიტეტების თანამშრომლობას და წარმატებები უსურვა მათ საერთო საქმეში.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ რომის ლა საპიენსას და რომის ლინქ ქამფუს უნივერსიტეტების დელეგაციის წევრები: ანდრეა კარტნეი, გაბრიელ ნატალიცია და ნენო გაბელია, რომლებმაც მიმოიხილეს




თემები: „ეთნიკურობა და ნაციონალიზმი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ინტეგრაცია და დეგრარირება ევროპასა და ევრაზიაში“ „საერთაშორისი პოსტ-საბჭოთა ცვლილები, დროში და სივრცეში: რუსეთის და სამხრეთ კავკასიის აუტორიტეტის დაბრუნება“ „ფედერალიზმი, როგორც აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოგვარების საშუალება“.

კონფერენციის მონაწილეებმა ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, მათ შორის, „მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის“,„გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი საფუძვლები და დეოკუპაციის პერსპექტივები“„სამხრეთ კავკასია, როგორც საერთაშორისო ინტერესების გზაჯვარედი“ და სხვ.

კონფერენცია შეაჯამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და ასეთი საინტერესო მოხსენებებისთვის.



**2018 წლის 16 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით და გერმანიის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საერთაშორისონარკობიზნესთან ბრძოლის და ნარკომანიის გავრცელების საწინააღმდეგო თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმების და რეგულაციების შედარებითი ანალიზი.**





კონფერენციაში მონაწილეობდნენ: გერმანიის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტიდან პროფესორი, სტუ-ს საპატიო დოქტორი ჰანს იორგ ალბრეხტი, ფრაიბურგის მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ელიკო წიკლაური-ლამიხი, ბურიატსკის (ულან-უდე) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ელვირა რადნაევა, ისტამბულის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სელმან დურსუნი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კარიმ სალიმოვი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები და სტუ-ს პროფესორები, მათ შორის, ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, ჯემალ ჯანაშია, ბესო კვირიკაშვილი და სხვები.

კონფერენციის მოხსენებები შეეხებოდა თემებს: რას გვეუბნება კანონები ნარკოტიკების შესახებ მსოფლიოს მასშტაბით?- ახალი რეგულაციები და მათი შედარებითი მიმოხილვა, საერთაშორისო ნარკოპოლიტიკის და საქართველოს ნარკოსტრატეგიის შედარებითი ანალიზი, ნარკოტიკულ დანაშაულთა ბრძოლის თანამედროვე ტენდენციები ყოფილ საბჭოთა კავშირში (რუსეთის მაგალითზე), პრევენციის როლი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის პროცესში, საქართველოს და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები კანაბისის შესახებ - შედარებითი ანალიზი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი და სხვა.

კონფერენცია შეაჯამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერმა, პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა კონფერენციის შედეგად გაჟღერებული რეკომენდაციები და მადლობა გადაუხადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს ასეთი ნაყოფიერი კონფერენციის ჩატარებისთვის.

**2017 წლის 7 ივნისს სტუ-ს სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნის ღონისძიება გაიმართა.**

კონფერენცია გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებს და პროფესორ-ხელმძღვანელებს აქტიურობისათვის და წარმატებები უსურვა კონფერენციის თითოეულ მონაწილეს.

სტუ-ს სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობს სტუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის 500-ზე მეტი სტუდენტი. კონფერენციის ფარგლებში იმუშავებს 68 დარგობრივი სექცია, მათ შორის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სექცია.

16 ივნისს სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცის სამართლის სექციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის დეპარატემენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები.

მომხსენებლებს, ჟიურის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის გაიმართა დისკუსია თითოეულ წარმოდგენილ მოხსენებაზე.

სამართლის სექციას ხელმძღვანელობდა შესაბამისი ჟიური, რომელთა ინდივიდუალური შეფასებების თანახმად გამოვლინდა გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცათ I , II, III საპრიზო ადგილები.








სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია მადლობას უხდის სტუდენტებს 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის, გამოთქვა კმაყოფილება ერთობ პრობლემატური და საინტერესო მოხსენებების წარმოდგენისთვის. მიულოცა საპრიზო ადგილის მფლობელებს და სამომავლოდ უსურვა წარმატებები თითოეულ მონაწილეებს ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ სხვა კონფერენციებში და ღონისძიებებში.

**2018 წლის 14 აპრილს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა პირველი სტუდენტური კონფერენცია თემაზე: "საჯარო სამართლის აქტუალური საკითხები".**

კონფერენცია გახსნა და სტუმრებს მიესალმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ირაკლი გაბისონია, რომელმაც წარმატებები უსურვა მომხსენებლებს და მადლობა გადაუხადა კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

კონფერენციის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იქნა 65 ნაშრომი, რომელთაგანაც 2 საფეხურიანი შერჩევის შემდგომ შეირჩა 16 ნაშრომი. 14 აპრილს კი აღნიშნული ნაშრომები წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციების სახით. სტუდენტთა ნაშრომები შეეხებოდა საერთაშორისო, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებს. მათ შორის, განათლების სამართალს, საპოლიციო სამართალს, გამოხატვის უფლებას, საარჩევნო კვოტებს და გენდერული თანასწორობას, ევროსასამართლოსადმი მიმართვის სტანდარტებს, რუსეთ-საქართველოს ომს და სხვა თემებს.

შესაბამისმა საკონფერენციო კომისიამ შეაფასა სტუდენტთა ნაშრომები და გამოვლინდა ხუთი საუკეთესო თემის ავტორი, მათ შორის იყვნენ: სტუ-ს, თსუ-ს და იბსუს სტუდენტები: ზორენა ყურაშვილი, ონისე ადამია, გივი კაკუშაძე და ლიკა კრიყაშვილი, ირაკლი ზუთურიშვილი და ნანა შამათავა, ნუგზარ გრიგალაშვილი და მარიამ კუტალაძე.

კონფერენცია შეაჯამა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, მადლობა გადაუხადა კომისიას მუშაობისთვის და მომხსენებლებს ასეთი საინტერესო თემის წარმოდგენისთვის.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარიამ ჯიქიამ კონფერენციის მონაწილეებს გადასცა სერტიფიკატები და კონფერენციის ნაშრომთა კრებული, რომელიც დაიბეჭდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით.





**2018 წლის 19 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო, ღია სამეცნიერო-პრაქტიკული 86-ე კონფერენციის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამუშაო სექცია ჩატარდა.**

სამართლის სექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ.

სამართლის სექციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი თემები: უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის გზები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით ასევე დელიქტური ვალდებულებების დარღვევით მიყენებული ზიანის სახეები, აღსრულების როლი და მნიშვნელობა-ზოგადი მიმოხილვა, საკონსტიტუციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა ეფექტი საერთო სასამართლოების პრაქტიკაში, გირავნობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, კომპენსაცია, როგორც შრომით ურთიერთობის აღდგენის ალტერნატივა, ოჯახის წევრთა საალიმენტო ვალდებულებები, მფლობელობა ქართულ სანივთო სამართალში, საჯარო ინფორმაცია და მისი გამიჯვნა პირადი, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებისაგან და სხვა.

კონფერენციის ჟიურის წევრებმა შეაფასეს მომხსენებლები დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და გამოავლინეს გამარჯვებული როგორც სამართლის სექციაზე ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სამუშაო სექციაზე.










# მემორანდუმები/საერთაშორისო თანამშრომლობა



**2017 წლის 25 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.**

სტუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა გამოხატა მადლიერება აღნიშნული თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ გერმანელ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობა ეფუძნება 35 წლიან მოღვაწეობას, ამ პერიოდის განმავლობაში არაერთი რეფორმა განხორციელდა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორს ჰანს იორგ ალბრეხტს.

გერმანულმა მხარემ, კერძოდ კი ჰანს იორგ ალბრეხტმა ყურადღება გაამახვილა ქართველ მეცნიერთანამშრომელთა დამოკიდებულებაზე სამართლისა და სხვა დარგთა შორისი მეცნიერებისადმი, ქართველ მეცნიერებს წარმატება უსურვა და მათი პოტენციალის გამოყენების სათანადო ადგილად მიიჩნია მაქს პლანკის კვლევითი ცენტრი.

მოწვეულმა საპატიო სტუმარმა განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბატონ თამაზ მარსაგიშვილმა ისაუბრა გერმანელ და ქართველ მეცნიერებს შორის განხორციელებულ არაერთ სამეცნიერო პროექტზე, ისაუბრა იმ უნიკალურ გამოცდილებაზე, რომელიც არსებობს მაქს პლანკის ინსტიტუტში, კვლევითი ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და იმედოვნა, რომ მათი გამოცდილება იქნება სტუ-ს ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მისაბაძი.

მემორანდუმის საფუძველზე სტუ-ს სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, ახალგზარდა მეცნიერებს ექნებათ შესაძლებლობა იმოღვაწონ მაქს პლანკის ინსტიტუტში, აქტიურად ჩაერთონ კვლევითი ცენტრის საქმიანობაში და თავიანთი კვალი დატოვონ გერმანულ თუ ქართულ იურისპრუდენციაში. თანამშრომლობის შედეგად განხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კვლევითი ღონისძიებები.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ირაკლი გაბისონია მოხარულია, რომ ფაკულტეტის საქმიანობის შედეგად სტუდენტებს მიეცემათ მსგავსი შესაძლებლობა. იგი გულითადად ულოცავს სტუდენტებს და უსურვებს ამ შესაძლებლობის ღირსეულად გამოყენებას პროფესიული წინსვლისათვის.



**2017 წლის 14 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სახელმწიფო მინისტრის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში აპარატს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

მემორანდუმი გაფორმდა ერთის მხრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის ლევან კლიმიაშვილის და მეორეს მხრივ სახელმწიფო მინისტრის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძის მიერ.

მემორანდუმის გაფორმების შედეგად სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს



მიეცემათ საშუალება ჩაერთონ მინისტრის აპარატის და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში. კერძოდ, სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ კურსს და მიიღებენ მონაწილეობას თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი სტუდენტებს უზრუნველყოფს უახლესი საერთაშორისო სამეცნიერო და იურიდიული ლიტერატურით.

სახელმწიფო მინისტრმავიქტორ დოლიძემ მადლობა გადაუხადა სტუ-ს თანამშრომლობისათვის,აღნიშნა,რომ იგი მეორედ იმყოფება ტექნიკურ უნივერსიტეტში და აღფრთოვანებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტთა აქტიურობით. გამოთქვა იმედი,



რომ მათი თანამშრომლობა კიდევ უფრო დააახლოვებს საქართველოს ევროპასთან.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია მოხარულია რომ გაფორმდა მემორანდუმი. ვინაიდან, მსგავსი თანამშრომლობა ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს მისცემს დამატებით შესაძლებლობებს მიიღონ პრაქტიკულლო გამოცდილება და განივითარონ დამატებითი შესაძლებლობები.

**2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

აღნიშნულ მემორანდუმს ხელი მოაწერა სტუ-ს რექტორმა აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილმა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ. ღონისძიებას ესწრებოდა სტუ-ს სპიკერი პროფესორ ჯემალ გახოკიძე, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია, სამინისტროდან მოწვეული სტუმრები და პროფესორები.

**2018 წლის 2 მარტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ადვოკატთა ასოციაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა.** დოკუმენტს ხელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, არჩილ ფრანგიშვილმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა მოაწერეს. თანამშრომლობის მემორანდუმის ამოქმედებით, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა საფეხურის სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემა, გაიაროს ყოველწლიური პრაქტიკული კურსი ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და ეთიკის კომისიაში, რითაც მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას დააგროვებს, ასევე, მონაწილეობა მიიღოს „სავალდებულო სტაჟირების" პროექტში და ჩაერთოს საერთო ინტერესის სფეროში შემავალ ნებისმიერ ერთობლივ აქტივობაში, მათ შორის, კვლევით-სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება-ჩატარებაში.

ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეკითხვებს უპასუხეს მოწვეულმა სტუმრებმა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა




დირექტორმა გიორგი ჭეხანმა, აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გიორგი ტურაზაშვილმა, ეთიკის კომისიის წევრებმა: თორნიკე ბაქრაძემ, ინგა სეხნიაშვილმა და გია ტაბლიაშვილმა, ასევე, სარევიზიო კომისიის წევრმა რაჟდენ კუპრაშვილმა.

დასასრულს, ასოციაციის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, გამოხატა იმედი ნაყოფიერი სამომავლო თანამშრომლობის და მოუწოდა სტუდენტებს იყვნენ აქტიურები,, რადგან შეძლონ მემორანდუმით გათვალისწინებული პრივილეგიების გამოყენება.




**2018 წლის 17 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.** მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, მთავრობის წევრები, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა (გია) გვაზავა, დეპუტატები და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის პასუხისმგებელი პირები შეხვდნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სტუ-ს ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ.

**2018 წლის 24 მარტს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და არქიტექტურულ კომპანია „არქ არეას“ შორის.**

კომპანიის ხელმძღვანელებმა და პროფესორებმა გამართეს დისკუსია მიმდინარე პრობლემურ საკითხებზე სამშენებლო სამართალთან მიმართებაში. ასევე, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს გააცნეს მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხები.




**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ჩინეთის ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტთან. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა და ჩინეთის ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჩენ შოუცანმა. მემორანდუმი ითვალისწინებს:**

**2018 წლის 7 ივნისს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საჯარო აუდიტის ინსტიტუტს, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სტუ-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა.**

დამსწრე საზოგადოებას საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორმა დავით აზმაიფარაშვილმა გააცნო საჯარო ინსტიტუტის საქმიანობის ასპექტები და ხაზი გაუსვა ინსტიტუტისა და სტუ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის დამყარებას.

სტუმრებს მიესალმნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე და სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ივანე ჯაგოდნიშვილი.

შეხვედრის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის სტუდენტებისთვის საჯარო აუდიტის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ. შეხვედრა შეაჯამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ.



**2018 წლის 15 მაისს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინიციატივით საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტს შორის.**



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა სტუ-ს ვიცე-რექტორმა ლევან კლიმიაშვილმა და რომის ლა საპიენსას CEMAS-ის კვლევითი ცენტრის დირექტორმა ანდრეა კარტნეიმ, მათი მხრიდან აღინიშნა, რომ მემორანდუმი ითვალისწინებს სამეცნიერო თანამშრომლობის განხორციელებას, ერთობლივი კვლევითი საქმიანობის ფარგლებში და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის გაცვლით-პრაქტიკულ პროგრამებს.

მემორანდუმის გაფორმებას დაესწრო იტალიის ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი, რომელმაც ორივე მხარეს მადლობა გადაუხადა მსგავსი თანამშრომლობის დამყარებისათვის და ხაზი გაუსვა ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობას.

ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ აღნიშნა რომ რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება და რექტორის სახელით კიდევ ერთხელ დაადასტურა მზად ყოფნა სამომავლო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.



**ორგანიზაცია/დაწესებულება თარიღი/ მოქმედების ვადა სამიზნე ჯგუფი**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უვადო, 2018, სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-4კურსი)/ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, უვადო, 2018 სამართლის საბაკალავრო (მე-4კურსი)/ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები;

3.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უვადო, 2017 სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-4კურსი)/ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები;

4 სახელმწიფო მინისტრის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში აპარატი, უვადო, 2017 სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-4კურსი)/ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

5. ჩინეთის ჭეძიან გუნშან უნივერსიტეტი 2018, უვადო.

6 გერმანიის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი, 5 წელი 2017 წელი ფაკულტეტის მაგისტრანტთა, დოქტორანტა, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კვლევები

07 თბილისის სააპელაციო სასამართლო 30.04.2013 (2 წელი) სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე-4კურსი)/ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

08 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო(21) 5.06.2013 (2013-2014 აკადემიური წლის მანძილზე/ვადის გაგრძელების უფლებით) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტი

9. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია27.06.2013 უვადო, სტუ-ს ნებისმიერი კურსის სტუდენტი

10. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 12.07.2013 (1 წელი) სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე3; მე-4) და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 6.07.2013 (ვადა არ არის განსაზღვრული) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსის სტუდენტები

12 სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემია (03) 29.072013 (მემორანდუმის მოქმედების ვადა არ არის შეზღუდული) პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართვა აკადემიის სხვადასხვა პროექტებში

13 თბილისის საქალაქო სასამართლო – 11.2013

(1 წელი) სამართლის კლინიკის საბაკალავრო (მე3; მე-4) და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები

14 საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი 10.12.2013 (1 წელი) თანამშრომლები და სტუდენტები

15 საქართველოს მთავარი პროკურატურა 10.03.2014 (ვადა არ არის განსაზღვრული) აკადემიური პერსონალი და სტუდენტები

16 სსიპ – იუსტიციის უმაღლესი სკოლა 6.11.2014

(მემორანდუმი მოქმედებს უვადოთ) იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები (საბაკალავრო მე-4 კურსი) და სამაგისტრო და დოქტურანტურის სტუდენტები

17 შპს „გაბისონია ლიგალ სერვისი“ 21.03.2016 (2 წელი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები

18 შპს „ფაინ ლაიფ თბილისი“ (26) 1.03.2016

(ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ არის განსაზღვრული) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები

19 საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „დიგერო“ 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

20 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (ადვოკატი-ლელა წიკლაური) 2017 წელი

(უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

21 თბილისის მერია 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

22 სპს „ჩემი ადვოკატი“ 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

23 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (მარინა გლოველი- №4341) 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

24 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (გრიგოლ ხმელიძე-№4604) 2017 წელი

(უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

25 ა(ა)იპ თავისუფალი განათლების აკადემია 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

26 სოციალური მომსახურების სააგენტო 2017 წელი (უვადოდ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

27 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო (02)2017 წელი (უვადოდ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

28 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2017 წელი (უვადოდ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

29 სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი (ლალი ჯანუყაშვილი) 2017 წელი (უვადოდ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

30 სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი (ბესიკ სეხნიაიძე) 2017 წელი (უვადოდ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

31 ამხანაგობა „საქართველოს ადვოკატთა კოლეგია“ 2017 წელი (სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში) საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

32 შპს „ფაინ ლაიფ თბილისი“ (12) 4.05.2017 (უვადოდ) სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

33 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 8.05.2017 (უვადოდ) სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

34 ყაზახეთის საკონსულო 14.05.2017 სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სტუდენტები

35. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (5 წელი)

36. რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტი(4 წელი) ფაკულტეტის სტუდენტებისთვის,

37. საქართველოს აუდიტის სამსახური,

38. სსიპ-საჯარო სამსახურის ინსტიტუტი.

# ნაშრომების გამოცემა/პრეზენტაცია-განხილვა

2017 წლის 30 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ ამირან ზენაიშვილის წიგნის, შრომის კოდექსის კომენტარების პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ხუნდაძე, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დამსაქმებლების და დასაქმებულთა წარმომადგენლები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა პარალელები გაავლეს მსოფლიო პრაქტიკის შრომის კანონმდებლობასა და ქართული სამართლებრივ სისტემას შორის, ხაზი გაუსვეს ასოცირების შეთანხმების შედეგებისა და დაგეგმილი რეფორმების მნიშვნელობას.



2017 წლის 7 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა პროფესორ იოსებ ბაჩიაშვილის ნაშრომის „იურიდიული განათლება და სამართალშემოქმედება“ წარდგინება-განხილვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული სტუმრები და სტუდენტები. ავტორმა დეტალურად ისაუბრა ყველა იმ თეზისზე, რომელიც განხილული აქვს ნაშრომში, მათ შორის, იურიდიული განათლების მეთოდოლოგია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე მიმოიხილა იურისპრუდენციის ზოგად თეორიული და სოციალური საგნების სწავლების ურთიერთშესაბამისობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.



2017 წლის 2 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, აკადემიკოს რევაზ მიშველაძის ახალი წიგნის „სჯანი კულტურასა და პოლიტიკაზე“ და სამეცნიერო ნაშრომთა ოცდახუთტომეულის პრეზენტაცია გაიმართა.

2017 წელს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით გამოიცა პროფესორ ზურაბ მელქაძის სახელმძღვანელო: „კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების თავისებურებები“.

ნაშრომში განხილულია კორუფციული ხასიათის ყველაზე გავრცელებული დანაშაულების თავისებურებები, ასევე ნაჩვენებია, რომ მმართველობის სფეროში ჩადენილი ნებისმიერი სახის კორუფციული სამოხელეო დანაშაული უარყოფითად აისახება სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე და რეალურად ემუქრება ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს.







2017 წლის 8 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერის, ასოცირებული პროფესორის თეიმურაზ დარსანიას მონოგრაფიის „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის“ პრეზენტაცია-განხილვა გაიმართა.

აღნიშნულ პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სტუ-ს სპიკერი პროფესორი ჯემალ გახოკიძე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვეფხვია გვარამია, სტუ-ს სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ჯემალ ჯანაშია, პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი, აგრეთვე ჩვენი და სოხუმის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ირაკლი მინაშვილის წიგნის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარები“-ს პრეზენტაცია.

აღნიშნულ პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქალბატონი ეკა გაბრიჩიძე, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი ბატონ შოთა რიჟამაძე;საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე, ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის პროკურორი ალექსანდრე იმედაშვილი, თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის მოადგილე ბატონი შავლეგ თოდუა; გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ბავშვთა დაცვის პროგრამის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების) ხელმძღვანელი ქალბატონ თეონა კუჭავა; დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის სამმართველოს უფროსი ბატონი ლადო ჯავახიშვილი; შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს პროფესიული განათლების განყოფილების უფროსის მოადგილე ბატონ დიმიტრი დინუაშვილს.





**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროექტის „ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში“ ფარგლებში დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და გენდერი“ – 4 შრომების კრებული.**

ზემოაღნიშნული კონფერენცია გაიმართა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის ორგანიზებით.

პროექტი „ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში“ ხორციელდება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით.







**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოებებისა ფაკულტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში დავით სოლომნიშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი“.**

აღნიშნულ წიგნში განხილულია ცნობილი ქართველი იურისტის – ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ყურადღება გამახვილებულია ქართული იურისპრუდენციის ისეთ საკითხებზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად პასუხობს გასული საუკუნის სამართლებრივი, კულტურული, სოციალური ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს. დავით სოლომნიშვილის დამხმარე სახელმძღვანელო „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი“.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის „ოჯახში ძალადობის პრობლემები საქართველოში“ ფარგლებში გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „ოჯახში ძალადობის პრობლემები საქართველოში“.** გამოცემულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით.




სახელმძღვანელოს ავტორები არიან პროფესორები: მაია ყიფიანი, ირაკლი გაბისონია და ციალა გლოველი.

გამოიცა წიგნი „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“

მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის,

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველების“ ფარგლებში.

ავტორები:
პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი,
ი. გაბისონია
ივ. ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები:
პროფ. ჯ. გახოკიძე,
ჯ. გაბელია,
ქ. ქოქრაშვილი







**გამოიცა პირველი სტუდენტური კონფერენციის „საჯარო სამართლის აქტუალური საკითხები“ ნაშრომთა კრებული.**




გამოიცა წიგნი „რიტორიკა-ქრესტომათია“

მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურმეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველების“ ფარგლებში.

ავტორები:
პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი,
ი. გაბისონია
ივ. ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები:
პროფ. ჯ. გახოკიძე
ჯ. გაბელია
ქ. ქოქრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო პროექტის „საგამოძიებო სამართლის“ ფარგლებში გამოიცა სახელმძღვანელო „საგამოძიებო სამართალი“, რომლის ავტორებიც არიან პროფესორები: სტუ-ს სპიკერი პროფესორი, ჯემალ გახოკიძე, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა.

წიგნი გამოიცა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით.

„საგამოძიებო სამართალი“ ავტორთა კოლექტივის მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული საგამოძიებო საქმიანობის შედეგია, რომელსაც არქიტექტონიკისა თუ განხილულ საკითხთა თემატიკის მრავალფეროვნებით ანალოგი არ გააჩნია, რადგან: მოიცავს გამოძიებასთან დაკავშირებით ისტორიულ მემკვიდრეობას და დღეს არსებულ რეალობას, როგორც ქართულ ისე საზღვარგარეთის წამყვან სახელმწიფოებში; დეტალურად არის წარმოჩენილი გამოძიების ორგანოებისა და გამომძიებლის სტატუსით აღჭურვილ (გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული), ასევე გამოძიებასთან ასოცირებულ სუბიექტთა (მაგ. ჟურნალისტური გამოძიების პროცესში ჩართულ ჟურნალისტთა, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის) საქმიანობის ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით და სხვა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით;




აღნიშნული სახელმძღვანელოს და ზოგადად პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, ვინაიდან, კვლევის შედეგი ასახული იქნება სასწავლო სილაბუსებში, ასევე, საგამოძიებო სამართლის, როგორც არჩევითი საგნის სწავლების შესაძლებლობა მიეცემათ სამართლის მიმართულების სტუდენტებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობასთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს მიეცა უფლება კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის წიგნის (Beth A. Simmons, Richard H. Steinberg, International Law and International Relations) თარგმნასა და გამოცემაზე. ზემოაღნიშნული წიგნი შეირჩა ფაკულტეტის ორივე მიმართულების გათვალისწინებით, რადგან მასში განხილულია როგორც საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (მარიამ ჯიქია, მაია გამსახურდია, იგორ კვესელავა, ქეთევან ჯინჭარაძე და მაია ამირგულაშვილი), რომელიც უზრუნველყოფს წიგნის თარგმნასა და რედაქტირებას. პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 12 თვით (2017 წლის 19 სექტემბრიდან 2018 წლის 19 აგვისტომდე).

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 39100 ლარს და მისი დაფინანსება ხდება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.






სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში" ფარგლებში გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები", ავტორები არიან პროფესორები: იგორ კვესელავა, ჯემალ გახოკიძე, ედიშერ გვენეტაძე.

# სტუდენტები საერთაშორისო ღონისძიებებში



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა ფაკულტეტის დაფინანსებით 2017 წლის 31 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით მონაწილეობა მიიღეს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მოდელირებული პროექტში - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (International Conference–Seminar 2017 of Human Rights and Freedoms). საერთაშორისო კონფერენცია-სემინარი უტრეხტის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოში ჩატარდა. მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა აკრედიტირებული უნივერსიტეტები, მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის სტუდენტები.

პროექტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის სტუდენტების, წახალისებას რათა მათ გაიუმჯობესონ ცოდნა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით, შეიძინონ პროფესიული უნარ-ჩვევები და აიმაღლონ კვალიფიკაცია იურისპრუდენციასა და საერთაშორისო კონვენციების უკეთ შესწავლაში, ასევე ისეთი შესაძლებლობების მიცემას, რომლებიც დაეხმარებათ მჭიდრო ურთიერთობა იქონიონ ნიდერლანდების სამეფოში (ქ. ჰააგაში) არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებთან.

ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდათ სემინარები, დაურიგდათ საკონფერენციო მასალები და გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი. სამრთლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი ხელს უწყობს წარმატებულ და მოტივირებულ სტუდენტებს ცოდნისა და გამოცდილების მიღებისთვის რაც გამოიხატება მსგავს ღონისძიებებში ფაკულტეტის სტუდენტების მუდმივი ჩართულობით.








**2018 წლის 23-27 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ანა ფუტკარაძე და სტუდენტები ბაჩო კვირკველია, ლოლიტა კაროუკინა, ანა ანდრიაძე, სალომე ნემსიწვერიძე, მარიამ ამილახვარი და თორნიკე სონღულაშვილი ქ. ნიუნბერგში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ.**

BaYernMUN2018-ში 70 ქვეყნის დელეგატი მონაწილეობდა. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა პირველ და მეორე სესიაზე წარადგინეს მოხსენებები, რომლებიც შეეხება ისეთ თემებს როგორიცაა: ადამიანის უფლებების დაცვის წინაშე მდგარი გამოწვევები, გენდერული თანასწორობის დაცვა და თავისუფალი წვდომა გარემოზე, კერძოდ, წყლისა და ჰაერის დაბინძურების რისკებზე.




მონაწილე სტუდენტები გადანაწილდნენ შესაბამის კომიტეტებში და ღონისძიების დასასრულს მიიღეს რეზოლუცია. კონფერენცია დასრულდა 26 თებერვალს. მონაწილეებს გადაეცათ საერთაშორისო სერტიფიკატები.

აღნიშნულ კონფერენციაში ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასისტენტ-პროფესორის მონაწილეობა სრულად დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.










2018 წლის 21-30 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით სტუდენტთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო უმნიშვნელოვანეს და ფართომაშტაბიან საერთშორისო პროექტში, ქალაქ ვენაში, რომელშიც მსოფლიოს ოთხი ათასამდე სტუდენტი მონაწილეობდა.

ფაკულტეტის სტუდენტები გურნადა გოლიაძე, ნათია ჩილაჩავა, მაგდა გრიგოლია და სალომე თოთიბაძე კერძო არბიტრაჟის იმიტირებულ სასამართლო პროცესებში დაუპირისპირდნენ ჰარვარდის, სტამბულის, ინდოეთის, ავსტრალიის უნივერსიტეტის გუნდებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები გურანდა გოლიაძე და ნათია ჩილაჩავა. მონაწილეებს ევალებოდათ განსაზღვრული დროში არსებული ქეისის დამუშავებისა და შემდგომ პრეზენტაციების ჩატარება. პროცესის მსვლელობას კურირებდნენ მოწვეული კომპენტენტური არბიტრები, თითოეული პროცესის შემდგომ ისინი მონაწილეებს აფასებდნენ და აძლევდნენ რჩევებს. ფაკულტეტის გუნდმა არაერთხელ მოიპოვა წარმატება და დადებითი შეფასებები დაიმსახურა. გუნდს ხელმძღვანელობდა ასისტენტ-



პროფესორი ანა ფუტკარაძე, რომელმაც სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და მოამზადა იმიტირებული პროცესებისთვის.



პროექტის დახურვის ცერემონიალზე სტუდენტებს გადაეცათ საჩუქრები და საერთაშორისო სერტიფიკატები. პროექტის მონაწილეები უდიდესი გამოცდილებითა და შესაძლებლობებით დაბრუნდენ საქართველოში.

2018 წლის 27-30 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ანა ფუტკარაძე და სტუდენტები: გიგა ძირკველიშვილი, ბორენა ყურაშვილი, ანა ტაკაშვილი და თეიმურაზ სულაძე ჰააგაში სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდნენ.



27 მაისს გუნდებმა გაიარეს რეგისტრაცია, ასევე ლეიდენის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია პროექტში მონაწილე სტუდენტებისათვის ხოლო, 28 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის გუნდმა პირველ იმიტირებულ პროცესში მიიღო მონაწილეობა. 29 მაისს ასევე იმიტირებულ პროცესებში წარმოაჩინეს გუნდებმა საკუთარი შესაძლებლობები.






30 მაისს ღონისძიების დახურვის ცერემონიალზე მონაწილე გუნდები გაეცნენ შეფასებებს მიღეს საჩუქრები და საერთაშორისო დონის სერტიფიკატები.

აღნიშნული ვიზიტი სრულად დაფინანსდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტი იაკო ხაინდრავა 2017 წელს მონაწილეობას იღებდა evropa Universiti Viadrina-ს მიერ ორგანიზებულ პროექტში "evropean system of hummer rights protection".**



აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სამოცამდე ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოდან სტუდენტი იაკო ხაინდრავა. ორი კვირის მანძილზე გერმანიაში, კერძოდ ფრანქფურტში უტარდებოდათ ლექციები და სემინარები ადამიანის უფლებების აქტუალურ საკითხებზე. სტუდენტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ლექტორები უკითხავდნენ ლექციებს, რის შემდგომაც ერთობლივად ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი, სადაც ჩვენი სტუდენტი წარმოადგენდა აპლიკანტის მხარეს. აღნიშნული პროექტის დასასრულისას უნივერსიტეტის ორგანიზებითვე სტუდენტებმა დაათვალიერეს ბერლინში პარლამენტი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი გურანდა გოლიაძე, დეკანის პროფესორ ირაკლი გაბისონიას მხარდაჭერით და ფაკულტეტის დაფინანსებით მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში – "Create an exchange – experience diversity".**

ჩვენს სტუდენტს პროგრამის ფარგლებში ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს 15 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთან, რამაც მისცა საშუალება გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის ისტორია, რაც მისი პროფესიული და პიროვნული ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პროექტი იმართებოდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში კერძოდ, დიუსელდორფში, დუისბურგში, ქანსთენში, კალაქარში, ემერიჩში, ბონში, კოლონში და ასევე ამსტერდამში (ჰოლანდია). სტუდენტები ეცნობოდნენ გერმანიაში სხვადასხვა ორგანიზაციის მუშაობას, მათ შორის "Hephata", რომელთანაც პროექტის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. ორგანიზაციასთან მუშაობის პროცესში ეცნობოდნენ გერმანულ სისტემას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თუ როგორ და რა პირობებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებას და სრულ დაფინანსებას.



აღნიშნული პროექტი სამ კვირას გაგრძელდა, რამაც სტუდენტს მისცა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინა უცხო ენა და ასევე, შეესწავლა აღნიშნული ქალაქების ტრადიციები და ა.შ.




2017 წლის 15 აპრილს ჩეხეთში ქალაქ პრაღაში, ჩარლზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე, გაიმართა კონფერენცია „ევროპელი სტუდენტები თავისუფლებისათვის“ ("Students for Liberty").

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები: ასოცირებული პროფესორი ნონა ლომიძე, ასოცირებული პროფესორი ემილია ალავერდოვი, ასისიტენტ პროფესორი ეკა რუსიეშვილი, უფროსი მასწავლებელი სალომე ფიფია და სტუდენტები ანნა ჩოგანაიძე და თეონა ბებია.

სტუდენტები თავისუფლებისათვის არის ჩეხეთის არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მისიას წარმოადგენს ლიდერი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თავისუფლების მიმართულებით განვითარების, გაძლიერების და განათლების ხელშეწყობა.

კონფერენცია „ევროპელი სტუდენტები თავისუფლებისათვის“ იყო წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იმ ევროპელი და არა ევროპელი სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისთვის, რომლებიც შეირჩნენ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი სამი დღის მანძილზე ეცნობოდნენ თავისუფლების შესახებ



მეტ ინფორმაციას მოძრაობის ლიდერებისგან: მაგ: Matt Kibbe (აშშ-ის პოლიტიკური ორგანიზაცია „Alternative Pass“ და ორგანიზაცია „Free People“ პრეზიდენტი); ჟეფფრეყ თუცკერ (ამერიკის ეკონომიკური განათლების ფონდის პრეზიდენტი და ჰარკლენდის ინსტიტუტის პრეზიდენტის მრჩეველი) და ა.შ, აქტიურად ერთვებოდნენ თავისუფლების განვითარების შესახებ გამართულ პრაქტიკულ დისკუსიებში და ეძლეოდათ შესაძლებლობა თავი ეგრძნოთ თავისუფლების ფართომასშტაბიანი მოძრაობის წევრად.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა დაეხმარა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლებსა და სტუდენტებს კონტაქტები დაემყარებინა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან, გაეზიარებინა მათი მოსაზრებები, პრაქტიკა და გამოცდილება, რაც დაეხმარა მათ პროფესიულ განვითარებაში, რომელიც შემდგომში გამოიყენეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

# პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი მივლინებები




**2018 წლის 21 აპრილიდან 5 მაისამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის "საინჟინრო სამართლის" კვლევითი ჯგუფის წევრები სამეცნიერო მივლინებით ავსტრალიაში იმყოფებოდნენ.**

აღნიშნული ვიზიტი მიზნად ემსახურებოდა სასწავლო პროგრამის „საინჟინრო სამართლის" ავსტრალიის უნივერსიტეტების მაგალითზე შესწავლას. ავსტრალიის სამხრეთ უელსის, სიდნეის, სვინბარნის და სხვა უნივერსიტეტს უკვე მრავალი წელია დანერგილი აქვს მსგავსი სასწავლო მოდული და ისინი წარმატებით უძღვებიან პროფესიით ინჟინერიურისტის აღზრდის საქმეს.

გამოცდილების გაზიარების მიზნით საინჟინრო სამართლის პროექტის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია პროექტის წევრებთან: გიორგი გორაძე, ვახტანგ ჟვანია და მალხაზ ჩიტაიასთან ერთად იმყოფებოდა არაერთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე. მათ შორის:

ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორ ლუკას ლიქსინსკისთან გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ავსტრალიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები,

სიდნეის ტექნოლიგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის მოადგილესთან – მაქსინე ევერსთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დირექტორთან, პროფესორ – გრასე ლიისთან შედგა საინტერესო შეხვედრა




მელბურნის სვინბარნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანთან – დინ ჰანტერთან, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელთან, პროფესორ – სტროან რობერტსონთან და ამავე სკოლის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელთან, პროფესორთან – ჯონათან ლიჯებლანდთან გაიმართა ხანგრძლივი და ნაყოფიერი შეხვედრა. ვიზიტისას პროექტის მონაწილეებმა დაათვალიერის ავტრალიის ვიქტორია შტატის უზენაესი სასამართლო და მელბურნის უძველესი ციხე.



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გორაძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი წარმოადგინა ვიშეგრადის ქვეყნების სამართლის სკოლების პირველ კონფერენციაში,** რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 31 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით ქ. ბუდაპეშტში, უნგრეთი. კონფერენცია ორგანიზებული იყო პეტერ პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. გიორგი გორაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: ,,ხელისუფლების დანაწილება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით — პრობლემები და პერსპექტივები‘‘





**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით პროფესორი მაია ყიფიანი და ასოცირებული პროფესორი ემილია ალავერდოვა 2018 წლის 29 მარტიდან 7 აპრილამდე იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან ფრანცისკოში,** სადაც მონაწილეობა მიიღეს სან ფრანცისკოს უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ,,ფემინიზმი, განათლება, პოლიტიკა‘‘. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები‘‘ ფარგლებში. პროფესორებმა კონფერენციაზე წარადგინეს ორი მოხსენება ,,გენდერული ასპექტი ქართულ პოლიტიკაში‘‘ და ,,გენდერული თანასწორობის საკითხი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში‘‘. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე პოსტაბჭოთა სივრციდან მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის პროფესორები იყვნენ წარმოდგენილნი,

პროფესორი მაია ყიფიანი და ასოცირებული პროფესორი ემილია ალავერდოვა აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში აგრეთვე, იმყოფებოდნენ ქალაქ ნიუ იორკში გაერთიანებული ერების ცენტრალურ ოფისში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ,,ქალების ჩართულობა სოფლის მეურნეობაში‘‘.

ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევითი პროექტის ,,გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები‘‘, სრულყოფილად შესრულებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო უახლესი კვლევების შედეგებისა და სამეცნიერო ნაშრომების შესწავლა-გადამუშავება, რომლის საშუალება პროფესორებს კონფერენციაში მონაწილეობის საფუძველზე მიეცათ.





**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ირაკლი გაბისონია, პროფესორები: ვახტანგ ჟვანია და მალხაზ ჩიტაია ესპანეთში-ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.** აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და Universitat Autònoma de Barcelona-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, სამომავლოდ კი მემორანდუმის გაფორმებას, რომლის ფარგლებშიც სამართლისა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს მიეცემათ შესაძლებლობა ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით, მიიღონ მონაწილეობა ერთობლივად ორგანიზებულ სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციებში, ტრეინინგებში და სხვა აქტივობებში. პროფესორი ირაკლი გაბისონია შეხვდა აღნიშნული უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და აკადემიურ პერსონალს.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: “No Justice Without Life”. კონფერენციაზე მთავარი მომხსენებელი იყო ბილი მური. უდანაშაულოდ სიკვდილმისჯილი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა სამართლიანი სასამართლოს შესახებ.



**სამოქალაქო განათლების სკოლისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ქ. ბერლინში, 2017 წლის 3-8 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია-ფორუმი თემაზე: ევროპის გამოწვევები. აღნიშნულ კონფერენციაზე მიწვეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი მარიამ ჯიქია.** კონფერენციაზე განხილული იყო ევროპის, უფრო



კონკრეტულად კი ევროკავშირის როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ასპექტები, მათ შორის მისი გავლენა მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლებრივ მოვლენებზე. აღნიშნულ კონფერენციაზე ერთ-ერთ მთავარ თემად განხილული იქნა საბერძნეთის კრიზისის გამომწვევი მიზეზები და გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის საკითხი. აღნიშნული ვიზიტი დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.



**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორი მანანა დარჩაშვილი 2018 წლის 16-18 მაისს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მიერ საქართველოდან მეცნიერთა მცირე ჯგუფთან ერთად პარიზში იყო მიწვეული,პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.**

17 მაისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და პარიზის აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ეროვნული ინსტიტუტის (INALCO) თანამშრომლობით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია.

პროფესორმა მანანა დარჩაშვილმა კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება - ,,მიხაკო წერეთლის მოღვაწეობის ისტორიიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში‘‘. ასევე მონაწილეობდა საფრანგეთში საქართველოს საელჩოს და ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლობით, კონფერენციის წინა დღეს, 16 მაისს ლევილის ქართულ მამულში, პირველი რესპუბლიკის დარბაზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თემაზე ბოლო პერიოდში გამოცემული წიგნების პრეზენტაციაში და ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაში.

პროფესორ მანანა დარჩაშვილის ვიზიტი სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით განხორციელდა.

2017 წლის 1-15 დეკემბერს ევროკავშირის საბჭოს მოწვევით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი სალომე ფიფია იმყოფებოდა სასწავლო ვიზიტით ბელგიაში, ქ. ბრიუსელში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო კვლევა ევროკავშირის საბჭოს ბიბლიოთეკასა და კვლევით ცენტრში. კვლევის შედეგად შექმნილი ანალიტიკური სტატია წარ-



მოადგენს სალომე ფიფიას სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ ღირებულ ნაწილს. ასევე, მნიშვნელოვანია რომ ამ სტატიის ელექტრონული ვერსია განთავსდა ევროკავშირის საბჭოს ბიბლიოთეკის რესურს-სივრცეში და ხელმისაწვდომი იქნება სხვა მკვლევარებისთვისაც.

აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს დაფინანსებით.

**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მანანა დარჩაშვილი და ასისტენტ-პროფესორი ემილია ალვერდოვა 2017 წლის 30ივნისს-2ივლისს იმყოფებოდნენ საბერძნეთის ქალაქ პატრაში განათლების საკითხებზე გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.**

კონფერენცია პატრას უნივერსიტეტის განათლების



დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა და მასპინძლობდა განათლების თემაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ მკვლევარებს, რომელთა კონფერენციაზე კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ამიტომ კონფერენცია, სამი დღე, სხვადასხვა თემატურ პანელად იყო დაყოფილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მანანა დარჩაშვილმა და ასისტენტ პროფესორმა ემილია ალვერდოვამ პანელში – ,,განათლება და პოლიტიკა“ წარმოადგინეს საკითხი – ,,განათლების საკითხი ქართულ პოლიტიკაში (პარტიების საპროგრამო დოკუმენტების მიხედვით 2012- 2016 საარჩევნო ციკლში)“. მიიღეს შემოთავაზებები არაერთი უნივერსიტეტის წარმომადგენლისგან სხვადასხვა სახის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების, საერთშორისო კონფერენციებში მიწვევის, საერთო პროექტებში თანამშრომლობის შესახებ.

**2018 წლის 15 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა კობა ჩიხლაძემ და ამავე ფაკულტეტის ასისტენტმა გიორგი სვიანაძემ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში ,,ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლა და მათი გადაჭრის გზები უკრაინასა და მსოფლიოში“.**

კონფერენცია გაიმართა უკრაინაში ქალაქ დნეპრში, სადაც ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს გაუზიარეს საქართველოს გამოცდილება ნარკოდანაშაულთან ბრძოლის შესახებ.

ვიზიტი სრულად დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.



# სტუდენტთა სოციალური პროექტი/ სტიპენდიები/შეღავათები სტუდენტებისთვის

**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ 2017 წლის 5 ივნისს ფაკულტეტის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტთა დაფინანსების შესახებ.** მან ხაზი გაუსვა სოციალური პროექტის მნიშვნელობას და სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს გამოიჩინოს კეთილი ნება და უზრუნველყონ ფინანსური და ოჯახური პრობლემების მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გარკვეული ოდენობით დაფინანსება.



ფაკულტეტის საბჭომ დაფინანსებასთან დაკავშირებით ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ წინადადებას და გამოთქვა მზადყოფნა მსგავსი სოციალური პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პირველ ეტაპზე დაფინანსდა 26 სტუდენტი, რომელთაც არ შეეძლოთ მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სწავლის საფასურის გადახდა, თანხის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 16100 ლარი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სოციალური პროექტები სამომავლოდაც დაფინანსდება.

**საბჭომ ასევე ერთხმად დაუჭირა მხარი მეორედ განხორციელებულიყო აღნიშნული პროექტი. აღსანიშნავია რომ მეორე ეტაპზე დაფინანსდა 21 სტუდენტი,დაფინანსებული თანხის ოდენობამ კი შეადგინა 13342 ლარი.**



**მესამე ეტაპად დაფინანსდა 46 სტუდენტი, რომელთაც არ შეეძლოთ მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სწავლის საფასურის გადახდა, თანხის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 26868ლარი.**

**სულ ფაკულტეტის ინიციატივით დაფინანსდა 93 სტუდენტი ჯამში 56310 ლარით ოდენობით.**

# წარჩინებული სტუდენტებისათვის ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია დაწესდა

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის,პროფესორ ირაკლი გაბისონიას გადაწყვეტილებით ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს გადაეცემათ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია. საუკეთესო შედეგების მქონე 2 სამართლის სპეციალობისა და 2 საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებს აღნიშნულ სტიპენდიას. დაფინანსება გამოიყოფა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

**„პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“**, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გახდეს პრეზიდენტის სტიპენდიანტი. სტიპენდიის ოდენობა თითოეული სტუდენტისთვის თვეში 150 ლარს შეადგენს. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე სტუდენტთა განსაზღვრა ყოველი სემესტრის დასაწყისში, გასული სემესტრის მონაცემების საფუძველზე ხდება. ეს მონაცემებია: სტუდენტის აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

**დევნილ სტუდენტთა დახმარების ფარგლებში ფაკულტეტის დაფინანსებით 29 დევნილ სტუდენტს შეუმცირდა სწავლის საფასურის ოდენობა 200 ლარით. რამაც ჯამში შეადგინა 5800 ლარი.**

**სამართლის მაგისტრატურის სტუდენტმა თამარ ბარამიამ ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მოიპოვა.** ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია დაწესდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას ინიციატივით 2016 წელს. კომისიის მიერ საქართველოს მასშტაბით გამოვლინდა ერთი ბაკალავრიატის სტუდენტი და ერთი მაგისტრატურის, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან და აფხაზეთის თემატიკაზე მუშაობენ.

მათ ასევე მოეთხოვებოდათ მაღალი აკადემიური მოსწრება,სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი აქტიურობა.

# ჯილდო პროფესორებისთვის

**2018 წლის 12 იანვარს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭომ დეკანის ინიციატივით ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, განხორციელებული კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის დააწესა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის გამოჩენილი ქართველი დიპლომატის ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის და ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერის გურამ ნაჭყებიას სახელობის ჯილდო.**

სტუ-ს რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა გურამ ნაჭყებიას სახელობის ჯილდო გადასცა ღვაწლმოსილ პროფესორ ჯემალ გაბელიას, ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის ჯილდო კი გადასცა დამსახურებულ პროფესორ იგორ კვესელავას.

ახალგაზრდა მეცნიერებს ასისტენტ-პროფესორს მალხაზ ჩიტაიას გურამ ნაჭყებიას სახელობის ჯილდო და ასოცირებულ პროფესორს გიორგი კალანდაძეს ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის ჯილდო გადასცა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილემ გიორგი მურვანიძემ.









# სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა

**თბილისის მერიის სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალურმა ცენტრმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებმაც პროექტის - „ჩემი ადვოკატის" ფარგლებში საწარმოო პრაქტიკა ოთხი თვის მანძილზე გაიარეს სერტიფიკატები გადასცა.**

**სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ღონისძიება დღეს 2018 წლის 17 მარტს გაიმართა. „ჩემი ადვოკატის" ხელმძღვანელმა მარინა ბერაძემ მიულოცა სტუდენტებს პრაქტიკული კურსის დასრულება და მომავალ საადვოკატო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.**

სტუ-ს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკა დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. აღნიშნული მომავალშიც გაგრძელდება და მიეცემათ სტუდენტებს შესაძლებლობა შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.





აღსანიშნავია, რომ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ფაკულტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან ყველა სახელმწიფო უწყებაში, ასევე, კერძო სექტორში.
სტუდენტები ყოველ სემესტრში ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა და წარდგინების საფუძველზე გადიან პრაქტიკულ კურსს თბილისის საქალაქო სასამართლოში, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და ცალკეულ სადვოკატო ბიუროებში, სამშენებლო კომპანიებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა სსიპ-ებში, კერძოდ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და სხვა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და არაერთ საელჩოში, ჩამონათვალი არასრულია ვინაიდან, ფაკულტეტი მუდმივად ანახლებს თანამშრომლობას ორივე სპეციალობით.

ფაკულტეტის სტუდენტები ასევე პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის საფუძველზე სასწავლო პრაქტიკას გადიან სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკაში, სადაც მენტორ-ადვოკატის დახმარებით კონსულტაციას უწევენ უფასო იურიდიული დახმარების მსურველებს. სტუდენტს 6-თვიანი პრაქტიკული კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ გადაეცემათ სერტიფიკატი.

# სამართლის კლინიკის აქტივობები

## იმიტირებული პროცესი სისხლის სამართალში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის



კლინიკის ორგანიზებით 20 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა სისხლის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

პროცესის მონაწილე სტუდენტებს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი გაბისონიამ.

პროცესის მონაწილეები შეაფასეს წინასწარ შერჩეულმა ჟიურის წევრებმა შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ემზარ გაგნიძემ, საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე ხუციშვილმა და ქალაქ თბილისის საკრებულოს წარმომადგენელმა ნიკა ასვანუამ.

პროცესს წინ უსწრებდა სასწავლო კურსი (15 სასწავლო შეხვედრა) სადაც სტუდენტები ეუფლებოდნენ სასამართლოში იურისტის გამოსვლის უნარ-ჩვევებს. აღნიშნულ კურსს უძღვებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის ადვოკატი ბატონი ლევან ვეფხვაძე.

პროცესზე გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი შემდეგი შემადგენლობით: მართა ამირანაშვილი, გვანცა რევაზიშვილი, ელენე კალანდაძე, ნინო ხულუზაური, შახლა ისაევა, სოფო დარჩია და გიორგი ნაცვლიშვილი.

საუკეთესო დამცველის ტიტული დაიმსახურა თორნიკე კაპანაძემ, ხოლო საუკეთესო ბრალმდებლის ტიტული მოიპოვა ელენე კალანდაძემ. საუკეთესო ნაფიც მსაჯულად დასახელდა მარიამ ბეჟანიშვილი.

მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატებთან ერთად გადაეცათ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა



და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები. გამარჯვებულ გუნდს კი გადაეცა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის გარდამავალი თასი.

იმიტირებული სასამართლო პროცესები მიზნად ისახავს სტუდენტებმა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება მოახდინონ და გამოიმუშავონ ის უნარ-ჩვევები რომელიც აუცილებელია მათი პროფესიული წინსვლისათვის.

# იმიტირებული სასამართლო პროცესი ოჯახში ძალადობის საქმეზე

2018 წლის 31 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა იმიტირებული პროცესი ოჯახში ძალადობის თემატიკაზე. პროცესზე ჟიურის წევრები გახლდნენ: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელი თამილა



სანიკიძე და საიას პროექტის ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ნინო ჩიხლაძე. იმიტირებულ პროცესამდე სტუდენტები 1 თვის განმავლობაში გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს. სწავლების პროცესში მოხდა სტუდენტების ვიზიტი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. აგრეთვე, სტუდენტები იმყოფებოდნენ თეატრში, სადაც ოჯახში ძალადობის თემატიკაზე დადგმული სპექტაკლი ,,ირინეს ბედნიერება" იხილეს.

იმიტირებული პროცესის დასრულების შემდგომ მონაწილეებს სამართლის კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ გადასცა სერტიფიკატები, სახელმძღვანელოები და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შექმნილი მაისურები და ჩანთები. ამავე დღეს სამარ-



თლის კლინიკის პრაქტიკანტებს, რომლებიც 3 თვის განმავლობაში პროფესიონალ ადვოკატებთან ერთად გასცემდნენ კონსულტაციებს და ამზადებდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს გადაეცათ პრაქტიკის წარმატებით დასრულების სერტიფიკატები. დღის ბოლოს კი ოჯახში ძალადობის სასწავლო კურსის მონაწილეები იმყოფებოდნენ თეატრში სპექტაკლზე ,,სეილემის პროცესი"

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა კვლავ გეგმავს მსგავსი ხასიათის პროექტებს, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ უნივერსიტეტის ფარგლებშივე დაეუფლონ სასამართლოში იურისტის გამოსვლის უნარ-ჩვევებს და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის ტექნიკას.





**2017 წლის 15 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკისა და გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ფემიციდი- გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა“, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.**

საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა თამარ დეკანოსიძემ. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ღონისძიების ორგანიზატორები სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი მაია ყიფიანი და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი მაკა აბულაძე.

**2018 წლის 26 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირმა პავლიაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში“.** შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სამართლის კლინიკის





ხელმძღვანელს ღონისძიების ორგანიზებისთვის, სტუმარს მობრძანებისათვის და სტუდენტებს ნაყოფიერი სამუშაო საღამო უსურვა.

იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირმა პავლიაშვილმა ისაუბრა ახალგაზრდების ცხოვრებაში პოლიტიკის ჩართვის აუცილებლობაზე, ქალების როლის ზრდაზე, ინფორმირებული ამომრჩევლის ჩამოყალიბებაზე, განათლების როლზე და მნიშვნელობაზე, პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიაზე და შიდადემოკრატიულ პროცესებზე. ასევე განმარტა ირიბი და პირდაპირი საარჩევნო უფლების ქალების მხრიდან გამოყენების მნიშვნელობა.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკის ფარგლებში 2017-2018 სასწავლო წელს ტარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- იმიტირებული სასამართლო პროცესები-
- საპარლამენტო დებატები/ პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკა-
- იურიდიული ინგლისური
- იურიდიული დოკუმენტების შედგენის ტექნიკა/ სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები
- ტრენინგები „სამართლის ზოგადი საწყისები თბილისის სკოლის მოსწავლეებში“-
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები (საქართველოს სახალხო დამცველის ჩართულობით)
- კონფლიქტები: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ისტორია და გამოწვევები-
- არჩევნები და აქტიური მოქალაქე-
- ოჯახში ძალადობა/ ფემიციდი-
- ლტოლვილთა და დევნილთა სამართალი- სიძულვილის ენა

**2018 წლის 4 ივნისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მოწვევით საჯარო სამართლის ლაბორატორიაში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ გიორგი ბურჯანაძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „სახალხო დამცველის კომპეტენცია სისხლის სამართლის საქმეებზე“.**



საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ გიორგი ბურჯანაძემ თავდაპირველად ისაუბრა საქართველო სახალხო დამცველის აპარატის შესახებ, განმარტა გარკვეული ფუნქციები და კომპეტენციის სფეროები.

ასევე, მოხსენებისას უშუალოდ შეეხო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ასპექტებს, მასთან დაკავშირებულ პროცესუალურ მხარეებს და განმარტა კომპეტენციის შედეგები.



**2018 წლის 5 ივნისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მოწვევით სტუ-ს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „საქმე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“.**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორმა, პროფესორმა მაია ყიფიანმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და საინტერესო ლექციის ჩატარება უსურვა.

თავდაპირველად, ბექა ძამაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო დონის სასამართლოების კომპეტენციების და რუსეთის წინააღმდეგ საქმის განხილვის სხვადასხვა ასპექტებზე. განმარტა სტრასბურგის პროცესებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და მოსალოდნელ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები და საინტერესო პასუხები მიიღეს მომხსენებლისგან.

2018 წლის 7 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ სულხან სალაძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: "საზოგადოებრივი მაუწყებლების სამართლებრივი რეგულაციები"

შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და საჩუქრად გადასცა ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის შედეგად გამოცემული სახელმძღვანელოები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ სულხან სალაძე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე წარსდგა პრეზენტაციით თემაზე: "საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამართლებრივი რეგულაციები". მომხსენებლმა ისაუბრა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტებზე, გამოწვევებსა და რეფორმებზე. კრიტიკულად შეაფასა მიმდინარე მოვლენები და გაიხსენა დადებითი ასპექტებიც საზოგადოებრივ მაუწყებლობის ისტორიიდან.

სტუმარმა აქტიურად უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი დაინტერესებისთვის.

შეხვედრა შეაჯამა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც საიას თავმჯდომარე სულხან სალაძესთან მიმოიხილა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობა.










# საგაზაფხულო/ზამთრის სკოლები სტუდენტებისათვის











2018 წლის 16-18 მაისს ინგლისურენოვანი საგაზაფხულო სკოლა ჩატარდა სტუდენტებისათვის თემაზე: "International Relations, Governance and Society". სკოლის სემინარებს უძღვებოდნენ იტალიელი და ქართველი პროფესორები: ანდრეა კარტნეი-რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის რექტორის დელეგატი – საერთაშორისო სტუდენტურ მობილობაში, CEMAS-ის კვლევითი ცენტრის დირექტორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ისტორიის პროფესორი, ევრაზიის ისტორიის დოცენტი. გაბრიელ ნატალიცია – რომის ლინქ-ქამფუს უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, პოლიტიკურ მეცნიერებებში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის და პოლიტიკური მეცნიერებების ლექტორი, პროფესორი.ნენო გაბელია-რომის ლა საპიენსას პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი გიორგი კალანდაძე და სტუ-ს დოქტორანტი ლევან ანთია. სპიკერებმა სტუდენტებს ორი სასესიო დღის განმავლობაში გააცნეს არაერთი მნიშვნელოვანი თემა და საგაზაფხულო სკოლის დასასრულს სტუდენტებმა ჩაატარეს პრეზენტაციები, რითაც წარმოაჩინეს სკოლის შედეგად მიღებული ცოდნა. მნიშვნელოვანია რომ ინგლისურენოვან სკოლას 40-მდე სტუდენტი ესწრებოდა და ისინი სამი დღის მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართულნი დისკუსიაში. საგაზაფხულო სკოლა დახურა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც სპიკერებთან ერთად სკოლის მსმენელებს საერთაშორისო სერტიფიკატები გადასცა.

## 2018 წლის 2-4 თებერვალს დაბა ბაკურიანში ზამთრის სკოლა თემაზე: პერსონალური მონაცემები და მათი დაცვის ინსტრუმენტები“ ჩატარდა



ზამთრის სკოლა განხორციელდა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ორგანიზებით, რომელიც დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

ზამთრის სკოლას უძღვებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელი ნინო ქურასბედიანი, რომელმაც ლექციები ჩაატარა პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის, ინსპექტორის მანდატის, მონაცემების დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების შესახებ, ყურადღება გაამახვილა ვიდეოკონტროლის განხორციელებაზე, პირდაპირი, აგრესიული მარკეტინგის მნიშვნელობაზე პერსონალური მონაცემების დაცვისას. ზამთრის სკოლის მსმენელებმა მიმოიხილეს კონკრეტული კაზუსები, ევროსასამართლოს პრაქტიკა და საქართველოში არსებული კანონმდებლობა.

დასასრულს, ზამთრის სკოლის ორგანიზატორებმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მენეჯერმა ასისტენ-პროფესორმა ანა ფუტკარაძემ, ასისტენ-პროფესორმა გოგა მამფორიამ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელმა ნინო ქურასბედიანმა ზამთრის სკოლის მსმენელებს გადასცეს სერტიფიკატები.

**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებითა და დაფინანსებით 2017 წლის 24-27 დეკემბერს ბაკურიანში გაიმართა ზამთრის სკოლა თემაზე: „ადამიანის ძირითადი უფლებები და 21-ე საუკუნის გამოწვევები“.** აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სკოლა განხორციელდა სტუ-ს გენდერული ცენტრისა და ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ახალგაზრდა იურისტთა კლუბის ინიციტივით. რაც ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან კერძოდ კი ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირკლი გაბისონიას მხრიდან სრულად იყო მოწონებული და მხარდაჭერილი.

მნიშვნელოვანია, რომ ზამთრის სკოლის დღის წესრიგი საკმაოდ დატვირთული და მრავალმხრივი იყო,კერძოდ რამდენიმე პროფესორმა ჩაატარა ლექცია მსმენელებისთვის, მათ შორის, პროფესორებმა ქეთევან ჯინჭარაძემ, მაია ყიფიანმა, ციალა გლოველმა და ლელა წიკლაურმა. ასევე, ზამთრის სკოლის ფორმატში ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანის უფლებათა სამართალში და სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები განსახილველ საკითხებთან მიმართებაში.

ზამთრის სკოლის დახურვის ცერემონიალს უძღვებოდა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია, რომელმაც ზამთრის სკოლის მსმენელებს საზეიმო ვითარებაში გადასცა სერტიფიკატები, მადლობა გადაუხადა აქტიურობისთვის.













**2018 წლის 27-31 იანვარს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით ქალაქ ქუთაისის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზამთრის სკოლა თემაზე: „სახელმწიფო, პოლიტიკა, რელიგია“ გაიმართა.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მიერ მოწვეულ იქნა გერმანელი პროფესორი იოჰანეს ვეისი, რომელმაც სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „პოლიტიკა, როგორც მოწოდება ან ხელობა ვებერის მიხედვით“ და „განსჯადობის პრობლემა ვებერის რელიგიის სოციოლოგიაში“.

ზამთრის სკოლის მსმენელებს უცხოელ პროფესორთან ერთად ლექცია/სემინარები ჩაუტარეს პროფესორ მამუკა ბერიაშვილმა, პროფესორ ემზარ ჯგერენაიამ და პროფესორ მინდია ოკუჯავამ თემებზე: ევროპული კულტურის მთავარი ნიშანი ვებერის „წინასწარი შენიშვნების“ მიხედვით, სამართლებრივი სახელმწიფო და თანამედროვე შეხედულებები საკანონმდებლო-აღმასრულებელ ურთიერთობათა შესახებ, სახელმწიფო, როგორც ზნეობრივი სახელმწიფო, რელიგიის ზეგავლენა ეკონომიკურ ცხოვრებაზე „პროტესტანტული ეთიკის და კაპიტალიზმის სულისკვეთების“ ვებერის მიხედვით და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები და ხელისუფლებრივ უფლებამოსილებათა განაწილების ზოგიერთი თავისებურება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ლექციების შემდგომ გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია, რომლის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ფაკულტეტის სტუდენტები.

ზამთრის სკოლის დღის წესრიგი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

აღნიშნულ ზამთრის სკოლაში ასევე მონაწილეობდნენ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ზამთრის სკოლის დახურვის ცერემონიალი გაიმართა 31 იანვარს, სადაც მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

**ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 23 დან 29 ივლისის ჩათვლით ჩატარდა საზაფხულო სკოლა თემაზე: „კონსტიტუციური სახელმწიფო და ძირითადი უფლებები“.**





საზაფხულო სკოლის პროექტი მიზნად ისახავდა აკადემიური და საზოგადოებრივი დისკუსიების ხელშეწყობას თანამედროვე ქართული სივრცისთვის ისეთ რელევანტურ სოციალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე, როგორიცაა: სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, კონსტიტუციური სახელმწიფოს პრინციპები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, და სხვა.



საზაფხულო სკოლის მონაწილეებს საშუალება აქვთ მოისმინონ ქართველი და ევროპელი მეცნიერების თეორიული ლექციები, ჩაიწერონ მასალები, პროექტის ფარგლებში წაკითხეული სემინარები გადაითარგმნება ქართულად და გამოქვეყნდება კრებულებში



საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და სხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებიც დაესწრნენ სემინარებს და შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ დისკუსიებში.

პროფესორმა მამუკა ბერიაშვილმა მსმენელები გააცნო სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ზნეობრივი სახელმწიფო, ლევან შატბერაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ადამიანის უფლებების დაფუძნება, გეორგ ლომანმა გააცნო სტუდენტებს ადამიანის უფლებებისა და ევროპულ კონსტიტუციის შესახებ საკუთარი შეხედულებები და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ლექცია-სემინარი ჩაუტარდათ საზაფხულო სკოლის მონაწილეებს.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13-18 ივლისს, უკვე მეხუთედ, უმასპინძლა საზაფხულო სკოლას „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, ამავე უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მრჩევლები საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკულ ასპექტებზე ესაუბრნენ, ლექციებზე მიმოიხილეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. სალექციო კურსის პარალელურად სტუდენტები სასამართლოში მიმდინარე პროცესებსაც ესწრებოდნენ. დასასრულს, საზაფხულო სკოლის მონაწილეებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ წარმატებები უსურვა და სტუდენტებს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატებით გადასცა.













# ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრის „სახელმწიფო-სამართალი-პოლიტიკა-კულტურა“ აქტივობები





**2017 წლის 18 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში გაიმართა შეხვედრა მიუნსტერის უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორთან მამუკა ბერიაშვილთან, რომელმაც ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე:„სახელმწიფო როგორც თავისუფლების განხორციელების ადგილი ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში“.**

პროფესორმა მოხსენება სრულად მიუძღვნა ჰეგელის მოღვაწეობის განხილვას, ჩამოაყალიბა ყველა ის თეორია და მიდგომა სამართლის, სახელმწიფოსა და რელიგიისადმი რომელიც ჰეგელს გააჩნდა. განიხილა სახელმწიფო, როგორც თავისუფლების განხორციელების ადგილი ჰეგელის თეორიის თანახმად.

**2017 წლის 15 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მსოფლიოში ცნობილმა პროფესორმა ვალტერ იეშკემ საჯარო ლექცია ჩაატარა თემაზე: „რელიგია და სამართალი“.**

აღნიშნული შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ. მან გააცნო სტუდენტებს ინფორმაცია პროფესორის შესახებ და მადლობა გადაუხადა მას საქართველოში ვიზისთვის.

სტუდენტები აქტიურად დაინტერესდნენ პროფესორის მიერ წამოყენებული საკითხებით, მოისმინეს მისეული ხედვა პრობლემურ თეზისებთან მიმართებაში და გამართეს დისკუსია.

**2017 წლის 1 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის განახლებულ საჯარო სამართლის ლაბორატორიაში გაიმართა გერმანელი პროფესორის თეო კობუშის საჯარო ლექცია თემაზე: „შესაქმე არარასგან“.**

პროფესორმა თეო კობუშმა განავრცო აღნიშნული თემატიკა, პიროვნებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები. განმარტა ადამიანის როლი სოციუმში.

მოხსენების შემდგომ გაიმართა დისკუსია სტუმარსა და სტუდენტებს შორის, აღნიშნული შეხვედრა დაფინანსდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ფაკულტეტის ადმინისტრაცია კვლავ აქტიურად განაგრძობს მსოფლიოს სხვადასხვა პროფესორების მოწვევას.



**2018 წლის 29 მარტს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით ბონის უნივერსიტეტის დოქტორანტმა ლევან შატბერაშვილმა საჯარო ლექციათა კურსის „სახელმწიფო და სამართლის სწავლების" ფარგლებში ჩაატარა პირველი საჯარო ლექცია თემაზე: „არისტოტელეს პოლიტიკური ფილოსოფია და ეთიკა".**

ფაკულტეტზე აღნიშნული საჯარო ლექციათა კურსი უკვე ხანგრძლივად ხორციელდება და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ მოწვეული პროფესორების ლექცია-სემინარებს სახელმწიფოსა და სამართლის სწავლებისა და სეკულარიზაციისა თეორიების შესახებ.

ბონის უნივერსიტეტის დოქტორანტმა ლევან შატბერაშვილმა ისაუბრა არისტოტელეს ცხოვრებისეულ შეხედულებებზე, მასზე როგორც ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელზე. შეადარა ერთამანეთს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებანი და მიმოხილია მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები.

**2018 წლის 19 აპრილს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ირაკლი თაბორიძემ საჯარო ლექციათა კურსის "სახელმწიფო და სამართლის სწავლების" ფარგლებში ჩაატარა პირველი საჯარო ლექცია თემაზე: „რომაული სახელმწიფო და სამართლებრივი აზროვნება".**

ფაკულტეტზე აღნიშნული საჯარო ლექციათა კურსი ხორციელდება და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ მოწვეული პროფესორების ლექცია-სემინარებს სახელმწიფოსა და სამართლის სწავლებისა და სეკულარიზაციისა თეორიების შესახებ.

დოქტორანტმა ირაკლი თაბორიძემ ისაუბრა რომაელი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების მოღვაწეობის შესახებ და მიმოხილა ციცერონის სწავლება სახელმწიფოს მმართველობის ოპტიმალური ფორმისა და სამართლის კუთხით, სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები მოწვეულ სტუმარს, რაზედაც ამომწურავი და საინტერესო პასუხები მიიღეს.







# ინტერდისციპლინური სასწავლო-კვლევითი ცენტრი ,,სახელმწიფო-სამართალი-პოლიტიკა-კულტურა“ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**თავი I. შესავალი. პრეამბულა**

ინტერდისციპლინური სასწავლო-კვლევითი ცენტრი ,,სახელმწიფო-სამართალი-პოლიტიკა-კულტურა“ (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუციურ ერთეულს,რომელიც წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გაზიარებისა და ადაპტირების საფუძველზე, მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ, სოციალურ და კულტურის მეცნიერების მიმართულებით, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების ათვისებას, ადაპტირებას და შემდგომ, სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო-კვლევით პრაქტიკაში მათ დანერგვას.

ცენტრი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს/დარგებს: ფილოსოფიას, სოციალური თეორიას, სოციოლოგიას, კულტურის მეცნიერებას, სამართალს, მაკროეკონომიკას, პოლიტიკის მეცნიერებასა და ისოტორიას. ცენტრის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი მიმართულების მქონე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე მყოფი სტუდენტები.

ცენტრის მიზანია, საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით.

ცენტრი დაფუძნებულია, ტრადიციული საგნობრივად ორიენტირებული კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, თემატურად ორიენტირებული კვლევითი და სასწავლო პროგრამის საფუძველზე. ეს ფაქტორი განაპირობებს ცენტრის უფრო მაღალი ხარისხის ღიაობას ახალ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში აქტუალური თემების, ინტერდისციპლინური მიდგომებისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ. ამასთანავე, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში დანერგვა უფრო დინამიკურს და განახლებადს გახდის სწავლების პროცესს.

**თავი II. ზოგადი დებულებანი**

1. ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტისბაზაზე დაფუძნებული, ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტირებული, ფაკულტეტთშორისი სასწავლო-კვლევით ერთეული (შემდგომში - ცენტრი).

2. ცენტრი საკუთარ საქმიანობასწარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისადაამდებულების შესაბამისად. ცენტრის ადგილსამყოფელია: ქალაქით ბილისი, მერაბ კოსტავას 77

3. ცენტრი საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრს შეუძლია იშუამდგომლოს დადგენილი წესით უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს ისე სხვა ქვეყნის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის დროებით მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე.

**თავი III. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები**

1. ცენტრის ზოგადი სარგებლიანობა

1.1ცენტრის სარგებლიანობა განისაზ-

ღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) სარგებლით, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას/მხარდაჭერას/განვითარებას.

1.2 ცენტრის ფინანსური სახსრები გახარჯულ უნდა იქნას მხოლოდ ამ დებულებით გათვალისწინებულ აქტივობებსა და მიზნებზე. ცენტრის წევრები არ ღებულობენ არავითარი სახის მოგების წილს და როგორც წევრები არ სარგებლობენ ცენტრის ამა თუ იმ საშუალებებით თუ პრივილეგიებით. არც ერთ წევრზე არ შეიძლება გაიცეს ისეთი სახის საშუალება ან ფინანსური რესურსი, რომლის დანიშნულებაც არ არის დაკავშირებული ცენტრის დებულებაში გაწერილ მიზნებთან და სამეცნიერო სამუშაოებით გათვალისწინებულ აქტივობებთან.

2. ცენტრის სამეცნიერო მიზნები და ამოცანები

2.1 ცენტრი სამეცნიერო მიზნად ისახავს:

ა) სოციალური და კულტურის მეცნიერებების როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევითი პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის დანერგვასა და განვითარებას საქართველოში; ბ)ინტერდისციპლინურ ბაზისზე ემპირიული და სამეცნიერო კვლევების მეთოდების დანერგვა-განვითარებას სოციალური და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით;

გ) სოციალური და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით ემპირიული და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ, შემეცნების თეორიულ და კვლევით ეთიკასთან დაკავშირებულ პრობლემათაშესწავლასა და გაანალიზებასინტერდისციპლინურ დონეზე;

დ) საქართველოს სახელმწიფოუნივერსიტეტებსა და ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობას, აკადემიური გამოცდილების გაზიარებას,გაცვლითი სასაწავლო და კვლევითი ურთიერთობების გამყარებას.

ე)ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გამოქვეყნებას სხვადასხვა საპუბლიკაციო ფორმაში, აგრეთვე სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების მომზადებას (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის) და დანერგვას (მაგ. კონფერენციის, სემინარების, ბლოკ-სემინარის, საზაფხულო სკოლის, ვორკშოპის, მოხსენების, სალექციო კურსის, სიმპოზიუმის და ა.შ. სახით);

ვ) მომავალი მეცნიერებისა და მკვლევარების მომზადებას და მხარდაჭერას, რომლებიც შემდგომში უშუალოდ ითანამშრომლებენ ცენტრთან და ამ ტიპის სხვა ინსტიტუციებთან, ჩაერთვებიან ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ზ) მომავალი თაობის მეცნიერთა (ფორუმის) აკადემიურ მხარდაჭერასა და მათ ჩართვასცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევით პროცესებში;

თ) შიდა (ცენტრის ფარგლებში) და საჯარო ღონისძიებების მოწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შედეგებისა და მიღწევების და ასევე სამომავლო კვლევითი პროექტების პრეზენტაციისა და განხილვისთვის, რაც სოციალური და კულტურის მეცნიერებების გარშემო დისკუსიის საჯარო სივრცეში გატანისა და პოპულარიზაციის მიზანს ემსახურება.

2.2 ჩამოთვლილი მიზნების განხორციელება გულისხმობს საქართველოში დასავლურ სტანდარტებზე მორგებული ინტერდისციპლინური კვლევითი ბაზისის შექმნას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოების სოციალური და კულტურის კვლევები ინტერდისციპლინურ ჩარჩოში განხორციელდება. მასში ჩართული იქნებიან სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების წარმომადგენლები: ფილოსოფოსები, სოციოლოგები, კულტურისა და პოლიტიკის მეცნიერები, ისტორიკოსები, იურისტები და სხვ.

2.3 ცენტრის თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გაიაზროს მათი მეცნიერული

მოღვაწეობისა და მიღებული ცოდნის შედეგები, მათი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. მათ არ უნდა განახორციელონ ისეთი ტიპის კვლევები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვლენ ფუნდამენტურ ეთიკურ ნორმებთან, ან შეაფერხებს მეცნიერთა და მეცნიერების აკადემიურ დამოუკიდებლობასა და მის (დამოუკიდებელ) განვითარებას. იმ შემთხვევაში, თუკი ცენტრში მოღვაწე მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის/თანამშრომლებისთვის წინასწარ ცნობილი იქნება, რომ მათი კვლევის შედეგები, თუ (მათთვის ცნობილი) გვერდითი მოვლენები - მათი უპასუხისმგებლო გამოყენების შემთხვევაში საგულისხმო/არსობრივ საფრთხეს შეუქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ან მშვიდობიან თანაცხოვრებას სხვა ადამიანებთან, ისინი ვალდებული იქნებიან აცნობონ ამის შესახებ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს.

**თავი IV. ცენტრის მართვა**

1. ცენტრის მართვის ორგანოებია:

ა) სამეცნიერო საბჭო;

ბ) დირექტორი;

გ) ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო.

2. ცენტრისსამეცნიერო საბჭო:

ა) ცენტრის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედისცენტრის სამეცნიერო პერსონალი;

ბ) ცენტრის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს სწავლებისა და კვლევის ძირითადი მიმართულებების, ახალი სასწავლო და კვლევითი პროგრამისა თუ პროექტების დამტკიცების, ცენტრის კვლევითი და სასწავლო სტრატეგიის განსაზღვრის თაობაზე,ცენტრის ახალი წევრის არჩევის, დირექტორის, საქმეთა მმართველი დირექტორის არჩევისა და მათი უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე.

3. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ.

4. სამეცნიერო საბჭოს საგანგებო კრების მოწვევა ხდება წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, ცენტრისთვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული საკითხების განხილვის აუცილებლობის შემთხვევაში.

5. სამეცნიერო საბჭოს კრება ჩაითვლება უფლებამოსილად, თუკი მას ესწრება და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას ღებულობს მისი წევრების მინიმუმ ორი მესამედი და მაქსიმუმ ერთი მესამედი წარმოდგენილია ამ უკანასკნელის მიერ სპეციალურად დანიშნული ნდობით აღჭურვილი პირების სახით.

6. სამეცნიერო საბჭო განიხილავს ცენტრის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების მართვისა და განვითარების საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს.

7. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს წარმოადგენს ცენტრის დირექტორი, რომელიც ვალდებულია საბჭოს წინაშე წარადგინოს ცენტრის უახლოესი 5 წლის კვლევითი გეგმა/პროექტი.

8. სამეცნიერო საბჭო ვალდებულია განიხილოს დირექტორობის კანდიდატის მიერ წარდგენილი კვლევითი გეგმა/პროექტი და ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის დამტკიცების და შესაბამისი პირის დირექტორად დანიშვნისა/დირექტორად მეორე ვადით არჩევის შესახებ. ერთი და იმავე პირის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

9. სამეცნიერო საბჭო ასევე განიხილავს საკითხს დირექტორის მიერ წარდგენილი ახალი თანამშრომლის მიღებასთან დაკავშირებით.

10. ცენტრის დირექტორი:

ა) ცენტრის დირექტორად შეიძლება იქნეს არჩეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და მინიმუმ 5 წლის კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, შესაბამის აკადემიურ სფეროში. დირექტორი იმავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ბ) ცენტრის დირექტორს ირჩევსსამეცნიერო საბჭო, ღია კონკურსით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. დირექტორის არჩევა ხდება 5 წლის ვადით, როგორც მისი კომპეტენციის, ასევე აკადემიური მუშაობის გამოცდილების, აგრეთვე, წარმოდგენილი 5 წლიანი სამეცნიერო კვლევითი გეგმა/პროექტის საფუძველზე.

გ) ცენტრის დირექტორობის ვადის გახანგრძლივება მომდევნო 5 წლით შესაძლებელია, ერთი მხრივ, წარმოდგენილი ახალი გეგმა/პროექტის, ან ძველი გეგმა/პროექტის გახანგრძლივების რელევანტურობის და მეორე მხრივ, უკვე შესრულებული სამუშაოს უმაღლესი შეფასების შემთხვევაში, როგორცსამეცნიერო საბჭოს, ისე გარე სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ) ცენტრის სამეცნიერო საბჭო ცენტრის დირექტორის წარდგინებით ირჩევს 5 წლის ვადით დირექტორის მოადგილეს (ცენტრის საქმეთა მმართველს).

ე) ცენტრის დირექტორის მოადგილე წარმოადგენს ცენტრს დირექტორის არყოფნის პერიოდში და ხელმძღვანელობს ცენტრის სასწავლო და კვლევითსაქმიანობას, საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას, მას ევალება ცენტრის დირექტორის მიერ შემუშავებული 5 წლიანი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროგრამის ცალკეული პროექტების განხორციელების კოორდინაცია, კვლევითი პროცესის მეთვალყურეობა და მუშაობის ხარისხის კონტროლი.

11. ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო

ა) ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო შედგება როგორც ქართველი ისე უცხოელი მოქმედი და ემერიტუსი პროფესორებისგან. ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, 5 წლის ვადით.

ბ) ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია თვალყური ადევნოს სამეცნიერო კვლევით და სასწავლო პროცესებს, ასევე თანამშრომელთა მუშაობას.

ზ) მომავალი თაობის მეცნიერთა (ფორუმის) აკადემიურ მხარდაჭერასა და მათ ჩართვასცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევით პროცესებში;

თ) შიდა (ცენტრის ფარგლებში) და საჯარო ღონისძიებების მოწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შედეგებისა და მიღწევების და ასევე სამომავლო კვლევითი პროექტების პრეზენტაციისა და განხილვისთვის, რაც სოციალური და კულტურის მეცნიერებების გარშემო დისკუსიის საჯარო სივრცეში გატანისა და პოპულარიზაციის მიზანს ემსახურება.

### თავი V. ცენტრის წევრები, ცენტრის წევრების უფლებამოსილებები, ცენტრის წევრობის შეწყვეტა

1.ცენტრში შეიძლება გაწევრიანდეს სამეცნიერო პერსონალი, რომელიც შედგება მეცნიერებისა და პოსტ-დოქტორანტებისაგან, ასევე დამხმარე პერსონალი (შემდგომში - ცენტრის პერსონალი). ცენტრის პერსონალის შემადგენლობა განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.ცენტრს შეიძლება ჰყავდეს შემდეგი სახის დამხმარე პერსონალი:

ა) შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითდასასწავლო-კვლევითგრანტებშიმონაწილეობის შედეგად კვლევითიგამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვსმაგისტრისანმასთანგათანაბრებული აკადემიურიხარისხი;

ბ) შესაბამისი კვალიფიკაციისმქონეპირი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას (მდივანი, კოორდინატორიდასხვ.).3.კონკრეტული ამოცანების შესრულების მიზნით ცენტრში, ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ცენტრის პერსონალი ინიშნება და სამუშაოდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ცენტრის დირექტორის წარდგინებით უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული პირობების დაცვით. ცენტრის პერსონალის ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

5. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობა განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ცენტრის დებულებით, ის შეესაბამება აკადემიური თავისუფლების ევროპულ სტანდარტებს/პრინციპებს.

6. ცენტრის პერსონალისვალდებულებებია:

6.1 სამეცნიერო პერსონალივალდებულია მოცემული კვლევითი პროექტის ფარგლებში შეასრულოსშესაბამისი კვლევითი სამუშაო, კონკრეტულ ვადებში მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, რაც გულისხმობს ლექციებისა და სემინარების ჩატარებას, ბლოკ-სემინარებში მონაწილეობას, საზაფხულო სკოლებში მონაწილეობას, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობას; 6.2 ცენტრში მოწვეული სპეციალისტები, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებული არიან შეასრულონ კონკრეტული პროექტისფარგლებში მათთვის განსაზღვრული კვლევითი სამუშაო და მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში, ბლოკ-სემინარების ჩატარებისა და საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის სახით;

6.3 დამხმარე პერსონალი ვალდებულია სხვადასხვა სახის ტექნიკური და არაძირითადი ხასიათის სამეცნიერო ხასიათის დახმარება (ასისტირება) გაუწიოს კვლევით პროცესში უშუალოდ მონაწილე სამეცნიერო პერსონალს ან უზრუნველყოსცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების მოწესრიგება.

7. ცენტრის პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების საფუძვლებიასაქართველოს შრომის კანონმდებლობით ან/და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევები.

**თავი VI. ცენტრის დაფინანსება**

1. ცენტრი არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკევებული ერთეული. ცენტრის სახსრები იქმნება:

ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ გათვალისწინებული სახსრებით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ფონდების სახსრების მოზიდვით, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროგრამებიდან მიღებული გრანტებით;

გ) საქველმოქმედო შემოწირულობებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შენატანებით;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული შემოსავლებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

2. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

# ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის აქტივობები



2017 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია შეხვდა საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის ხელმძღვანელს პროფესორ ჩი რუშანს და ჩინური ენის პრაქტიკული კურსის ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომელნიც ჩინურ ენას შეასწავლიან სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს. დეკანმა მადლობა მოახსენა პროფესორ ჩი რუშანს, რომლის ხელშეწყობით ჩვენი ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები მომავალში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ისწავლიან ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. გაიმართა მსჯელობა მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე.შეხვედრას ესწრებოდა ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე.



2017 წლის 8 ნოემბერს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს სტუმრობდნენ კონფუცის ინსტიტუტის ჩინელი მოხალისეები და ქართველი ჩინური ენის პედაგოგები,რომლებიც ჩინურ ენას შეასწავლიან სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის 30 სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ ჩინელი მოხალისეები ანაზღაურების გარეშე იმუშავებენ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ჩინეთის მთავრობის პროგრამის ფარგლებში. დაიგეგმა მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის. ერთობლივი პროექტი ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონიას ინიციატივით და მხარდაჭერით. ჩინელმა სტუმრებმა თავიანთი გემოვნებით მოაწყვეს ჩინური ენის კაბინეტი, სადაც ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები. ჩინელ მოხალისეებს შეხვდა და თანამშრომლობის პირობები და მომავლის გეგმები გააცნო ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ავთანდილ კიკნაძემ.



2018 წლის 16 მარტს შედგა ტელეხიდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ჩინური კლუბის წევრებსა და ჩინეთში ამავე კლუბის წევრებს ნელი ახობაძესა და ნინი ასანიძეს (ქალაქი ხანგჯოუ, ჯეძიან გუნშან უნივერსიტეტი) შორის. ორივე სტუდენტი ამჟამად სწავლობს ერთწლიან პროგრამაზე ჩინეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტში, რომელთა დაფინანსებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს.

# შეხვედრები სტუდენტებთან









**2018 წლის 10 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვევით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი შეხვდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.**

ღონისძიება გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და ხაზი გაუსვა მსგავსი სახის ღონისძიებების მნიშვნელობას. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუ-ს სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, პროფესორი ნესტან კირთაძე, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი იგორ კვესელავა, პროფესორი რევაზ მიშველაძე, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

სტუმარს მიესალმა სტუ-ს სპიკერი პროფესორი ჯემალ გახოკიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და ყურადღება გაამახვილა მათ შედეგებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მოწვევისათვის. მოხსენებისას თემაზე: „ევროპა-საქართველოს ურთიერთობები“ ყურადღება გაამახვილა საგარეო ურთიერთობების პრიორიტეტებზე,კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე, გლობალურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე. ხაზი გაუსვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და დეოკუპაციას. ასევე, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებულ ზოგიერთ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება.

2018 წლის 7 მაისს ევროპის დღესთან დაკავშირებით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრებთან: თამარ ხულორდავასთან, ნინო წილოსანთან და დიმიტრი ცქიტიშვილთან. პარლამენტარებთან წარიმართა დისკუსია თემაზე: „ევროპისა და საქართველოს ურთიერთობები XXI საუკუნეში“.



შეხვედრა გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა, რომელმაც სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი.

პარლამენტარებს მიესალმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, რომელმაც გამოხატა მზადყოფნა საქართველოს პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობის.



პირველმა მომხსენებელმა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ მიმოხილა საქართველოს როლი ევროინტეგრაციის გზაზე, შეეხო გამოწვევებსა და უკვე მიღწეულ წარმატებებს ამ კუთხით.

ნინო წილოსანმა ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ ეკონომიკურ ჭრილში და დეტალურად ისაუბრა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების უპირატესობებსა და შესაძლებლობებზე.



პარლამენტარმა დიმიტრი ცქიტიშვილმა მიმოიხილა უშუალოდ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები, შეეხო ორმხრივ დიპლომატიას და ამ კუთხით წარმოადგინა რამდენიმე რეკომენდაცია.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, პარლამენტარებმა აქტიურად უპასუხეს სტუდენტების შეკითხვებს და გამოითქვა მზაობა მეცნიერული თვალსაზრისით უნივერსიტეტთან თანამშრომლობისათვის.









**2018 წლის 3 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი შეხვდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.**



შეხვედრა გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს მობრძანებისათვის. სტუ-ს რექტორმა ისაუბრა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე და ხაზი გაუსვა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შედეგებს და იმ ტენდენციებს, რომელსაც ანვითარებს ფაკულტეტი ახალი დარგების ჩამოყალიბების კუთხით, როგორიცაა: საინჟინრო სამართალი, საგამოძიებო სამართალი, ტრანსპორტის სამართალი და სხვ.



ღონისძიებას ესწრებოდნენ: სტუ-ს სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე, სტუ-ს კანცლერი, პროფესორი ქეთი ქოქრაშვილი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, ფაკულტეტის მენეჯერი ანა ფუტკარაძე, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა საჯარო ლექცია ჩაატარა სტუდენტებისთვის აქტუალურ საკითხებზე. ყურადღება გაამახვილა პარლამენტის საქმიანობაზე, კერძოდ, საზედამხედველო ფუნქციაზე და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაზე. ვიცე-სპიკერმა ხაზი გაუსვა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტს შორის სამეცნიერო თვალსაზრისით თანამშრომლობის აუცილებლობას, მისი თქმით ,,პარლამენტი ძლიერდება, როდესაც უნივერსიტეტის კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობს, ვინაიდან, ყველა კანონი, რომელსაც პარლამენტი იღებს უნდა ეფუძნებოდეს ძლიერ კვლევით საქმიანობას და სწორედ უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობა და ფუნდამენტური კვლევა განაპირობებს აღნიშნულს‘‘.

**2018 წლის 20 მარტს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების'' ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან დიმიტრი ცქიტიშვილთან და ნინო წილოსანთან.**

ღონისძიება გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და ნაყოფიერი სამუშაო გარემო უსურვა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

შეხვედრა მიეძღვნა ისეთი თემის განხილვას, როგორიცაა ,,ქალის როლი პოლიტიკაში''. თავდაპირველად, ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარმა ქალბატონმა ნინო წილოსანმა ისაუბრა პარლამენტში ქალთა კვოტირების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე.



პარლამენტის წევრმა ბატონმა დიმიტრი ცქიტიშვილმა სტუდენტებს გააცნო ის ძირეული საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ფემინიზმთან, გენდერულ ბალანსთან, ნაადრევ ქორწინებასთან და სხვა.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები დეპუტატებს განსახილველი თემის ფარგლებში, გენდერულ-სამართლებრივ ჭრილში.












**2017 წლის 13 დეკემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან ბატონ ზაზა თავაძესთან და თავმჯდომარის მოადგილესთან ქალბატონ ლალი ფაფიაშვილთან.**

შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და შეხვედრის წარმართვა სთხოვა სტუ-ს სპიკერს პროფესორ ჯემალ გახოკიძეს. მან ასევე სტუმრებს მოკლედ გააცნო ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ.



სტუმრებს მიესალმა და საკუთარი მოხსენება წარმოადგინა სტუ-ს სპიკერმა პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ, რომელმაც ისაუბრა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე, საზოგადოებას წარუდგინა სახელმძღვანელო-კვლევის შედეგი ჩინეთსა და ჰონკონგის შესახებ, ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ასპექტზე, აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ისაუბრა სასამართლოს როლზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, განმარტა სტრუქტურა, მოსამართლეთა წარდგენის წესი, ვადა და სხვა ღირებული საკითხები, რომლებიც აქტიურად არის დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციის შესრულებასთან. ასევე, შეეხო ნეგატიური მართლმსაჯულების პრინციპებს და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.



აუდიტორიაში მსჯელობა გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო დროს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, მათ შორის, მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის დოქტორანტმა დიმიტრი საბულუამ, რომელიც სწორედ აღნიშნულ თემას იკვლევს დისკუსი გამართა მოსამართლეებთან, ასევე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

**2018 წლის 26 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები ზუზანა კოვალოვა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების ხელმძღვანელი მარკ ჰულსტი შეხვდნენ სტუდენტებს და ჩაატარეს საჯარო ლექცია თემაზე: „მიგრაციული პროცესები და ლტოლვილთა დაცვა - საქართველო და მსოფლიო“.**

პირველი მოხსენებით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე წარსდგა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი ზუზანა კოვალოვა, რომელმაც თავდაპირველად აჩვენა მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი მსოფლიოში მიგრაციასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას მოწვევისათვის და ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: მიგრაცია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, მიგრანტთა უფლებები, სახელმწიფოთა მიდგომები, საზოგადოებრივი შეხედულებები ლტოლვილთა მიმართ და სხვა. მანვე მიმოიხილა გაეროს უმაღლესი კომისარიატის საქმიანობა ლტოლვილთა დაცვის სფეროში, სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები ზუზანა კოვალოვას, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარკ ჰულსტმა პირადი ისტორიის მაგალითზე გააცნო სტუდენტებს მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, იმსჯელა მსოფლიო დღის წესრიგზე ლტოლვილებთან მიმართებაში და ხაზი გაუსვა საზოგადოებრივ ჩართულობის მნიშვნელობას ლტოლვილთა დახმარების საკითხებში.

მესამე მოხსენებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტების უფროსი-ასისტენტი ანა კაკუშაძე წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე ემიგრაციის საფუძვლებთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რა ინფორმაციას ფლობენ თუნდაც საქართველოს მოქალაქენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებით. ასევე, სტუდენტებს სთხოვა დაეფიქსირებინათ თითოეული ის მიზეზი, რაზეც დამოკიდებულია ასეთი მასშტაბური ემიგრაცია და დარბაზის ჩართულობით თითოეული მათგანი განმარტა.

შეხვედრა შეაჯამა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორ იგორ კვესელავამ.













**2017 წლის 14 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ნინო ბოლქვაძე შეხვდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.**

შეხვედრა გახსნა სტუ-ს ვიცე-რექტორმა ლევან კლიმიაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის.

ვიქტორ დოლიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ასეთი დაინტერესებისთვის. დეტალურად მიმოიხილა უვიზო მიმოსვლის შედეგები, საზღვრის გადალახვისას შექმნილი სირთულეები და მოიშველიაა სტატისტიკა. ხაზი გაუსვა ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერებას, ახალი პროექტების შემუშავებას, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვსა და ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას. ყურადღება გააამხვილა ნატოსა და ევროკავშირის სარგებლიანობაზე ჩვენი ქვეყნისთვის. მადლობა გადაუხადა სტუ-ს ადმინისტრაციას მსგავსი სახის შეხვედრების ორგანიზებისათვის, ასევე სტუდენტებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სტუ-ს სპიკერი პროფესორი ჯემალ გახოკიძე, რომელმაც ისაუბრა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიღწევებზე.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია მიესალმა სტუმრებს და ისაუბრა უნივერსიტეტის მიზნებსა და პროგრამებზე. აღნიშნა რომ საქართველოს ინტეგრაციაზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის მომავალი. ყურადღება გაამახვილა იმ ევროპულ პროგრამებზე, რომელიც აქტიურად ისწავლება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

სტუდენტებმა არაერთი შეკითხვა დაუსვეს სახელმწიფო მინისტრს ვიქტორ დოლიძეს და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორს ნინო ბოლქვაძეს, რომლებმაც ამომწურავად უპასუხეს თითოეულ მათ შეკითხვას.

**2017 წლის 15 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი და ამავე ცენტრის წარმომადგენელი გიორგი ცქიტიშვილი.**



შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ პროფესორმა ჯემალ გაბელიამ, ხოლო შეხვედრას უძღვებოდა ამავე ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი იგორ კვესელავა.



თავდაპირველად სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე წარსდგა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი, რომელმაც ისაუბრა საქართველოს, როგორც ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე. ევროინტეგრაციის დადებით და უარყოფით ასპექტებზე და საერთო ეროვნული კონსესუსის აუცილებლობაზე. მოუწოდა ახალგაზრდობას მიიღონ ყოველმხრივი ინფორმაცია ევროპული ინტეგრაციის შესახებ და ამის შემდგომ ჩამოიყალიბონ სწორი ხედვა ევროპული ღირებულებების, კულტურისა და ტრადიციებთან დაკავშირებით. გაითავისონ ყველა ის მითი, რომელიც მომდინარეობს პრორუსული გზიდან და არგუმენტების საშუალებით დაუპირისპირდნენ მათ. გიორგი ფარეშიშვილმა სიტყვის დასასრულს გამოთქვა იმედი, რომ სწორედ თქვენ იქნებით პირველები, რომლებიც ევროპულ გზაზე წამყვან როლს შეასრულებთ.



ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა გიორგი ცქიტიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ყველა ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განხორციელდა საქართველოში ევროკავშირისკენ სწრაფვის გზაზე. გამახვილდა ყურადღება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებების დაცვაზე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებულ სხვა არაერთ ცვლილებაზე. მიმოიხილა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, მის მიზნები და სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები.



**2018 წლის 19 მარტს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ვიზალიბერალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორთან ნინო ბოლქვაძესთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის პროგრამების დირექტორთან – გოგიტა ღვედაშვილთან.**

აღნიშნული შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.

შეხვედრის მიზანი მდგომარეობდა სტუდენტების ვიზალიბერალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში. ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ გააცნო დამსწრე აუდიტორიას უცხოეთში უვიზოდ მიმოსვლის კრიტერიუმები და მოიშველია სტატისტიკური მონაცემები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის პროგრამების დირექტორმა გოგიტა ღვედაშვილმა დეტალურად ისაუბრა რეადმისიის პროცესთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებზე.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, ორივე მომხსენებელმა ამომწურავად გასცეს პასუხები სტუდენტების შეკითხვებს.















**2018 წლის 27 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის წევრები შეხვდნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.**

ღონისძიება გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, აკადემიის წევრმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი. დეკანის შეხედულებით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში სასწავლო პროგრამების, სილაბუსების მოდიფიკაციის მიზნით მნიშვნელოვანია აკადემიკოსების რეკომენდაციებისა და შეხედულებების გაზიარება. კერძოდ, განიხილეს:

სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის განახლებასთან დაკავშირებული ასპექტები, ფაკულტეტის მიერ შემუშავებული ახალი მიმართულებები, როგორიცაა: ინჟინერიიურისტი, იურისტეკონომისტი და სხვ.

შეხვედრისას სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის წევრები:შოთა ფაფიაშვილი, რომან შენგელია, გივი ლობჟანიძე, მალხაზ ბაძაღუა, შენგელი ფიცხელაური,ავთო ხაზალია,შოთა კოზმანაშვილი,დავით გეფერიძე და სხვები.

ასევე, წარიმართა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნარ-ჩვევები უნდა შესძინოს უნივერსიტეტმა სტუდენტს, რომ იგი გახდეს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

გამოითქვა მოსაზრებები, სასწავლო მოდულის დახვეწის შესახებ, ახალი პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საჰაერო სამართალს, საზღვაო სამართალს, მედიცინის სამართალს და ა.შ.



ტის სტუდენტებსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებს შორის. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილემ ქეთევან კვინიკაძემ დეტალურად გააცნო სტუდენტებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ისტორია და მისია. ისაუბრეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ, საპროცესო დოკუმენტაციის შედგენის, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდისათვის მოსამზადებელ და სასამართლო მოხელეთა მოსამზადებელ კურსებზე.

**2017 წლის 18 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებსა და სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს შორის.**

დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა დეტალურად გააცნეს ინფორმაცია სტაჟიორთა კონკურსის პირობების, მოთხოვნებისა და ეტაპების შესახებ. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ შეკითხვები. პროკურატურის წარმომადგენლებმა გამოთქვეს იმედი სტუ-ს სტუდენტებთან სამომავლო თანამშრომლობისა, წარმატებები უსურვეს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში და მადლობა გადაუხადა დაინტერესებისათვის.

**2017 წლის 4 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტე-**

შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში და სტუდენტების მიერ იუსტიციის უმაღლესი სკოლა შეფასდა, როგორც ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის მქონე საგანმანათლებლო ორგანიზაცია,რომელიც უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა მაღალ პროფესიულ სწავლებას.

იქვე გაჟღერდა ინფორმაცია ღია კარის დღესთან დაკავშირებით, სადაც სტუდენტთა უმრავლესობამ დასწრების სურვილი გამოთქვა, ვინაიდან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსები ხელს უწყობს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებასა და გამოცდილების შეძენას.





# გაცვლითი პროგრამები

## სტუდენტი მარიამ კიკნაძე Erasmus+ s სტიპენდიანტია




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა მარიამ კიკნაძემ არაერთი წარმატება მოიპოვა. მან 2013 წელს ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. 2015/2016 წლის გაზაფხულის სემესტრში Erasmus+ - ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში,ეკონომიკისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების ფაკულტეტზე, კერძოდ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ Middle East Technical University თურქეთის წამყვანი უნივერსიტეტია და მსოფლიოს 85 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის არის შესული. Erasmus+-s გაცვლითი პროგრამა იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება და გამოცდილება აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. პირველ რიგში, მან შეიძინა მრავალი მეგობარი და გაეცნო მსოფლიოს კულტურას, ისწავლა დამოუკიდებლად ცხოვრება და სირთულეების გადალახვა. 2017 წლის მარტში სტამბულში მონაწილეობა მიიღო ბილგესამის სტრატეგიული კვლევითი ცენტრის, პირველი ზამთრის საგარეო პოლიტიკურ სკოლაში, (Wise Men Center For Strategic Studies (Bilgesam)Foreign Policy Winter School). საგარეო პოლიტიკურ სკოლაში მისი ლექტორები იყვნენ თურქეთის ყოფილი ელჩები სირიასა და ერაყში, ალჟირსა და საბერძნეთში. საინტერესო სემინარებს თან ერთვოდა, დისკუსია სადაც 14 ქვეყნის წარმომადგენელი ერთმანეთს უზიარებდა გამოცდილებასა და ხედვებს. ასევე, იმყოფებოდა Kadir Has University, Co-opinion II.Annual Youth Summit "Youth Empowerment: Socio-Economic Inclusion of Young People" 2500 აპლიკანტს შორის აირჩიეს 70 აპლიკანტი და მათ შორის საქართველოდან მხოლოდ მარიამ კიკნაძე იყო წარმოდგენილი.




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია მხარს უჭერს სტუდენტებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში. იგი გამოთქვამს მზადყოფნას ყველა სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.

# ჩვენი კურსდამთავრებული მეგი ჯაფარიძე რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა




**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კურსდამთავრებული მეგი ჯაფარიძე ჩაირიცხა Sapienza University of Rome-ში სამაგისტრო პროგრამაზე. მან 2017 წელს წარჩინებით დაამთავრა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. 2013 წელს მიიღო მონაწილეობა USAID-is საზაფხულო სკოლაში "IFES Democracy and Citizenship", სადაც წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.**

2014/2015 წელს გახდა ევროკავშირის სტიპენდიანტი და სწავლობდა ტალინის უნივერსიტეტში, ესტონეთში. 2015 წელს მიიღო მონაწილეობა ნატოს ახალგაზრდულ სამიტზე.

2016 წელს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ფარგლებში, მონაწილეობა მიიიღო საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესში, რომელიც ჩატარდა ჰააგაში, ნიდერლანდები; იმავე წელს მონაწილეობდა „პროაქტივ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ახალგაზრდა ლიდერთა სამიტზე „ახალგაზრდული გამოწვევები და შესაძლებლობები“, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი; ასევე, მიიღო მონაწილეობა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში თემაზე: საკონსტიტუციო სამართალწარმოება, რომელიც ჩატარდა ქალაქ ბათუმში. 2017 წელს მონაწილეობდა ეროვნულ კლიენტთა კონსულტირების ტრენინგსა და შეჯიბრში, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია შეხვდა მეგი ჯაფარიძეს მიულოცა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა და უსურვა შემდგომი წარმატებები.



# კურსდამთავრებული ლორენა შამათავა ჩაირიცხა ლიტვის საუკეთესო უნივერსიტეტში




*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კურსდამთავრებული ლორენა შამათავა ჩაირიცხა ლიტვის საუკეთესო უნივერსიტეტში, რომელიც საუკუნოვან ისტორიას ითვლის, ვილნიუსის უნივერსიტეტში (1579 წ.) სამაგისტრო პროგრამაზე „ევროკავშირის ბიზნეს სამართალი“. მან მიიღო მონაწილეობა ლიტვის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნებიდან მეორე ეტაპზე გადავიდა მხოლოდ 46 აპლიკანტი, ხოლო მათ შორის საუკეთესო შედეგით, პირველ ადგილზე გავიდა. აღსანიშავია, რომ ლორენა სტუ-ს ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრის სტუდენტთა პრეზიდენტია. მან ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარისგან ბ.-ნ ვიქტორას პრანცკიეტისისგან მიიღო მადლობის წერილი, ქართულ-ლიტვური ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ლიტვური კულტურის საქართველოში პოპულარიზაციისთვის და ახალგაზრდული თანამეგობრობის შექმნისთვის.*

2014 წელს ლიტვაში ახალგაზრდა ელჩების სამიტზე საქართველოს წარმომადგენელი იყო, ვიზიტის ფარგლების დროს, პირადად შეხვდა ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს. სამჯერ (2014,2015,2016 წწ.) მოიპოვა ლიტვის სახელმწიფო დაფინანსება და გაემგზავრა ლიტვაში საზაფხულო სკოლებში. 2016 წელს გახდა გერმანული ასოციაციის START Stiftung გამარჯვებული, იმყოფებოდა გერმანიაში სტაჟირებით 2 თვით. ბერლინში „მრავალფეროვნების სკოლის“ ტრენერ-ფასილიტატორი. 2015 წელს გახდა გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის MitOst სტიპენდიანტი და პროექტის „აქტიური მოქალაქეობა“ ავტორი და კოორდინატორი. 2016 წელს, მე-2 ადგილი დაიკავა მის მიერ დაწერილმა სიმღერამ „Lietuva-širdis mana“, მუსიკალურ ფესტივალზე. 2014 წელს თჰეოდორ აუსს ლეგ-გერმანული ორგანიზაციის მიერ კავკასიის რეგიონში განხორციელებული პროგრამის კურსდამთავრებულია.



სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ირაკლი გაბისონია ამაყობს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების წარმატებებით და მოხარულია, რომ თითოეული სტუდენტი აქტიურად არის ჩართული როგორც სასწავლო ღონისძიებებში, ასევე სამეცნიერო-შემეცნებით პროგრამებში.

# მაგისტრატურის კურსდამთავრებული გვანცა ძნელაძე ჩინეთში სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა



*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის მაგისტრატურის კურსდამთავრებული გვანცა ძნელაძე 2017 წლის სექტემბერში ჩაირიცხა ჩინეთის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამაზე* **"Doctor of Juridical Science S.J.D Program" და მოიპოვა უნივერსიტეტის სრული დაფინანსება.** აღნიშნული დაფინანსება მსოფლიოს მაშტაბით სულ სამმა სტუდენტმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სადოქტორო თემას წერს თემაზე "The impact of international investment law on the legal framework of Georgia and foreign investors' rights".

გვანცა ასევე, სწავლობდა ჩინეთის, ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში ღენმინ ნივერსიტყ ოფ ჩჰინა სამაგისტრო პროგრამაზე – aster of National Economics of China. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასერთიფიკატო სალექციო კურსში, რომელიც ორგანიზებული იყო თავისუფალ უნივერსიტეტში, მათ შორის, ational Centre for Commercial law "International Business Transactions" მოპოვებული აქვს ჩინეთის მთავრობის სრული სტეპენდია, კერძოდ კომერციის სამინისტროსი MOFCOM scholarship, იგი წარმოადგენდა ერთადერთ დაფინანსებულ სტუდენტს საქართველოდან. სამაგისტრო თემა დაიცვა თემაზე "chinas outward foreign direct investment in Georgia" და აიღო წითელი დიპლომი; პეკინში ყოფნისას სტაჟირებას გადიოდა უმსხვილეს კომპანიაში China International Economic Cooperation and Investment Inc. საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტში, სადაც აგრეთვე ჩაატარა სამეცნიერო კვლევა ინგლისურ ენაზე, რომელიც ითარგმნა ჩინურად და დაიბეჭდა პუბლიკაციის სახით.



# ასოცირებულმა პროფესორმა ემილია ალავერდოვამ Erasmus + -ის პროექტში გაიმარჯვა

2017 წლის 14-22 ნოემბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ემილია ალავერდოვამ გაიმარჯვა Erasmus + -ის პროექტში და გაემგზავრა კვიპროსზე, როგორც საქართველოს წარმომადგენელი და ერთადერთი გამარჯვებული.




პროექტი სახელწოდებით "Rainbow Spectactor" ეძღვნებოდა ყველა სახის კონფლიქტს: საერთაშორისო, რელიგიურ, კორპორაციულ, პიროვნულ და ა.შ. სადაც აგრეთვე განიხილებოდა ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა კონფლიქტურ და არაკონფლიქტურ სიტუაციებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. კურსის მიზანი იყო კონფლიქტის მართვა და მენეჯმენტი და ადამიანის უფლებების დაცვა. ორგანიზატორებს პროექტი საკმაოდ წარმატებულად მიაჩნიათ და იგეგმება პროექტის 2 ნაწილის ჩატარება, სადაც ასოცირებული-პროფესორი ემილია ალავერდოვი იქნება მიწვეული ექსპერტად.



ასევე,აღსანიშნავია რომ ემილია ალავერდოვი აირჩიეს აშშ-ჩინეთისა (ISSN1539-8080) და სინო-ამერიკული (ISSN158072) ინგლისური ენის სასწავლო საგამომცემლო სახლის (David Publishing Company), USA, რეფერენტად.

# საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები



**2018 წლის 25 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“ ჩატარდა. კონფერენცია გახსნა სტუ-ს ვიცე-რექტორმა პროფესორმა ლევან კლიმიაშვილმა,რომელმაც ისაუბრა ფაკულტეტის აქტიურობაზე სხვადასხვა კონფერენციების და მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარების კუთხით და წარმატებები უსურვა კონფერენციის მონაწილეებს.**

მომხსენებლებს მიესალმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ივანე ჯაგოდნიშვილი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი იგორ კვესელავა,მწერალთა კავშირის თავმჯდომარე,პროფესორი რევაზ მიშველაძე და სხვები. კონფერენცია დაყოფილი იყო რამდენიმე სამუშაო სექციად და მომხსენებლებმა საკმაოდ საინტერესო თემები წარმოადგინეს, მათ შორის: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება, სასამართლო ხელისუფლება საქ-ს პირველ რესპუბლიკაში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საერთაშორისო ასპექტები,1920 წლის მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, მშვიდობიანი ეკონომიკა უკეთესი მომავლისთვის და სხვა. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სტუ-ს ვიცე-რექტორმა ლევან კლიმიაშვილმა და სტუ-ს პროფესორმა იგორ კვესელავა.





**2018 წლის 24 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „საქართველო-XXI საუკუნე“ ჩატარდა. კონფერენცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორმა, პროფესორმა მაია ყიფიანმა, მომხსენებლებსა და სტუმრებს მიესალმნენ დეკანის მოადგილე, პროფესორი ჯემალ გაბელია, სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ციალა გლოველი და პროფესორები: მანანა დარჩაშვილი, გიორგი კალანდაძე, ზურაბ კვეტენაძე და სხვ.**

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტმა და ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მომხსენებელმა წარმოადგინეს შემდეგი თემები: „დამოუკიდებლობის აქტი – კონსტიტუციონალიზმის სათავე საქართველოში“, – „გზა დამოუკიდებლობისაკენ“, – „ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში“ „ქალთა უფლებები საქართველოში“ „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის პრინციპი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში“ „კონსტიტუციონალიზმის პრინციპები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში" 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის აღდგენისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის შედარებითი ანალიზი“ „ეროვნული უსაფრთხოება და ჰიბრიდული საფრთხეები“ „კიბერდანაშაული“, – „ოჯახში ძალადობა“ „ისრაელის სახელმწიფო თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში“, – „1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“, ქართული ნაციონალიზმი და თურქული პოლიტიკა“, „საქართველოს ეროვნული ხელისუფლების პირველი ურთიერთობები ევროგაერთიანებასთან“ – „ევროკავშირის დახმარების პროგრამების მნიშვნელობა საქართველოსათვის“ „თურქეთის ინტერესები და სამხედრო ოკუპაცია სირიაში“ და სხვა. კონფერენცია საკმაოდ ნაყოფიერად წარიმართა, დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.












**2018 წლის 21 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში საჯარო სამართლის ლაბორატორიაში სტუ-ს პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ“.**

პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ თავდაპირველად ისაუბრა ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა თავისი ნაშრომი „ნიკო ნიკოლაძე-კაცი სახელმწიფო“ და დეტალურად მიმოიხილა ნიკოლაძის დამსახურებანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით 2018 წლის 21 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კონსტანტინე გამსახურდიამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საერთაშორისო ასპექტები 1918 წლის გაზაფხულზე“.**

კონსტანტინე გამსახურდიამ მოხსენებისას ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მნიშვნელოვან ფაქტებზე, უშუალოდ გაიხსენა კონკრეტული ასპექტები და წარმოადგინა საკუთარი შეხედულებები 1918 წლის გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებზე.

**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში 2018 წლის 23 მაისს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში სტუ-ს პროფესორმა ავთანდილ სონღულაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „გერმანელები საქართველოში 1918 წელს“.**

მოხსენებისას ავთანდილ სონღულაშვილმა ისაუბრა საქართველო-გერმანიას შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების ისტორიაზე, ყურადღება გაამახვილა გერმანელების როლზე საქართველოსში 1918 წელს განვითარებულ მოვლენებზე, ასევე, მიმოიხილა დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი.



სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში 2018 წლის 24 მაისს სტუ-ს პროფესორმა



ნინო ნიშნიანიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს პირველი პრეზიდენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვები“ მომხსენებელმა ისაუბრა ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ, შემდგომ უშუალოდ გაიხსენა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე და ასევე, სხვა კონკრეტული ფაქტები. მიმოიხილა კულუარული საკითხები ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობიდან და შეაფასა მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვები.





**2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ასოცირებულმა პროფესორმა, საკონსტიტუციო სამართლის საერთაშორისო ასოციაციის წევრმა გიორგი გორაძემ საჯარო ლექცია ჩაატარა, თემაზე: „„საქართველოს ოკუპაციის სამართლებრივი საფუძვლები და დეოკუპაციის პერსპექტივები“.**

მოხსენებისას ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გორაძემ ისაუბრა სტრასბურგში გამართული პროცესის შესახებ, როგორც იურისტმა შეაფასა იქ მიმდინარე მოვლენები, ხაზი გაუსვა ორივე მხარის წარმომადგენელთა არგუმენტაციას და ყურადღება გაამახვილა მათ შეფასებაზე. ასევე, განმარტა სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების შესაძლებლობები საქართველოს ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით. აღნიშნული ვიზიტის განხილვის შემდგომ მომხსენებელმა აგრეთვე, ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დეოკუპაციის პერსპექტივებზე და მისეულ კონფლიქტის მოგვარების გზებზე.




მოწვეულმა პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: ”საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის”.

პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ ისაუბრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივ ასპექტებზე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს 1921 წლისა და 1995 წლის კონსტიტუციებზე, გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ამ კუთხით და ასევე, შეეხო 1991 წლის არჩევნებს. შევხედრა ინტერაქტიული რეჟიმში.

**2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა რამდენიმე უცხო ენაზე წაიკითხეს.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, დეკანის მოადგილე, პროფესორი ჯემალ გაბელია, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, პროფესორი მაია ყიფიანი და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებთან ერთად. სტუდენტთა ჯგუფმა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა 15 უცხო ენაზე წაიკითხეს, მათ შორის, ქართულად, აფხაზურად, ოსურად, ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად, აზერბაიჯანულად, არაბულად, თურქულად, გერმანულად, ჩინურად, იტალიურად, ბერძნულად, უკრაინულად და ესპანურად. სტუდენტებს ხელმძღვანელობა გაუწია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენმა სოფო დემეტრაშვილმა,

ღონისძიება შეაჯამა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებს მსგავსი ღონისძიების ჩატარებისთვის.











# საჯარო ლექციები



**2017 წლის 19 აპრილს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული ახალგაზრდა იურისტთა კლუბისა და საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“.**

ლექცია წაიკითხა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცის სისხლის სამართლის ანალიტიკოსმა გოგა ხატიაშვილმა.

საჯარო ლექციაზე კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, იმსჯელეს თუ რამდენად ეფექტურია ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირების შედეგად ხდება თუ არა პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და მათთვის სათანადო სასჯელის შეფარდება, რამდენად არის გათვალისწინებული გენდერული ხედვა სამართალწარმოების პროცესში და უზრუნველყოფილია თუ არა ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება.

ლექცია ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა, აუდიტორია აქტიურად ჩაერთო თემების განხილვაში და დამსწრე პირებს საშუალება მიეცათ კითხვები დაესვათ მომხსენებლისათვის.

**2017 წლის 3 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში გაიმართა შეხვედრა მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის აკადემიკოსთან, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ალექსანდრე კვაშილავასთან.**

პროფესორმა ალექსანდრე კვაშილავამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, მან დეტალურად გაანალიზა და ისაუბრა იმ სიახლეებზე, რაც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან. მოიყვანა კონკრეტული მაგალითები ამერიკის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან. ასევე, ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანის ფსიქოფიზიკურ მდგომარეობაზე.

სტუდენტებმა დაუსვეს საინტერესო შეკითხვები, რომელსაც მან გასცა შესაბამისი პასუხები, პროფესორმა კვაშილავამ სწრაფად მოახერხა აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება, ცხადად წარმოაჩინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით არსებული პრობლემები და მისი აღმოფხვრის გზები.





2017 წლის 10 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში, სტუ-ს ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების და ფაკულტეტთაშორისი კვლევითი ცენტრის დირექტორმა, სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ჯიბლაძემ, წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და სისტემური ანალიზის საკითხები“.

შესავალ სიტყვაში სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისათვის

პროფესორმა ზურაბ ჯიბლაძემ ისაუბრა ჟიული შარტავას ღვაწლზე, გაიხსენა ჟიული შარტავას სტუდენტობა, რომელიც სტუ-ს წარჩინებული სტუდენტი გახლდათ. ასევე, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების და ფაკულტეტთაშორისი კვლევითი ცენტრის დაფუძნების ისტორია, გაამახვილა ყურადღება კვლევითი ცენტრის პარტნიორებზე, მათ შორის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიაზე, რომლის პრეზიდენტი არის აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი სტუ-ს რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი. ასევე, სტუმარმა აღნიშნა სტუ-ს სპიკერის ჯემალ გახოკიძის როლი, კვლევით ცენტრის წინსვლის საქმეში.

საჯარო ლექციის თემატიკას წარმოადგენდა სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის მექანიზმები, საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ანალიზი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის თემატური ანალიზი, მეცნიერებისა და ექსპერტების მონაწილეობა საკანონმდებლო საქმიანობაში, პოლიტიკური კავშირები და საზოგადოებრივი ურთიერთობები. სტუმარი მოკლედ შეეხო ყველა იმ საკითხს, რომელიც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

2017 წლის 29 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა საქართველოს დაზვერვის სამსახურის ანალიტიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლაშა დარსალია და წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველო და უსაფრთხოება“, რომელიც გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ.



მოხსენებისას ლაშა დარსალიამ ისაუბრა უსაფრთხოების გარემოზე, შეეხო საქართველოს წინაშე მდგარ საფრთხეებს, ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ სივრცეში წარმოშობილ პრობლემებზე, უსაფრთხოების გამოწვევებზე, დაზვერვის ძირითად საქმიანობებზე, განხორციელებულ რეფორმებზე, სტრუქტურულ ცვლილებებზე და დაზვერვის სამსახურის თანამშრომელთა სოციალურ გარანტიებზე.

**2017 წლის 18 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესორმა ვაჟა აბაკელიამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები მესამე ათასწლეულში“.**

პროფესორ ვაჟა აბაკელიამ სტუდენტებს გააცნო საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მახასიათებლები. ესაუბრა ისტორიისა და მომავალთან დაკავშირებულ ასპექტებზე. მიმოხილა მსოფლიო ასპარეზი და საქართველოს როლი.



სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები და დასასრულს მცირედი დისკუსია გაიმართა.



**2017 წლის 22 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და საჯარო ლექცია წაუკითხა ისტორიის დოქტორმა, მოწვეულმა პროფესორმა, ყოფილი საქართველოს პარლამენტის წევრმა ნესტან კირთაძემ.**

საჯარო ლექცია გახსნა და სტუმარი წარუდგინა სტუდენტებს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორ ირაკლი გაბისონიამ, მან მიულოცა სტუდენტებს ქალბატონი ნესტან კირთაძის საჯარო ლექციაზე დასწრების შესაძლებლობა და აღნიშნა, რომ ფაკულტეტი კვლავ აქტიურად გააგრძელებს სტუდენტების მოთხოვნისამებრ მათთვის სასურველი პროფესორების მოწვევას.

სტუმარმა აუდიტორიის წინაშე წარმოადგინა თემა: საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ურთიერთობები“. ყურადღებაა გაამახვილა ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტებზე, უამბო მათ ის, რასაც სახელმძღვანელოებში ვერ ამოიკითხავენ. საქართველოს ისტორიის ცოცხალი მაგალითების მოსმენამ კი სტუდენტებში უაღრესად დადებითი ემოციები გამოიწვია.

შეხვედრა ემოციურად და საინტერესოდ წარიმართა, სტუდენტები აქტიურად უსვამდნენ შეკითხვებს და შეხვედრის დასასრულს მადლობა გადაუხადეს პროფესორ ნესტან კირთაძეს ასეთი შთამბეჭდავი საჯარო ლექციის ჩატარებისთვის და გამოთქვეს იმედი, რომ მომავალშიც ექნებათ შესაძლებლობა მოუსმინონ მას.







**2017 წლის 14 დეკემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის სტუდენტებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასისტენტ-პროფესორმა, კონსტიტუციონალისტმა კონსტანტინე ჩოკორაიამ წაუკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საკონსტიტუციო ცვლილებები, სიახლეები და პრობლემები“.**





საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარუდგინა სტუდენტებს სტუმარი და საინტერესო ლექციის ჩატარება უსურვა.

ლექცია გაიმართა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: საკონსტიტუციო ცვლილებების ისტორიული ასპექტების, მიმდინარე ცვლილებების ძირითადი საკითხების, საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები და პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესახებ. აქტიური კითხვების შედეგად წამოიჭრა საკითხი საარჩევნო სისტემის და მის ირგვლივ შექმნილ რეალობასთან დაკავშირებით.









**2017 წლის 16 დეკემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად კი დიასპორული ინვესტიციების მხარდაჭერის ასოციაციის პრეზიდენტმა ზაალ სარაჯიშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „ლობიზმი, როგორც ხელისუფლებაზე ზემოქმედების მექანიზმი“.**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორ ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარადგინა სტუმარი და ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტების სურვილის შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია კვლავ ითანამშრომლებს ზაალ სარაჯიშვილთან და მოიწვევს მას საჯარო ლექციის ჩასატარებლად.

მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა ლობიზმის საქმიანობის ისტორიაზე, ლობისტის სამართლებრივ გარანტიებსა და საქმიანობის ფორმებზე, მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, მათ შორის, მოიშველია სტატისტიკა აშშ-ის ლობისტების რაოდენობის და მათზე დახარჯული თანხების შესახებ. განმარტა ლობისტური საქმიანობის რეგლამენტაცია, მეთოდები და ფორმები. ასევე, ჩამოაყალიბა ლობისტური საქმიანობის მთავარი ელემენტები, ღირსებები და ნაკლოვანებები.



შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები, მათ შორის, მიიღეს რჩევები თუ როგორ არის შესაძლებელი ჩამოყალიბდე კარგ ლობისტად.



**2018 წლის 5 თებერვალს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საჯარო სამართლის ლაბორატორიაში აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, საერთაშორისო სამართლის დოქტორმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა დავით გეფერიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე – „თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის აქტუალური პრობლემები“.**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორ ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარუდგინა სტუდენტებს მოწვეული პროფესორი დავით გეფერიძე და ხაზი გაუსვა ფაკულტეტის მიზანს გაუწიოს პოპულარიზაცია საერთაშორისო საჰაერო სამართლის სწავლებას.

პროფესორი დავით გეფერიძე მოხსენებისას შეეხო ისეთ აქტუალურ საკითხებს როგორიცაა: თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნების და არსის განსაზღვრის პრობლემები, საერთაშორისო საჰაერო სამართლის წყაროები, პრინციპები და სამართლებრივი რეჟიმი. ხაზი გაუსვა საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საშუალებებსა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების საქმიანობას.



საჯარო ლექციას ესწრებოდა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ხაზალია, რომელმაც მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ბატონ ირაკლი გაბისონიას და ბატონ ჯემალ გაბელიას სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისთვის.





2018 წლის 2 მაისს სტუ-ს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში რომის ლინკ-ქამფუს უნივერსიტეტის პროფესორმა გაბრიელ ნატალიციამ და რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორმა ნენო გაბელიამ ჩაატარეს საჯარო ლექცია თემაზე: „რუსეთ-ამერიკის პოლიტიკური ბრძოლა საერთაშორისო არენაზე“.

რომის ლინკ-ქამფუს უნივერსიტეტის პროფესორი გაბრიელ ნატალიცია ჩაერთო სკაიპის საშუალებით, რომელმაც სტუდენტებს გააცნო მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური საკითხები, კერძოდ, რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობების შესახებ.

პროფესორ გაბრიელ ნატალიზიას მოხსენების შემდგომ რომის ლა საპიენსას უნივერსიტეტის პოლიტიკური

იერთობები, საქართველოს ინტერესები, ბრიტანეთისა და ევროკავშირის საკითხი, ამერიკისა და რუსეთის ბრძოლას საერთაშორისო არენაზე.







2018 წლის 4 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში ფაკულტეტის მოწვევით გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლელა ბაქრაძე შეხვდა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „გენდერული თანასწორობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში“.



გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ ისაუბრა ადრეულ ასაკში ბავშვობაში ქორწინების საზიანო პრაქტიკაზე საქართველოში, მიმოიხილა ადრეულ ასაკში ქორწინების გავრცელების მასშტაბები და ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ფაქტორები. სტუდენტებს გააცნო რეკომენდაციები და მოისმინა მათი მოსაზრებები.

**2018 წლის 29 მაისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „9 აპრილი და ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის“.**

საჯარო ლექცია გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯემალ გახოკიძის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი და მის დამსახურებებზე ისაუბრა.

მოხსენებისას პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ პოლიტიკურ-სამართლებრივ ჭრილში შეაფასა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, მიმოიხილა შეიარაღებული ძალების ფორმირების ეპოქა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ასპექტები, განმარტებები გააკეთა ვარდების რევოლუციისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. საჯარო ლექცია შეაჯამა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ.








2018 წლის 8 ივნისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით კახა კუკავამ საჯარო სამართლის ლაბორატორიაში ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „სისტემის ცვლილება საქართველოში (სასამართლო და საარჩევნო რეფორმა)“.

მოხსენებისას კახა კუკავამ განიხილა სასამართლო სისტემის ცვლილება საქართველოში, ასევე განმარტა საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი. სტუდენტების დაინტერესება გამოიწვია მოხსნების შედარებითმა ანალიზმა და კონკრეტულმა მაგალითებმა, რომელიც შეეხებოდა საზღვარგარეთის ქვეყნის კანონმდებლობას. აღნიშნულთან მიმართებაში ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია.



სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა, პროფესორმა ნინო ნიშნიანიძემ მოწვეულ სტუმარს დაათვალიერებინა ფაკულტეტზე არსებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორია.

2018 წლის 9 ივნისს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ დავით ნარიმანიშვილმა საჯარო სამართლის ლაბორატორიაში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „სასამართლო რეფორმა და სამართალწარმოება“.



საჯარო ლექცია გახსნა სტუს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა და იურისტმა დარეჯან მეფარიშვილმა, რომელამც წარადგინა სტუმარი

საჯარო ლექციაზე მოსამართლემ ისაუბრა ისეთ საკითხებზე როგორიცაა: სასამართლო რეფორმა, ყურადღება გაამახვილა სამართალწარმოების ასპექტებზე და ხაზი გაუსვა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის თვისობრივ მახასიათებლებს.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა და სტუდენტებმა აქტიურად დასვეს შეკითხვები სასამართლო სისტემასთან მიმართებაში.

2018 წლის 22 ივნისს ფაკულტეტის მოწვევით ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ვალერი ვაშაკიძემ საჯარო სამართლის ლაბორატორიაში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „სახელმწიფო ტერიტორიები შუა საუკუნეების ქართულ ცნობიერებაში“.

ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარადგინა სტუმარი და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის.

პროფესორმა ვალერი ვაშაკიძემ ისაუბრა ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ ზოგიერთ ტერმინოლოგიურ რეალობაზე, განმარტა ძველ ბერძნული სახელმწიფოების შეხედულებანი შიდა და საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში და ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ტერიტორიების შესახებ შუა საუკუნეებში.



საჯარო ლექცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, რომელიც შეაჯამა დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ჯემალ გაბელიამ.

# სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის აქტივობები

**2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სტუ-ს კურსდამთავრებულთა კლუბის ეგიდით საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ჯარჯი წიკლაურმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ნარკოდანაშაულები და თანამედროვე გამოწვევები“;**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარადგინა სტუმარი და მადლობა გადაუხადა სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბს წლის პროკურორის მოწვევისათვის. მოხსენებისას პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა ისაუბრა უშუალოდ ნარკოტიკის საქმეებზე, მათი გავრცელების რისკებზე, სტუდენტებისათვის საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა და წარმოდგენილი მასალის საფუძვლეზე მისი რეკომენდაციების მოსმენა. სტუმარს მიესალმა და კომენტარი გააკეთა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ჯემალ ჯანაშიამ, რომელსაც ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით არაერთი საფუძვლიანი კვლევა აქვს ჩატარებული და სახელმძღვანელოები გამოცემული.








შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, დასასრულს, შეხვედრა უაღრესად საინტერესოდ შეაფასა ფაკულტეტის დეკანმა და წარმატებები უსურვა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს ჯარჯი წიკლაურს.

**2018 წლის 9 ივნისს საჯარო სამართლის ლაბორატორიაში სტუ-ს კურსდამთავრებულთა კლუბის ორგანიზებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ქეთევან ცინცაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „მოსამართლის დამოუკოდებლობისა და ანგარიშვალდებულების გარანტიები“.**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც წარადგინა ქეთევან ცინცაძე და წარმატებები უსურვა მას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ქეთევან ცინცაძემ თავდაპირველად ისაუბრა დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, წარმოადგინა ანგარიში და მიმოიხილა უკვე დამკვიდრებული ზოგადი ტენდენციები მოსამართლეთა ინსპექტირებასთან დაკავშირებით.









მოხსენებისას მან განმარტა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები, მოიშველია მსოფლიოში დამკვიდრებული სტანდარტები აღნიშნულთან დაკავშირებით და კონკრეტული მაგალითების საშუალებით წარმოაჩინა ბანგალორის პრინციპები.

საჯარო ლექციას ესწრებოდნენ სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის წევრები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

**2018 წლის 16 ივნისს სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის ორგანიზებით საჯარო ლექციების ციკლის „ინსტიტუციური გაძლიერების პროცესი საქართველოში“ ფარგლებში გრაცის უნივერსიტეტის მაგისტრმა,ბასკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორმა- საერთაშორისო ურთიერთობებში, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გვანცა დავითაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „ევროპეიზაცია ევროკავშირის საზღვრებს მიღმა: საქართველოს ევროპული გზა და არჩევანი“.**

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიორგი მთიულიშვილმა, რომელმაც წარადგინა მოწვეული სტუმარი და წარმატებები უსურვა.









მოხსენებისას გვანცა დავითაშვილმა განმარტა ევროპეიზაციის არსი, მნიშვნელობა და მახასიათებლები. მიმოიხილა ზოგადად ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველოსთან მიმართებაში წამოაყენა საკუთარი შეხედულებები ევროპულ გზასთან დაკავშირებით.

საჯარო ლექცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა,სტუდენტებმა აქტიურად გამართეს დებატები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

**2018 წლის 23 ივნისს სტუ-ს სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა ორგანიზე-ბით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში საჯარო ლექციათა ციკლის „ინსტიტუციური გაძლიერების პროცესი საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწ-ილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორმა დავით ნეფარიძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“.**

პროკურორმა დავით ნეფარიძემ ისაუბრა ნაფიც მსაჯულთა სისტემის საქართველოში დანერგვაზე, ყურადღება გაამახვილა პროცესუალურ მხარეზე, განუმარტა სტუდენტებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი.









საჯარო ლექცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, რომელიც შეაჯამა დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ჯემალ გაბელიამ.

# სტუდენტური აქტივობები

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა გურამ მაღულარიამ, სანათა ჩანგელიამ და თინათინ დადუნაშვილმა გაიმარჯვეს შეჯიბრში „იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა“, რომელიც ორგანიზებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის მიერ.**

შეჯიბრში მონაწილეობდა საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სამი სტუდენტისგან დაკომპლექტებული ჯგუფები. თითოეულმა ჯგუფმა გაიარა გასაუბრება და საბოლოოდ მონაწილეობისათვის შეირჩა ოცი ჯგუფი. შეჯიბრის დაწყებამდე მათ ჩაუტარდათ ტრენინგი იურიდიული დოკუმენტების შედგენაში.



შეჯიბრი შედგებოდა სამი ეტაპისაგან. ნახევარ ფინალში გავიდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

შეჯიბრში გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდმა, მათ გადაეცათ სერტიფიკატები და წიგნის სახლის ლიგამუსის ვაუჩერები.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია ულოცავს ამ გამარჯვებას სამართლის დეპარტამენტის სტუდენტებს: გურამ მაღულარიას, თინათინ დადუნაშვილს და სანათა ჩანგელიას. იგი მიესალმება ჩვენი სტუდენტების მსგავს აქტიურობას და მოუწოდებს ყველას ჩაერთონ საქართველოს ტექნიკური და სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ პროექტებში, შეჯიბრებებში და მსგავს ღონისძიებებში, რათა გამოავლინონ საკუთარი ცოდნა და მოიპოვონ გამარჯვება.

**2017 წლის 18 ივნისს ქართულ-რუსულ საინფორმაციო ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები, კრიზისი სირიაში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერათაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის,საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი პროგრამის ასოცირებული პროფესორი ნონა ლომიძე, ასისტენტ პროფესორი ემილია ალავერდოვა, და ამავე პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტები: რიჩარდ გოიჩევსი, არტურ ლუკავა, დავიდ ბაბაევი, ნინა ფოფხაძე და მანანა ფიფია.**

შეხვედრაზე განიხილეს რელიგიური კონფლიქტები თანამედროვე სამყაროში, ინტერესთა კონფლიქტი სირიაში და სხვა. დასასრულს ორგანიზატორებმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.



**2017 წლის 17 ნოემბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური ვორქშოფი თემაზე: ,,მსოფლიო და გენდერი‘‘. ვორქშოფს ორგანიზება გაუწია სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის დამფუძნებელმა პროფესორ მაია ყიფიანმა.**

სტუდენტური ვორქშოფის მონაწილეებს მიესალმა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფესორი ჯემალ გაბელია, პროფესორი მაია ყიფიანი, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი პროფესორი ნინო ნიშნიანიძე და პროფესორი ციალა გლოველი.

სტუდენტებმა წამოაყენეს ისეთი საკითხები როგორიცაა: ,,ძალადობა გენდერის ნიშნით‘‘, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და საზოგადოება‘‘, ,,ქალთა უფლებების განვითარების ისტორიული ასპექტები‘‘, ,,ქალი და პოლიტიკა‘‘, ,,გენდერული თანასწორობა‘‘, ,,ფემინიზმის განვითარება საქართველოში‘‘ და სხვა.

ვორქშოფის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატი, დასასრულს პროფესორმა მაია ყიფიანმა შეაჯამა მოხსენებები, მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს.



**არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი‘‘ (IRC), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) რეგიონალური წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით 2017 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.**



ზეპირ რაუნდში ერთმანეთს დაუპირისპირდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით გამოვიდნენ ჩვენი სტუდენტები ლია ნახუცრიშვილი, სალომე ნემსიწვერიძე, რეზო აბზიანიძე, სოფიკო დარჩია და მალხაზ რაშოიანი.

**დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებს უმასპინძლა.**

მერიის წარმომადგენელმა საკრებულოში და სტუ-ს ამავე ფაკულტეტის ლექტორმა გოგა მამფორიამ სტუდენტებს წარმომადგენლობითი ორგანოს ისტორიული შენობა და მისი ძველი ფოტოები დაათვალიერებინა, ასევე დაარსებიდან დღემდე ამ ნაგებობის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მიაწოდა ინფორმაცია.

საკრებულოს წევრებმა კი სტუდენტებს წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქცია-მოვალეობები განუმარტეს და თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიკა დეტალურად გააცნეს.

მოგვიანებით, სტუმრებმა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ისტორიულ დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც მათ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი მიესალმა, წარმატებები უსურვა და დღევანდელი სხდომის, როგორც მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბოლო, რიგით 106-ე სხდომის მნიშვნელობასა და ისტორიულობაზე ისაუბრა.

სამართლის კლინიკის ორგანიზებით სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეწვივნენ, სადაც მართლმსაჯულე-



ბის სასახლე დაათვალიერეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლისგან მოისმინეს ისტორიული ფაქტების შესახებ. სტუდენტებმა მუზეუმში ის ნივთები და ატრიბუტები ნახეს, რომელიც საქართველოში სამართლის განვითარებასთან ისტორიულადაა დაკავშირებული.

„მართლმსაჯულების მუზეუმი" ორი დარბაზისგან შედგება: საექსპონატო დარბაზში გამოფენილია ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ასევე განთავსებულია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სამართლის განვითარებაში

სტუდენტების აღფრთოვანება გამოიწვია მუზეუმის მეორე ნაწილში პირვანდელი სახით შენარჩუნებულმა ისტორიულმა „1 დარბაზ"-მა, სადაც იმართებოდა გახმაურებული პროცესები, მათ შორის ე.წ. „თვითმფრინავის გამტაცებელთა", მხედრიონელთა და სხვათა საქმეები.



**სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული-პროფესორის ნინო გოგნიაშვილის ორგანიზებით მესამე კურსის სტუდენტები სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შემეცნებითი ვიზიტით იმყოფებოდნენ.**

შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა სტუდენტებს საკუთარი პროფესიული გამოცდილება გაუზიარეს და ყურადღება გაამახვილეს მათთვის საინტერესო საკითხებზე, კერძოდ, შსს-ს აკადემიაში არსებული სწავლების მეთოდოლოგიასა და პოლიციის უწყებებში კადრების მიღების პროცედურებზე.

აკადემიაში ვიზიტისას სტუდენტები პოლიციელთა მომზადების მეთოდიკასა და ძირითად პრინციპებს გაეცნენ და მოისმინეს მათთვის საინტერესო საკითხები.

სტუდენტებმა დაათვალიერეს აკადემიის ინფრასტრუქტურა, სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებული ტირები.









**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში „ნაფიც მსაჯულები სასამართლო პროცესისთვის“, სადაც არჩეული იქნა ჩვენი სამი სტუდენტი ანა ტაკაშვილი, მანანა სალთხუციშვილი და თათია ხაჭვანი.**

პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. თავდაპირველად, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ხოლო შემდგომ დაესწრნენ სასამართლო პროცესებს უზენაეს სასამართლოში. სტუდენტმა მოირგეს ნაფიც მსაჯულთა როლი. პროექტის დასრულებისას მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

**2018 წლის 9 თებერვალს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის ლაბორატორიაში გაიმართა სტუდენტური ვორქშოფი თემაზე: „დისკრიმინაცია“.**

სტუდენტურ ვორქშოფში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულები იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის მთავარი მრჩეველი დევნილთა უფლებებში მერი კოჭლამაზაშვილი და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ქეთევან შუბაშვილი, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და ვორქშოფის ორგანიზატორებს მოწვევისათვის.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს პროფესორებმა მაია ყიფიანმა და ციალა გლოველმა ასევე, სტუდენტებმა: ანა ტაკაშვილმა, თორნიკე კაპანაძემ და თომა ხაბეიშვილმა.

ვორქშოფში მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე სამართლის სპეციალობის 23 სტუდენტი, რომლებმაც პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს შემდეგი თემები: „ადრეული და იძულებითი ქორწინება“, „ბულინგი“, „გენდერული დისკრიმინაცია“, „სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაცია“, „პატიმრების დისკრიმინაცია“, „გენდერული დისკრიმინაცია შრომით უფლებებში“, „სსმ პირების დისკრიმინაცია“, „რელიგიური დისკრიმინაცია“, „რელიგიური უმცირესობები“, „ეიჯიზმი“, „დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით“, „ბავშვთა დისკრიმინაცია“, „მტკიცების ტვირთის სტანდარტი დისკრიმინაციის საქმეებზე“ და „რასობრივი დისკრიმინაცია“.

სტუდენტური ვორქშოფის დასასრულს წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმი, სტუდენტებმა ამომწურავად უპასუხეს შეკითხვებს, დაისახეს სამომავლო გეგმები და წარმოადგინეს საკუთარი რეკომენდაციები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მენეჯერმა ანა ფუტკარაძემ და ღონისძიების ორგანიზატორებმა მონაწილეებს გადასცეს სერტიფიკატები, მადლობა გადაუხადეს მსგავსი ჩართულობისთვის და წარმატებები უსურვეს თითოეულ მათგანს.











**2018 წლის 8-9-10 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთასორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დაფინანსებით 50-მდე სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის აკადემიური ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში „ევროპარლამენტის საერთაშორისო მოდელირება 2018“.**

დელეგატები წარმოდგენილი იყვნენ არა მარტო საქართველოს არამედ ევროპის წამყვანი ქვეყნებიდანაც. მონაწილეები გადანაწილებულები იყვნენ 7 სხვადასხვა კომიტეტში, რომლის რიცხვი 25-40 დელეგატამდე მერყეობდა. საბოლოოდ კი თითოეული გუნდის მიერ წარმოდგენილ იქნა რეზოლუცია, რომლის მიღებაშიც თავად დელეგატები იღებდნენ მონაწილეობას. საუკეთესო შედეგის მქონე „იურიდიული კომიტეტი“ გახდა და პროექტში გამარჯვებაც მოიპოვა, მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტის 6 სტუდენტი: ანა ტაკაშვილი, მერაბი ტაკაშვილი, ელენე ნადირაშვილი, თამარ ციგროშვილი, დემეტრე ნაკაშიძე და მარიამ ბაზერაშვილი წარმოადგენდნენ ამ კომიტეტს სხვა დელეგატებთან ერთად. ასევე თითოეული გუნდიდან გამოვლინდა საუკეთესო 1 დელეგატი. ამ შვიდეულში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმა სტუდენტმა თემო სულაძემ, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარმოადგენდა, ნათია ჩილაჩავამ, რომელიც საგარეო საქმეთა კომიტეტის მომხსენებელი იყო და

ანა ტაკაშვილმა,რომელიც იურიდიული კომიტეტის წევრი გახლდათ დაიკავეს საპრიზო ადგილები. სწორედ ამ შერჩეული შვიდი დელეგატიდან გამოვლინდა სამი გამარჯვებული და აქაც საპრიზო ადგილი ანა ტაკაშვილმა დაიკავა. რაც შეეხება პრიზებს, გამარჯვებული კომიტეტის ყველა წევრი გაემგზავრება ბერლინში თანადაფინანსებით, ევროპარლამენტის მოდელირებაზე. გამარჯვებულმა დელეგატმა ანა ტაკაშვილმა კი მოიგო უცხოეთის უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი, ასვევ 5000 ლარიანი დაფინანსება პარტნიორი უნივერსიტეტისგან და სხვა ფასიანი პრიზები.



სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ულოცავს ამ წარმატებას ფაკულტეტის სტუდენტებს.

USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში AST WEST MANAGEMENT INSTITUTE **ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრის და თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა ყოველწლიური ეროვნული ჩემპიონატი „სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატირების უნარ-ჩვევების სტუდენტურ ტრენინგსა და შეჯიბრში“. მონაწილეობისთვის შეირჩა რვა საუკეთესო უნივერსიტეტის გუნდი. თითოეულ უნივერსიტეტს ერთი გუნდის წარდგენის უფლება ჰქონდათ.**



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობას იღებდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები: სოფიკო დარჩია, ნანა ტყაბლაძე, გიორგი გელაშვილი, ბექა ჯანელიძე და გუგა მაღულარია, რომლებსაც ტრენერობა გაუწია ფაკულტეტის მოწვეულმა უფროსმა მასწავლებელმა, ადვოკატმა თორნიკე გვენეტაძემ.

2018 წლის 23 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა პროცესი, სადაც კენჭისყრის საფუძველზე გადანაწილდა როგორც პოზიციები ასევე ის თუ რომელი უნივერსიტეტის გუნდები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ნახევარ ფინალში გადავიდა ოთხი საუკეთესო გუნდი ქულების რაოდენობით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი შეხვდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივრსიტეტის გუნდებს სადაც ჯერ იყო ბრალდების, ხოლო მერე დაცვის მხარე. ნახევარფინალი გაიმართა 24 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მათთან გამარჯვების შემდგომ კი ფინალში შეხვდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს. ფინალში **გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის გუნდმა.** აღსანიშნავია რომ შეჯიბრში ჟიური დაკომპლექტებული იყო უცხოელი და ქართველო ექსპერტებით, მათ შორის, მაიკ გრანტი, მოსამართლე ეკა არეშიძე, პროკურორი ნინო აღლემაშვილი და სხვა.



# გამოფენა „ილია-ევროპელი“



**2018 წლის 27 მარტს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამის „ილია-ევროპელის“ ფარგლებში გაიმართა ილია ჭავჭავაძის პირადი არქივის გამოფენა.**

**გამოფენა გახსნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაალ აბაშიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის დეკანს გამოფენის მასპინძლობისთვის და გამოფენაზე დამსწრე საზოგადოებას ორიოდე სიტყვით გააცნო აღნიშნული საგანმანათლებლო-საგამოფენო პროგრამის მნიშვნელობა.**

სტუმრებს მიესალმნენ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანები: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ მადლობა გადაუხადა კორნელი კეკლიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ცენტრს ასეთი გამორჩეული ექსპონანტების გამოფენისათვის. დეკანმა, ასევე, აღნიშნა ილია ჭავჭავაძის როლი იურისტებისათვის და იმ ღირებულებებს გაუსვა ხაზი, რომელსაც დიდი ქართველი ატარებდა.

გამოფენის გახსნითი ღონისძიების შემდგომ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჯარო ლექცია სახელწოდებით „ილია ევროპელი“, ჩაატარა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა ისტორიკოსმა ნესტან ბაგაურმა.

ისტორიკოსმა საჯარო ლექციაზე ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ევროპაში, მიმოიხილა მისი სანაცნობო წრე, დამოკიდებულებები ევროპელ ინტელიგენციასთან და მათი შეფასებები ილია ჭავჭავაძის შესახებ. მომხსენებელმა მოიშველია კონკრეტული წერილები და ფაქტები ილია ჭავჭავაძის ევროპელობის დასტურად. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.



# ფაკულტეტის საბჭოს სხდომები

**2017 წლის 13 ოქტომბერს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია უძღვებოდა.**

დეკანმა ფაკულტეტის საბჭოს გააცნო მიმდინარე საკადრო ცვლილებები და მათ კიდევ ერთხელ წარუდგინა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ასევე, დეკანის წარდგენით ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტების დირექტორების დამტკიცების თაობაზე;

მეორე საკითხად საბჭომ განიხილა დეკანის შუამდგომლობა საინჟინრო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების შექმნასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. დეკანმა დაწვრილებით ისაუბრა აღნიშნული პროექტის მიზნებზე, შესაძლებლობებსა და აუცილებლობაზე. საბჭოს შეფასებით ეს იქნება ყველაზე ღირებული, წარმატებული და საქართველოში პირველი სასწავლო პროგრამა, რომელსაც ფაკულტეტი განახორციელებს.

დეკანმა ასევე წარმოადგინა ინფორმაცია, რომ პროფესორ ალექსანდრე ტალიაშვილთან ერთად განხორციელდება პროექტი „სამართლიანობის ფილოსოფია“, რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნდება არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. ასევე განხილულ იქნა ფაკულტეტის სოციალური პროექტი, რომელიც უკვე მეორედ ხორციელდება. დაფინანსდებიან ის სტუდენტები, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები, აქვთ მძიმე ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა.

2018 წლის 12 იანვარს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. საბჭოზე განიხილეს



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის მინიჭების საკითხი. ღია კონკურსის წესით შერჩეულ იქნა ოთხი სტუდენტი: გიგა ძირკველიშვილი, ბაჩანა კვირკველია, ირინა მიქავა, ანრი ჩოგოვაძე.

საბჭომ ასევე იმსჯელა დეკანის ინიციატივაზე ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, განხორციელებული კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის, სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის დაწესდეს გამოჩენილი ქართველი დიპლომატის ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობისა და ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერის გურამ ნაჭყებიას სახელობის ჯილდო. ფაკულტეტის საბჭომ მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და ერთხმად დაუჭირეს მხარი დეკანის შუამდგომლობას გურამ ნაჭყებიას სახელობის ჯილდო მიენიჭოს პროფესორ ჯემალ გაბელიას, ახალგაზრდა მეცნიერებში მალხაზ ჩიტაიას, ასევე ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელობის ჯილდო გადაეცემა პროფესორ იგორ კვესელავას, ახალგაზრდა მეცნიერებში გიორგი კალანდაძეს.







2018 წლის 9 მარტს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, დეკანმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე და კიდევ ერთხელ წარმოუდგინა საბჭოს პროექტის შედეგად შექმნილი სახელმძღვანელოები. ყველა პროექტის რეზულტატი მატერიალური სახით წარუდგინა წევრებს და საჯაროდ დასვა საკითხი იმის შესახებ, სჭირდება თუ არა ჩვენს ფაკულტეტს და უნივერსიტეტს ეს პროექტები.

საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ და ცალსახად დააფიქსირეს აბსოლუტურად ყველა მიმდინარე პროექტის მიზანშეწონილობა, დაუჭირეს მხარი ამ პროექტების გაგრძელებას, მადლობა გადაუხადეს დეკანს, რომ ასე აქტიურად უჭერს მხარს მათ ინიციატივებს და გამოთქვეს იმედი სამომავლო მეცნიერული კვლევების კიდევ უფრო მეტად განხორციელებისა.

ფაკულტეტის მენეჯერმა ანა ფუტკარაძემ საბჭოს წინაშე წარმოადგინა საკითხი, რომის ლა საპიენსას და რომის ლინქ ქამფუს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტის შესახებ. აღნიშნული ვიზიტისას ხელი მოეწერება მემორანდუმს, ჩატარდება ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და მოწვეული სტუმრები ჩაატარებენ საჯარო ლექციებს და საზაფხულო სკოლას სტუდენტებისათვის.

2018 წლის 24 მაისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას უძღვებოდა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, რომელმაც მიმდინარე საკითხებთან ერთად საბჭოს წინაშე გამოიტანა საკითხი „კულტურის სამართლის" პროექტის დამტკიცების შესახებ. პროექტის „კულტურის სამართლის" განხილვისას არაერთი მოსაზრება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროექტი ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კულტურის სამართლის შექმნას და ეს დღე ისტორიული, მნიშვნელოვან დღედ გამოაცხადეს.

# საგამოცდო პროცესი














HOPE


#EAT

# სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები



საქველმოქმედო აქცია „ქველმოქმედება გადამდებია“, რომლის ფარგლებში შეგროვდა საკვები პროდუქტები, სათამაშოები, წიგნები, ტკბილეული, ტანსაცმელი და სხვა ნივთები, რომლებიც გადაეცათ ძეგვის თავშესაფარში მცხოვრებთ



აკა მორჩილაძის საჯარო ლექცია, თემაზე: „მოჩხუბარიძის ცხოვრების სურათები“



სტუდენტური წვეულებები 16, 17 და 20 ნოემბერს კლუბ „ანდერვილში,“ სადაც სტუ-ს 5000-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა



ტურნირი ბილიარდში



გიორგი დონაძის საჯარო ლექცია თემაზე:
„რა გვიშლის ხელს განვითარებაში“



ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის საჯარო ლექცია თემაზე:
„რას გვიკვეთავს მაყურებელი“



კონცერტი პირველკურსელთათვის



ჩემპიონატი დებატებში

ჩემპიონატი ჭადრაკში,





შეჯიბრი
კომპიუტერულ თამაშებში

სტრატეგიული თამაში
,,იმპერია“





ჩემპიონატი სპორტულ ვიქტორინაში



ჩემპიონატი „კარტინგებში“



ჩემპიონატი „მიზანში სროლა“



ჩემპიონატი „ბოულინგში“



კამპანია „აღადგინე ბორჯომის ტყე“



შეჯიბრი „რა? სად? როდის?“



სპექტაკლი „ბამბაზიის სამოთხე“




აქცია „დაუთმე და მადლობა“



აქცია
„სუფთად ევროპისკენ“



ჩემპიონატი
„7-კაცა რაგბიში“




ჩემპიონატი
„კალათბურთი გოგოებში“



ჩემპიონატი
„ფეხბურთი ბიჭებში“

# ფაკულტეტის დებულება

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) დებულება (შემდგომში „დებულება“) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე განსაზღვრავს ფაკულტეტის მიზანს, ამოცანებს, ფაკულტეტის სასწავლო (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ფაკულტეტის კომპეტენციის სფეროებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოების ჩამოყალიბების, მმართველი სუბიექტების არჩევის, ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნის წესს და მათ უფლებამოსილებებს, ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი**

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში

შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

2. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს

კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და დებულებით.

3. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.

4. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; ინგლისურად – Law and International Relations Faculty.

5. ფაკულტეტის მისამართია: მერაბ კოსტავას ქუჩა – 77, მე-6 კორპუსი, 0160, თბილისი, საქართველო.

6. ფაკულტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია http://law.gtu.ge

**თავი II.ფაკულტეტის მიზანი, ამოცანები და საქმიანობის ძირითადიმიმართულებები**

**მუხლი 3. ფაკულტეტის მიზანი და ამოცანები**

1. ფაკულტეტის მიზანია შექმნას სათანადო პირობები სწავლისა და კვლევისათვის, პროფესიული და ზნეობრივი განვითარებისათვის, განათლების ხარისხის ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობისათვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და რესურსების მუდმივი გაძლიერებისათვის.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის, კონკურენტუნარიანი,მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი ადაპტირებადი და სათანადო უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება;

ბ) მოქალაქეობრივი ცნობიერების, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი, თავისუფალი აზროვნების პიროვნების ჩამოყალიბება;

გ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება; დ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

3. ფაკულტეტი პასუხისმგებელია სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე, რისთვისაც ბიუჯეტში მუდმივად გათვალისწინებულია სათანადო ფინანსური რესურსები.

4. ფაკულტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და

პერსონალის მოზიდვას/მობილობას. აგრეთვე, ზრუნავს უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სტუდენტების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

5. ფაკულტეტი ახალი პროგრამის შემუშავებას ან/და განვითარებას ახორციელებს დამსაქმებელთა და პროფესიულ ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით.

**მუხლი 4. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელება;

ბ)სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

გ) სტუდენტთა მრავალმხრივი განვითარების მიზნით, კულტურული, სპორტული და

შემოქმედებითი საქმიანობა;

დ) საკონსულტაციო საქმიანობა.

ე) უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვის, ასევე, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების

მიზნით სასემინარო-სატრენინგო საქმიანობა.

**თავი III. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა**

**მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურა**

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის:

ა) ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები);

ბ) სასწავლო ერთეულები;

გ) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა);

დ) დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. ფაკულტეტზე არის ფაკულტეტის სათათბირო და მენეჯერის თანამდებობა.

3. ფაკულტეტზე იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. ფაკულტეტზე იქმნება კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი) და კოლეგიები.

5. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

6. ფაკულტეტზე არსებობს ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალი.

7. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, აგრეთვე ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

**მუხლი 6. ფაკულტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)**

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო,

ეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით.

3. ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა დაფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებით

**მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭო**

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3.

3. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

6 ა) ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს

უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს

ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიეროკვლევითი

საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

თ) ქმნის ფაკულტეტის ეთიკის კომისიას და ამტკიცებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

ი) ახორციელებს ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინურ საქმისწარმოებას;

კ) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, მათ შორის სასწავლოსამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიას;

ლ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს, ხოლო სხდომას თავმჯდომარეობს საბჭოს დამსწრე უხუცესი წევრი;

მ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ნ) აკადემიური პერსონალიდან ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.

ო) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი ფუნქციების ფაკულტეტის სათათბიროზე დელეგირების შესახებ, გარდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით პირდაპირ განსაზღვრული უფლებამოსილებებისა;

პ) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტს.

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი**

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და, მესამე პირებთან ურთიერთობებში, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი;

2. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო;

3. დეკანი აირჩევა ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

4. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების

ჩატარების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით;

5. დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

6. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად

მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ)მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს და მემორანდუმებს ფაკულტეტის სახელით;

ი) ქმნის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასებისა და დამტკიცების კომისიას, ასევე,

კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში - დროებით კომისიებს.

კ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას. 7. დეკანს ჰყავს ერთი მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო სფეროში. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

8. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი ბრძანებით.

9. დეკანის მოადგილის ძირითადი კომპეტენციაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიეროკვლევითი ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი, დეკანის დავალებათა შესრულება, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობისას, დეკანის მოვალეობის ავტომატურად შესრულება.

10. დეკანი და დეკანის მოადგილე წარმოადგენენ ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალს.

**მუხლი 9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ასევე, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების, განათლებისხარისხის მუდმივი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ; 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით;

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელი უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

ბ) სისტემატურად აფასებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის

მიმდინარეობას, აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხს;

გ) ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალეკრიტერიუმებისა და მათი რეალიზების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით;

დ) შეიმუშავებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს ;

ე) ახდენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

ვ)უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის;

ზ) რეგულარულად (სემესტრში ერთხელ) აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს და სათათბიროს;

თ) განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებს და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

ი) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით
მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ა) არის ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პერსონალი;

ბ) არის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარე,
ახორციელებს ამ კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს

გ) წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის დებულებების შესაბამისად;

დ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს შორის;

ე) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას; მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ასევე, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში

**მუხლი 10. ფაკულტეტის სათათბირო**

1. ფაკულტეტის სათათბიროში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, მენეჯერი, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში ფაკულტეტის კვოტით არჩეული წარმომადგენლები;

2. ფაკულტეტის სათათბირო:

ა) დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დელეგირებულ ფუნქციებს: სოციალური დახმარებები, სამეცნიერო მივლინებები, ჯილდოები, პრემიები და სხვა.

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე ამზადებს საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად

**მუხლი 11. ფაკულტეტის მენეჯერი**

1. მენეჯერი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობას, რომლის უფლებამოსილებებიც განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითა და დებულებით;

2. ფაკულტეტის მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

3. მენეჯერი:

ა) ახდენს შრომის ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ-ანალიტიკურ კვლევას, რის საფუძველზეც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხას საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ)ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობას;

გ)ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, ადგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიურ გეგმას და პასუხისმგებელია მისი შესრულების მიზნობრიობასა და ეფექტურობაზე;

დ) დეკანთან და სათათბიროსთან ერთად ადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და განსაზღვრისათვის წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ე) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა პრაქტიკის, სტაჟირებისა და მათი შემდგომიდასაქმების პროცესს;

ვ) ახორციელებს დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. მენეჯერი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

**მუხლი 12. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო**

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება აკადემიური საბჭოს მიერ.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული
პროფესორისაგან;

4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული რიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში მოწვეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის თანამშრომელი და ფაკულტეტის რომელიმე სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში უკანასკნელ 5 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა.

**მუხლი 13. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულები**

1. სასწავლო პროცესის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე
იქმნება სასწავლო ერთეულები.

2. სასწავლო ერთეული წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

3. სასწავლო ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

4. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:

ა) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი;

ბ) კერძო სამართლის აკადემიური დეპარტამენტი;

გ) სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტი;

დ) საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტი.

5. სასწავლო ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით,

ფაკულტეტის დებულებით, საკუთარი დებულებით.

6. სასწავლო ერთეული (აკადემიური დეპარტამენტი):

ა) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში სასწავლომეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ საგნებში სილაბუსისა

და განრიგის შესაბამისად მეცადინეობების ჩატარებას;

გ) ქმნის ან/და მონაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში და არსებული პროგრამების მოდიფიცირებაში;

დ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მეთოდურ უზრუნველყოფას (სახელმძღვანელოების

და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალის მომზადება), ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას;

ე) ახდენს აკადემიური დატვირთვის განაწილებას და ადმინისტრირებას;

ვ) დეკანის წინაშე ინიცირებას უკეთებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების

(მოწვეული პროფესორი ან/და მოწვეული მასწავლებელი) მოწვევას სასწავლო პროცესში

ჩართვის მიზნით, ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობის შემთხვევაში;

ზ) უზრუნველყოფს სწავლების არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების გზით

სწავლის ხარისხის ამაღლებას, სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების

დანერგვას, სასწავლო პროცესის სრულყოფას;

თ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ი) ახორციელებს მაგისტრანტების და დოქტორანტების თემებით და ხელმძღვანელებით

უზრუნველყოფას;

კ) ხელს უწყობს სასწავლო-პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას;

ლ) სასწავლო ერთეულის პროფილის შესაბამისად ამყარებს შემოქმედებით კავშირებს და

თანამშრომლობს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო სტრუქტურულ ერთეულებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან;

მ) ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ლაბორატორიის ბაზაზე ახორციელებს და კოორდინაციას უწევს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს სამეცნიერომეთოდურ სემინარებს, იძლევა საექსპერტო დასკვნებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და პროექტებზე;

ნ) ახორციელებს სამაგისტრო საკვალიფიკაციო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომებისრეცენზირებას;

ო) საკუთარი პროფილის შესაბამისად თანამშრომლობს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან

და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომით დასაქმებას;

პ) ახორციელებს სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციას და დეკანატში გადაცემას.

7. სასწავლო ერთეულს ხელმძღვანელობს უფროსი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება აკადემიური დეპატამენტის დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

8. სასწავლო ერთეულის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს, სათათბიროს და დეკანის წინაშე.

**მუხლი 14. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები**

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით ფაკულტეტზე იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.

2. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი

საბჭო (სენატი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

4. სამეცნიერო კვლევითი ერთეულებია:

ა) სამართლის კლინიკა;

ბ) კრიმინალისტიკის ლაბორატორია;

გ) სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის საჯარო სამართლის ლაბორატორია;

დ)პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტი;

ე)კომერციული და კერძო სამართლის ინსტიტუტი;

ვ)საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი;

ზ)კულტუროლოგიის ინსტიტუტი;

თ)ჩინეთის კვლევების ინსტიტუტი;

ი) არჩევნების კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი;

კ)სამშვიდობო განათლების ცენტრი; ლ) ნარკოვითარების მონიტორინგის და დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრი;

მ)ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტი.

5. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, საკუთარი დებულებით.

6. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

**მუხლი 15. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები**

1.ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მმართველი ორგანოების,

ფაკულტეტის საბჭოს, სათათბიროსა და დეკანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეიმუშავებენ შესაბამისი სფეროს განვითარების წინადადებებს და განსახილველად წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს.

4. დეკანატი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფილ და ოპერატიულად წარმართვას.

5. დეკანატში შედის განყოფილებები, კერძოდ: ბაკალავრიატის განყოფილება,მაგისტრატურის განყოფილება, დოქტორნატურის განყოფილება, კურსდამთავრებულთა განყოფილება, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ქსელების მართვის განყოფილება.

6. დეკანატი შედგება შემდეგი დამხმარე პერსონალისაგან:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი;

ბ) განყოფილების უფროსი;

გ) მთავარი სპეციალისტი;

დ) უფროსი სპეციალისტი;

ე) სპეციალისტი

ვ) არქივარიუსი.

7. დეკანი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დეკანატის საშტატო განრიგს წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

8. დამხმარე პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

9. დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე; საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი ანგარიშვალდებულია დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე.

**მუხლი 16. სტუდენტური თვითმმართველობა**

1. ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით,საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირიარჩევნების საფუძველზე იქმნება სტუდენტური თვითმმართველობა,რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაერთიანებულია უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში.

2. ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

**მუხლი 17. კომისიები და კოლეგიები**

1. ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით იქმნება კომისიები (მუდმივმოქმედი და დროებითი), მათ შორის:

ა) ფაკულტეტის ეთიკის კომისია,რომელსაც ქმნის ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით;

ბ) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია, რომელსაც ქმნის ფაკულტეტის საბჭო. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის საქმიანობის წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება;

გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების და დამტკიცების კომისია,რომელსაც ქმნის დეკანი;

დ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია.

ე) მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები. კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით იქმნება რექტორის ბრძანებით;

ვ) დოქტორანტურის სადისერტაციო კოლეგიები. კოლეგიები იქმნება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით.

ზ) ფაკულტეტის საატესტაციო კომისია, რომელსაც ქმნის უნივერსიტეტის რექტორი;

თ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

## თავი IV. ფაკულტეტის პერსონალი

**მუხლი 18. ფაკულტეტის პერსონალის შემადგენლობა**

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული თანამდებობების პირები, დამხმარე პერსონალი, ასევე - მასწავლებელთა პერსონალი.

2. ადმინისტრციული თანამდებობის პირების, აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტისადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 19. აკადემიური პერსონალი 1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

3. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორისხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

4. აკადმიური თანამდებობის დაკავების წესი, აკადემიური პერსონალის არჩევის წესი და მათი უფლება-მოვალეობები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით,უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 20. ადმინისტრაციული თანამდებობის პირები**

1. ადმინისტრაციული თანამდებობების პირებს მიეკუთვნება დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

2. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არჩევის ან/და დანიშვნის წესი, ამავდროულად,

ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს

კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 21. დამხმარე პერსონალი**

1. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელისაშტატო ნუსხით გათვალისწინებული, ასევე, ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე პერსონალი.

2. ფაკულტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე აკადემიური საბჭოს/რექტორის წინაშე იშუამდგომლოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის (მოწვეული პროფესორი ან/და მოწვეული მასწავლებელი) სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით მოწვევის თაობაზე.

3. დამხმარე პერსონალის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 22. მასწავლებელთა პერსონალი მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

## თავი V. სტუდენტი

**მუხლი 23. ფაკულტეტის სტუდენტი**

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი, რომელიც სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამებით.

3. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, ასევე უნივერსიტეტის წესდებითა და ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 24. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით,

უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი, დაიცვას სხვისი უსაფრთხოება.

## თავი VI. ფაკულტეტის ბიუჯეტი

**მუხლი 25. ფაკულტეტის შემოსავლები**

1. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს ფაკულტეტის მიერ მოზიდული შემოსავლები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. ფაკულტეტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით გადაწყვიტოს ფაკულტეტის მიერ

მოზიდული ფინანსების განკარგვასთან და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

მუხლი 26. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს დეკანთან შეთანხმებით ადგენს მენეჯერი, რომელსაც განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით.

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ფაკულტეტის ბიუჯეტს ჩართავს ერთიან ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად, თუ ფაკულტეტის ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს;

4. ფაკულტეტის ბიუჯეტს, როგორც უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ნაწილს, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი). წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უფლება არა აქვს ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტის ბიუჯეტში.

# დეკანის საათი



**2018 წლის პირველ თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის მცირე სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ირაკლი გაბისონიასთან.**

შეხვედრას ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ასევე, მოწვეული იყო სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი .

ფაკულტეტის დეკანმა პროფესორ ირაკლი გაბისონიამ მოხსენებაში მიმოიხილა უკვე დამთავრებული პროექტები, გააცნო სტუდენტებს მათი შედეგი. ხაზი გაუსვა მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებს. დეკანმა ყურადღება გაამახვილა პროექტზე „შეხვდი დამსაქმებელს", საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დაწესებაზე, საერთაშორისო პროექტებში, ზამთრის სკოლებში სტუდენტთა მონაწილეობაზე და სხვა. გაიმართა აქტიური მსჯელობა ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ, სტუდენტებმა წამოაყენეს შეხედულებები ბიუჯეტთან დაკავშირებით, დეკანმა გამოხატა მზად ყოფნა ბიუჯეტის დაგეგმვაში სტუდენტების აქტიური ჩართულობის.

დეკანის მოხსენების შემდგომ შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სტუდენტებმა აქტიურად დასვეს შეკითხვები სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში და მიიღეს ამომწურავი პასუხები როგორც ფაკულტეტის დეკანის ასევე, სხვა მოწვეული პირებისგან. სტუდენტებმა წამოაყენეს ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, დასაქმების, გაცვლითი პროგრამების და სხვა რიგ საკითხებთან დაკავშირებული ასპექტები.

შეხვედრის ფორმატში ფაკულტეტის ადმინისტრაცია შეთანხმდა ზოგიერთი ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე და სთხოვა სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ ფაკულტეტის საქმიანობაში.


University





2017 წლის 7 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია შეხვდა ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებს.

თავდაპირველად, დეკანმა მადლობა გადაუხადა პროფესორ-მასწავლებლებს პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული, აკადემიური, უმაღლესი განათლების მქონე პირების მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის. გამოთქვა მზადყოფნა სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობის წარმართვის მიზნით მათი ინიციატივის უფრო მეტად მხარდაჭერისათვის. ხაზგასმით გამოხატა სურვილი რომ თითოეულ ახალგაზრდა-პროფესორს ხელი შეუწყოს კარიერულ წინსვლაში და აღმოუჩინოს დახმარება სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში. მოიყვანა არაერთი მაგალითი თუ რამდენად წარმატებულები არიან მისი ყოფილი სტუდენტები, მათ შორის, დაასახელა დღევანდელი ღონისძიების მონაწილე ასოცირებული პროფესორი ნინო ხოლუაშვილი, რომელიც იყო ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, დღეს კი გამორჩეული პედაგოგია, რომლისგანაც თვითონ იღებს რჩევებს და კონსულტაციებს. სწორედ ასეთი ახალგაზრდობა სჭირდება ჩვენს ფაკულტეტს. ვინაიდან, ასეთი თაობა არის უკეთესი მომავლის შექმნის საწინდარი.

შეხვედრაზე მოსაზრება გამოთქვეს ფაკულტეტის ლექტორებმა, მათ შორის, სამართლის დოქტორმა იოსებ ხუციშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დეკანს ამ უპრეცედენტო წამოწყებისთვის და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერისათვის. აღნიშნა, რომ მან დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტის დოქტორანტურა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: :პროკურორი და გამოძიების პროცესუალურ-ორგანიზაციუ-

ლი თავისებურებანი განსაკუთრებული პატივია მისთვის ამ გამოწვევის მიღება და იგი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ფაკულტეტის აღმშენებლობის საქმეში.”

აღნიშნული შეხვედრა მიზნად ემსახურებოდა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერების მოტივაციის ამაღლებას. მათი მოსაზრებებისა და წინადადებების გაზიარებას. სტუ-ს სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი გაბისონიამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ახალგაზრდა მეცნიერების წამოწყების, სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერის იდეას, დეტალურად გააცნო კონკურსის პირობები და მოუწოდა მათ აქტიურად ჩაერთონ დაგეგმილ ღონისძიებებში და მეტად გამოიჩინონ ინიციატივა.










სტუ–ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ პირველკურსელ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

დეკანმა გააცნო სტუდენტებს ფაკულტეტის საქმიანობა, მიზნები და ამოცანები. მოუწოდა მათ დისციპლინის დაცვისკენ და წარმატებები უსურვა სწავლაში. წარუდგინა აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელები, პირველკურსელთა კურატორები და მათთან აქტიური თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. გამოხატა მზადყოფნა, რომ ყველა სტუდენტს აქტიურად დაუდგეს გვერდში და მათგანაც ელის კარგად სწავლას და დისციპლინირებულ ქცევას.





სტუდენტებს აუდიტორიებში ასევე შეხვდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფესორი ჯემალ გაბელაია, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი პროფესორი მაია ყიფიანი, სისხლის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ჯემალ ჯანაშია, კერძო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ციალა გლოველი, საჯარო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი მარიამ ჯიქია და სხვა პროფესორები, რომლებმაც უპასუხეს სტუდენტების შეკითხვებს.

შეხვედრის დასასრულს ფაკულტეტის დეკანმა სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.





2017 წლის 22 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და სიტყვა გადასცა სტუ-ს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის უფროსს გიორგი აბრამიშვილს.

ბატონმა გიორგიმ მიულოცა კურსდამთავრებულებს სასწავლო პროგრამის წარჩინებით დამთავრება, მოუწოდა მათ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელება და უსურვა კარიერული წინსვლა.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წელს ფაკულტეტს პირველი გამოსაშვები ღონისძიება აქვს. აღნიშნა, რომ ეს კურსი არაჩვეულებრივი სტუდენტებისაგან შედგება და ფაკულტეტი ამაყობს ჩვენი კურსდამთავრებულებით.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ჯემალ გაბელიამ დიდი სიყვარულით მიულოცა სტუდენტებს სწავლის დასრულება, გამოთქვა იმედი, რომ მათი უმრავლესობა სტუ-ს დაუბრუნდება, როგორც მაგისტრანტი, დოქტორანტი და პროფესორ-მასწავლებელი.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მოწვეულმა პროფესორმა ვახტანგ ქვანიამ წარმატებები უსურვა კურსდამთავრებულებს და გამოთქვა იმედი, რომ როგორც კოლეგები კიდევ არაერთხელ შეხვდებიან პროფესიულ გზაზე ერთმანეთს.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი კალანდაძემ სტუდენტებს წარმატებები უსურვა ისეთ რთულ მეცნიერებაში, როგორიცა სამართალმცოდნეობა.

სტუმრებს მიესალმნენ კურსდამთავრებულები თინათინ დადუნაშვილი, გვანცა წახრაკია, მარიამ კიკნაძე და სხვა სტუდენტები, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს სტუ-ს ადმინისტრაციას, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანს ირაკლი გაბისონიას, დეკანის მოადგილეს ჯემალ გაბელიას და თითოეულ ლექტორს, ყოველი დღისთვის და იმ დიდი წვლილის შეტანისთვის რასაც სტუდენტის ჩამოყალიბება ჰქვია.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტმა უკვე შეძლო თავის დამკვიდრება, როგორც პოპულარულმა და წარმატებულმა და იგი სათანადო კონკურენციას უწევს სხვა უნივერსიტეტებს, რასაც ცხადყოფს მის მიერ განხორციელებული არაერთი წარმატებული პროექტი.













# აქცია „ჯანსაღი მომავლისთვის“

**2018 წლის 25 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინიციატივით და თვითმმართველობის ორგანიზებით ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის მიზნით ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა სირბილის მარათონში მიიღეს მონაწილეობა.**





შეჯიბრი ლისის ტბაზე გაიმართა, სადაც მონაწილეებს მიესალმა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია და მადლობა გადაუხადა ყველას მოწვევისათვის და სთხოვა პროფესორ ნესტან კირთაძეს ორიოდე სიტყვით მიემართა დამსწრე საზოგადოებისათვის.

ნესტან კირთაძე მიესალმა მარათონის მონაწილეებს, შეახსენა 25 თებერვალი, ისაუბრა ამ დღის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში და მადლობა გადაუხადა ყველას ასეთი აქტიურობისთვის.



მარათონის ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებულები.

პროფესორ მამაკაცებში ბატონი-ჰენრი კუპრაშვილი, ბატონი-ზურაბ კვეტენაძე, ბატონი ჯემალ ჯანაშია.



პროფესორ ქალბატონებში ლელა წიკლაური პირველი ადგილი, მაია ყიფიანი ეორე ადგილი ქეთი ქოქრაშვილი მესამე ადგილი, სტუდენტ ბიჭებში: I – ჯემალ მირაზაშვილი, II – ნიკა თარაშვილი, III – გიორგი გოგინაშვილი. გოგო სტუდენტებში პირველი ადგილი აიღო ზაირა მაშალიევამ, მეორე – თამარ ახვლედიანმა, მესამე – ელენე ნადირაშვილმა.















# სტუ-ს სტუდენტური დღეები

**2017 წლის 21 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი „სტუდენტური დღეები 2017“-ს გამარჯვებული და გრანპრის მფლობელი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი გახდა.**

2017 წლის მარტში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო პროექტი „სტუდენტური დღეები 2017“. პროექტს ჰქონდა კონკურსის სახე და მასში მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 11 ფაკულტეტი და ყველა სასწავლო საფეხურის სტუდენტი.

პროექტი მიზნად ისახავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ინტეგრაციასა და სტუდენტებში კულტურის, საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობებისადმი ინტერესის ამაღლებას.

პროექტის ფარგლებში გაიმართა მრავალი კულტურული, სპორტული და ინტელექტუალური ატივობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სტუ-ს ყველა ფაკულტეტი.

2017 წლის 21 ივნისს „სტუდენტური დღეები 2017“ საზეიმოდ დაიხურა, გაიმართა გალა კონცერტი და საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდა გამარჯვებული ფაკულტეტი.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და მთლიანად ფაკულტეტი ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს და წაახალისოს მსგავსი აქტივობები და სიამაყით ულოცავს სტუდენტებს გამარჯვებას.






სამართლისა და საერთაშორი

# „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018"-ის დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდა გრანპრის მფლობელი — სამართლისა და საერთშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

2018 წლის 27 ივნისს "სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018"-ის ფარგლებში სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის ეზოში გაიმართა პროექტის დასკვნითი გალა-კონცერტი

პროექტი ხორციელდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით.

"სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 – ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ" ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავს და ტარდებოდა 100 ღონისძიება სპორტული, კულტურული, ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო მიმართულებით, სიმბოლურად 100 დღის განმავლობაში.

„სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018"-ის დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდა გრანპრის მფლობელი ფაკულტეტი სამართლისა და საერთშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი გამარჯვებული, რომელმაც პროექტის განმავლობაში ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიპოვა. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი უკვე მეორედ გახდა სტუ-ს სტუდენტური დღეების გამარჯვებული.

პროექტის "სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018", რომლის დევიზია ჯანსაღი ცოვრებით თავისუფლებისკენ, ფარგლებში მონაწილეობა მიიღო სტუ-ს თერთმეტმა ფაკულტეტმა და დიზაინის საერთაშორისო სკოლამ, სადაც საერთო ჯამში ჩართული იყო 3500-ზე მეტი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.










სტუდენტური თვითმმართველობა

## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

| N | დასახელება | კოდი | თანხა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაშთი პერიოდის დასაწყისში | | 170 000 | | | |
| | მიმდინარე წლის შემოსავალი | | **4,882,175** | | | |
| | ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა | | 1,140,000 | | | |
| | ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა | | 66,962 | | | |
| | ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა | | 3,423 | | | |
| | სულ შემოსავალი | | 3,848,636 | 0 | | |
| | | | | ასიგნებები ღონისძიებების მიხედვით | | |
| | | | | ადმინისტრაციული | სწავლა-სწავლება | სამეცნიერო-კვლევითი |
| | სულ ასიგნებები | | **3,848,636** | **926,471** | **1,321,072** | **1,601,093** |
| | სულ ხარჯები | 2 | **3,688,836** | **865,671** | **1,222,072** | **1,601,093** |
| 1 | **შრომის ანაზღაურება** | 21 | **1,497,720** | 382,840 | 994,080 | 120,800 |
| | ხელფასები ფულადი ფორმით | 2111 | **1,497,720** | 382,840 | 994,080 | 120,800 |
| | თანამდებობრივი სარგო | 21111 | **1,467,720** | 357,840 | 991,080 | 118,800 |
| | წოდებრივი სარგო | 21112 | **0** | 0 | 0 | 0 |
| | პრემია | 21113 | **12,000** | 7000 | 3000 | 2000 |
| | დანამატი | 21114 | **18,000** | 18000 | | |
| 2 | **საქონელი და მომსახურება** | 22 | **1,958,142** | 356857 | 135992 | 1465293 |
| I | **შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება** | 221 | **1,546,265** | 124028 | 49663 | 1372574 |
| | **მ.შ.**შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო | 221 | **1,546,265** | **124028** | 49663 | 1,372,574 |
| | პრემია | | **0** | 0 | | |
| | დანამატი | | **0** | 0 | | |
| II | **მივლინებები** | 222 | **80,000** | 10000 | | 70000 |
| III | ოფისის ხარჯები | 223 | **231,093** | 210329 | 10045 | 10719 |
| | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | 2231 | **4,019** | 2300 | 1000 | 719 |
| | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | 2232 | **2,000** | 1000 | 1000 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები | 2233 | **10,000** | 0 | 0 | 10000 |
| | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯი | 2234-2235 | **17,245** | 9200 | 8045 | 0 |
| | ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი | 2236-2237 | **5,324** | 5324 | 0 | 0 |
| | შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 2238 | **100,000** | 100000 | 0 | 0 |
| | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | 2239 | **11,705** | 11705 | | |
| | კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯი | 22310 | **1,000** | 1000 | | |
| | ინტერნეტის ხარჯი | 22310 | **4,000** | 4000 | | |
| | საფოსტო მომსახურების ხარჯი | 22311 | **500** | 500 | | |
| | ელექტროენერგიის ხარჯი | 223121 | **25,000** | 25000 | | |
| | წყლის ხარჯი | 223122 | **23,300** | 23300 | | |
| | ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი | 223123 | **27,000** | 27000 | | |
| | კანალიზაცია -ასინილიზაციის ხარჯები | 223124 | **0** | | | |
| IV | **წარმომადგენლობითი ხარჯები** | **224** | **30,000** | **12000** | **6000** | **12000** |
| | მიღებების და ღონისძიებების ხარჯები | | **30,000** | 12000 | 6000 | 12000 |
| V | **კვების ხარჯები** | **225** | 0 | **0** | **0** | **0** |
| VI | **სამედიცინო ხარჯები** | **226** | 500 | **500** | **0** | **0** |
| | სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯები | | **500** | 500 | | |
| | სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯები | | **0** | | | |
| | საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები | | **0** | | | |
| VII | **რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები** | 227 | 5,000 | **0** | **5000** | **0** |
| | უნიფორმის შეძენის ხარჯები | | **5,000** | | 5000 | |
| | რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯები | | **0** | | | |
| VIII | **ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები** | 228 | 0 | **0** | **0** | **0** |
| | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 2281 | **0** | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯი | 2282-2283-2285 | 0 | | | |
| | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | 2284 | 0 | | | |
| IX | **სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება** | 2210 | 65,284 | **0** | **65284** | **0** |
| | ბანკის მომსახურების ხარჯები | 22101 | 0 | | | |
| | ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი | 22103 | 0 | | | |
| | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 22104 | 0 | | | |
| | რეკლამის ხარჯი | 22105 | 0 | | | |
| | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 22106 | 0 | | | |
| | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | 22107 | 0 | | | |
| | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 22108 | 0 | | | |
| | ბინის ქირა | 221011 | 0 | | | |
| | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები | 221012 | 25,000 | | 25000 | |
| | სამეცნიერო ხარჯები | 221014 | 0 | | | |
| | ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯები | 221014 | 0 | | | |
| | სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები | 221014 | 6,000 | | 6000 | |
| | სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები | 221014 | 9,284 | | 9284 | |
| | სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის ხარჯები | 221014 | 0 | | | |
| | ტენდერის ხარჯები | 221014 | 0 | | | |
| | შენობის პასპორტიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები | 221014 | 0 | | | |
| | ექსპედიციის ხარჯები | | 0 | | | |
| | შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები | | 0 | | | |
| | საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში | 221014 | 25,000 | | 25000 | |
| 3 | **3. პროცენტები** | **24** | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე | 243 | 0 | | | |
| 4 | **4.სუბსიდიები** | **25** | 0 | | | |
| 5 | **5. გრანტები** | **26** | 0 | **0** | **0** | **0** |
| | მიმდინარე გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს | | 0 | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიმდინარე გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს | | 0 | | | |
| 6 | **6. სოციალური უზრუნველყოფა** | 27 | 10,000 | 10000 | 0 | 0 |
| | დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება | 273 | 10,000 | 10000 | 0 | |
| 7 | **7. სხვა ხარჯები** | 28 | 222,974 | 115,974 | 92,000 | 15,000 |
| X | სხვადასხვა ხარჯები | 282 | 222,974 | 115,974 | 92,000 | 15,000 |
| | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 2821 | 222,974 | 115,974 | 92,000 | 15,000 |
| | სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი | 28211 | 0 | | | |
| | შენობა-ნაგებობების დაზღვევის ხარჯი | 28212 | 0 | | | |
| | სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი | 28214 | 0 | | | |
| | პერსონალის დაზღვევის ხარჯი | 28215 | 0 | | | |
| | სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯი | 28219 | 0 | | | |
| | პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიების ხარჯი | 282111 | 0 | | | |
| | სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი | 282113 | 7,000 | | 7000 | |
| | ქონების გადასახადი | 282115 | 60,762 | 60762 | | |
| | მიწის გადასახადი | 28215 | 5,627 | 5627 | | |
| | მოგების გადასახადი | 282115 | 24,788 | 24788 | | |
| | დღგ-ს გადასახადი | 282115 | 0 | | | |
| | მოსაკრებლები | 282116 | 14,797 | 14797 | | |
| | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები | 282118 | 110,000 | 10,000 | 85,000 | 15000 |
| | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 2822 | 0 | | | |
| 1 | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 31 | 159,800 | 60800 | 99000 | 0 |
| I | **ძირითადი აქტივები** | 311 | 159,800 | 60,800 | 99,000 | 0 |
| | არასაცხოვრებელი შენობები | 31112 | 53,800 | 43,800 | 10,000 | |
| | სხვა შენობა-ნაგებობები | 311111 | 0 | | | |
| | **მანქანა-დანადგარები და ინვენტარი** | 3112 | 81,000 | 17000 | 64000 | 0 |
| | სატრანსპორტო საშუალებები | 31121 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შეძენა | 311211; 311213 | 0 | 0 | 0 | |
| | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 31122 | 81,000 | 17,000 | 64,000 | 0 |
| | კომპიუტერული მოწყობილობების შეძენა | 311223 | 11,000 | 7,000 | 4000 | |
| | ელ. მოწყობილობები; რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა; ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯი | 311221-3112219 | 4,400 | 4400 | 0 | 0 |
| | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 3112220 | 65,600 | 5600 | 60000 | |
| | **სხვა ძირითადი აქტივები** | 3113 | 25,000 | 0 | 25000 | 0 |
| | კულტივირებული აქტივები | 31131 | 0 | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **არამატერიალური ძირითადი აქტივები** | 31132 | **25,000** | 0 | 25000 | 0 |
| | ლიცენზიები და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა | 311321; 311322 | **0** | 0 | 0 | 0 |
| | სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები | 311322 | **25,000** | | 25,000 | |
| II | **მატერიალური მარაგები** | 312 | **0** | 0 | 0 | 0 |
| | ნედლეული და მასალები რომლებიც ინახება წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსების სახით. | **31221** | **0** | | | |
| III | **ფასეულობები** | 313 | **0** | | | |
| IV | **არაწარმოებული აქტივები** | 314 | **0** | | | |
| | არაწარმოერბული, არამატერიალური აქტივები | 3144 | **0** | | | |
| 2 | **ფინანსური აქტივები** | 32 | **0** | | | |
| 3 | **ვალდებულებების კლება** | 33 | **0** | | | |
| | **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | | **0** | | | |